

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

---

ი. დოლიძე.

საქართველოს  
ჩვეულებითი სჯული

---

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თ ბ ი ლ ი ს ი

1960

რედაქტორი: პროფ. ი. აბულაძე

## შესავალი

### ადათი რომოკო სამართლის წყარო

ადათი ანუ ჩვეულება ეწოდება ადამიანთა ქცევის წესს, რომელიც იქმნება და მკვიდრდება საზოგადოებაში მისი ხანგრძლივი და მრავალგზისი გამოცენების შედეგად. ადათ-ჩვეულებები წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების დროს, ისინი ქცევის საერთო წესს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ იურიდიული ძალა და მნიშვნელობა არ ჰქონდათ. მაშინ არსებობდა ადათი, მაგრამ არ იყო ადათობრივი სამართალი. ადათი იქცევა იურიდიულ ჩვეულებად მხოლოდ კლასობრივი საზოგადოებისა და სამართლის წარმოშობის შედეგად. იგი ლეზულობს სამართლებრივი ნორმის ძალას, ხდება ადამიანთა ქცევის სავალდებულო წესად, რომლის ერთობლიობა შეადგენს ადათობრივ, ანუ ჩვეულებით სამართალს.

ჩვეულებითი სამართალი მოქმედებს დაწერილი სამართლის პარალელურად და გამოხატავს არა მთელი საზოგადოების, არამედ მისი მხოლოდ ერთი ნაწილის—გაბატონებული კლასის—ნებისყოფას. საზოგადოების ის ადათ-ჩვეულებანი, რომლებიც არ წეესაბამებიან მბრძანებელი კლასის ინტერესებს, არ შეადგენენ ადათობრივი სამართლის ნორმებს, არ გამოიყენებიან ცხოვრებასა და სასამართლო პრაქტიკაში და, მაშასადამე, მოკლებული არიან იურიდიულ ძალასა და მნიშვნელობას.<sup>1</sup>

უძველეს დროში, სამართლის წარმოშობისა და განვითარების ადრინდელ ეპოქაში, ჩვეულებითი სამართალი სამართლის ერთადერთ ფორმას წარმოადგენდა. ეხება რა ახალი ადათების გაჩენას, კ. მარქსი წერს: «ყველაზე ადრინდელ და პრიმიტიულ ეპოქაში... ინდივიდუალური ფაქტიური ურთიერთობა უაღრესად ტლანქი სახით შეადგენს უშუალო სამართალს»<sup>1</sup>.

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IV, гл. 325.

1 პირველყოფილი თემური წყობილების დროს ჩამოყალიბებული ზოგიერთი ჩვეულება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შემდეგ გამოყენებულ იქნა ახალი შინაარსით, მონათმფლობელთა კლასის ინტერესების შესაბამისად. ადათების გარკვეული ნაწილი სანქცირებულ იქნა სახელმწიფოს მიერ და იურიდიულ ნორმად იქცა. სისხლის აღებისა და სისხლის დაურევების ჩვეულება, კოლექტიური პასუხისმგებლობისა და ტალიონის პრინციპი და ძველი სამართლის სხვა ინსტიტუტები საგვარეულო წყობილების ადათ-ჩვეულებებია, რომლებმაც ახალი კლასობრივი შინაარსი და გაგება მიიღეს სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში. ჩვენ გვაროვნული წყობილებიდან გამომდინარეობდა იმის ვალდებულება, რომ ადამიანს მემკვიდრეობით უნდა მიეღო მამის ან ნათესავის არა მარტო მემკვიდრეობით, არამედ მტრული დამოკიდებულებაც სხვებთან: ასევე მემკვიდრეობით გადადიოდა ვირა, ე. ი. გამოსასყიდი ჯარიმა სისხლის აღების ნაცვლად, ადამიანის მოკვლისა ან დასახიჩრებისათვის. ეს ვირა, რომელიც ჯერ კიდევ წინა თაობაში სპეციფიკურ გერმანულ დაწესებულებად იყო მიჩნეული, ახლა ასეულობით ხალხებში დადასტურებულია როგორც სისხლის აღების შერბილების საყოველთაო ფორმა, რომელიც გვაროვნული წყობილებიდან გამომდინარეობს<sup>1</sup>.

ახასიათებს რა უელსურ კანონებში აღწერილ ძველი კელტების საზოგადოებრივ წყობილებას, ფ. ენგელსი წერს: როგორც ძველი უელსური კანონებიდან ჩანს, მთელი სოფლები მიწას ჯერ კიდევ ერთად ამუშავებდნენ, რაც «წინათ საყოველთაოდ გავრცელებული ზნე-ჩვეულების იშვიათ ნაშთს წარმოადგენდა»<sup>2</sup>.

1 სამართლის ისტორიის მთელ მანძილზე სამართლის მრავალ წყაროთა შორის გამოიყოფა ორი ძირითადი წყარო: ჩვეულებითი სამართალი და კანონი. მოქმედი სამართლის სხვა ფორმებს მხოლოდ დამხმარე, სუბსიდიური მნიშვნელობა აქვთ. სამართლის წარმოშობისა და განვითარების ადრეული ხანა ხასიათდება ჩვეულებითი სამართლის ბატონობით. დაწერილი სამართალი იმ დროს თითქმის არ არსებობდა და ჩვეულებითი სამართალი სამართლის

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 191—192.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 180.

გაბატონებულ, ზოგჯერ კი სამართლის ერთადერთ ფორმას წარმოადგენდა.

ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის მონათმფლობელურ სახელმწიფოებში მათი განვითარების ადრეულ სტადიაზე სამართლის მთავარ წყაროს ჩვეულებითი, დაუწერელი სამართალი შეადგენდა. კანონი ხდება სამართლის მნიშვნელოვან წყაროდ მხოლოდ მონათმფლობელური ცენტრალიზებული მონარქიის ჩამოყალიბების შემდეგ. ასე იყო ფეოდალიზმის დროსაც. შუა საუკუნეების ადრინდელი ფეოდალური მონარქიისა და წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის ხანაში ფეოდალური სამართლის მთავარ, ძირითად წყაროს ჩვეულებითი სამართალი შეადგენდა. კანონი მხოლოდ აბსოლუტიზმის დროს იკავებს პირველ ადგილს სამართლის სხვა წყაროთა შორის. ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგაც ადათი ინარჩუნებს სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროს როლს.

ადათი და ადათობრივი სამართალი, როგორც ითქვა, განსხვავებული ცნებებია. ადათი გაცილებით უფრო ადრე წარმოიშვება. ვიდრე ადათობრივი სამართალი. ადათი არსებობს ყველა საზოგადოებრივი წყობილების დროს, ადათობრივი სამართალი კი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაში. ადათი ადამიანთა ქცევის წესია, მაგრამ მას სავალდებულო ძალა არა აქვს, თუ იგი სანქცირებული არ არის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. მხოლოდ იმ ადათებს აქვს იურიდიული ძალა, რომლებიც ნებადართულია სახელმწიფოს მიერ როგორც ქცევის სავალდებულო წესი.

1 ადათი რომ იქცეს ადათობრივი სამართლის ნორმად, ამისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, რომ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფაქტიურად არსებობდეს და მოქმედებდეს მოცემულ ქვეყანაში, მხარეში, კუთხეში, თემში, სოფელში, გვარში (მაგ. დიდებულთა გვარეულობაში ფეოდალიზმის დროს), შემდეგ, მას უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული სინაარსი და ბოლოს, ადათის იურიდიული ძალა და მნიშვნელობა აღიარებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ენიჭება ადათს ადათობრივი სამართლის ნორმის მნიშვნელობა. ადათობრივი სამართლის ნორმების ჩამოყალიბებისა და მათი სინაარსის განსაზღვრის საქმეში დიდ როლს ასრულებს მართლმსაჯულების ორგანოები, რომლებიც არა მარტო იყენებენ ადათობრივი სამართლის ნორმებს, არამედ სანქციასაც აძლევენ მათ.

საზოგადოლო, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ორგანოების მოღვაწეობა—სასამართლო პრაქტიკა და ადათობრივი სამართალი—როგორც სამართლის წყაროები ისტორიულად ურთიერთთან მჭიდრო კავშირშია, ავსებენ ერთმანეთს და ვითარდებიან ერთად.<sup>1)</sup>

სახელმწიფო არა მარტო სანქციას აძლევს ადათობრივი სამართლის ნორმებს, არამედ თავისი ორგანოების მეშვეობით მონაწილეობს ადათობრივი სამართლის ნორმების შემუშავებასა და მათთვის იურიდიული ძალის მინიჭებაში. შუა საუკუნეების გერმანიის ადათობრივი სამართლის წიგნები «საქსონიის სარკე», «შვაბიის სარკე», ფეოდალური საფრანგეთის ადათობრივი სამართლის ჩანაწერები და სხვა ანალოგიური ძეგლები წარმოადგენდნენ ოფიციალურ, ე. ი. თანამდებობის პირების, ცნობილი იურისტების მიერ შედგენილ ადათობრივი სამართლის კრებულებს.<sup>1)</sup>

სახელმწიფო ხელისუფლება მოწოდებულია კანონის ძალა მინიჭოს იმ ადათ-ჩვეულებებს, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოების გაბატონებული კლასის ნება-სურვილს და შეესაბამებიან სახელმწიფოს ინტერესებს. («საზოგადოების გაბატონებული ნაწილი დაინტერესებულია იმით, რომ არსებულს კანონის სახით სანქცია მიანიჭოს და მისი ის შეზღუდვანი, რომელნიც ჩვეულებით და ტრადიციით არიან მოცემული, კანონიერ შეზღუდვათა სახით განამტკიცოს... თუ ამ ფორმამ განსაზღვრული დროის განმავლობაში იარსება, იგი მკვიდრდება როგორც ჩვეულება და ტრადიცია და, ბოლოს, სანქციას ღებულობს როგორც კანონი»<sup>2</sup>). ამ გზით ადათობრივი სამართლის ნაკადი ფართოდ მიედინება მოქმედ კანონმდებლობაში.

[ამასთანავე სამართლის ისტორია გვიჩვენებს, რომ, თავის მხრით, კანონიც შეიძლება იყოს ადათობრივი სამართლის წყარო. არაიშვიათად საკანონმდებლო ნორმა დროთა განმავლობაში ხდება ადათობრივი სამართლის ნორმად. ზემოთ დასახელებული ძეგლები—საქსონიისა და შვაბიის სარკე—და ადათობრივი სამართლის სხვა კრებულები ბევრ ისეთ მუხლს, წესსა და ნორმას შეიცავს, რომლებიც ნახესხებიან ძველი და შუა საუკუნეების საკანონმდებლო ძეგლებიდან.]

<sup>1</sup> Теория государства и права, 1949, გვ. 388—391.

<sup>2</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი მესამე, ნაწ. II, წიგნი III, 1959 წ. გვ. 414.

ამრიგად, არა მარტო ადათობრივი სამართალია კანონმდებლობისა და სამართლის წყარო, არამედ თვით კანონმდებლობაც შეიძლება იყოს ადათობრივი სამართლის წყარო. ეს ცხადად ჩანს როგორც სხვა ქვეყნების ადათობრივი სამართლისა და საკანონმდებლო ძეგლების შესწავლის, ისე ქართული ჩვეულებითი სამართლისა და კანონთა წიგნების განხილვის საფუძველზე,

| ადათობრივი სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანთვისება ის არის, რომ იგი წარმოადგენს საუკუნეებრივი ტრადიციით დატულსა და განმტკიცებულ სამართლის ფარმას. ამიტომ ეს ფორმა გაცილებით უფრო მტკიცე და უცვლელია, ვიდრე მოქმედი სამართლის სხვა რომელიმე წყარო. ადათი ინარჩუნებს თავის სახეს საუკუნეთა განმავლობაში. ამაშია ადათის, როგორც სამართლის წყაროს, კონსერვატიულობა. ადათ-ჩვეულების ეს ბუნება კარგად არის გადმოცემული რომაელების მიერ: *grawissimum est imperium consuetudinis*—«უაღრესად მტკიცეა ძალა ჩვეულებისა», ანდა *usus est tyrannus*—«ჩვეულება არს მეფეთე». ქართული ანდაზაც ხომ ამბობს: «ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო». ჩვეულება რომ «რჯულზე», კანონზე უფრო მტკიცე და გამძლე ფორმაა მოქმედი სამართლისა, ამას ნათლად ადასტურებს სამართლისა და სჯულმდებლობის მთელი ისტორია.

| ადათობრივი სამართალი პარტიკულარული სამართალია, იგი დაქსაქსულ-დაქუცმაცებული სამართლის სისტემას წარმოადგენს. ყოველ კუთხეს, თემს, სოფელსა და ადგილს თავისი ჩვეულება აქვს. ადგილი განსაზღვრავს ჩვეულებას. ქრუსული თქმულება «*что город—то нравы, что деревня—то обычаи*» კარგად გადმოსცემს ადათობრივი სამართლის ამ ნიშან-თვისებას. ჩვეულებითი სამართლის ნორმები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, ისინი არა მარტო განსხვავდებიან, არამედ კიდევ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

| ჩვეულებითი სამართალი ლოკალური სამართალია, ადგილობრივი სჯულია, მისი მოქმედების ფარგლები ვიწრო და შეზღუდულია. ადათობრივი სამართლის პარტიკულარობა და ლოკალურობა შუა საუკუნეებში ფეოდალური დაქსაქსულობით იყო გამოწვეული. | ფეოდალური საფრანგეთი იცნობდა არა მარტო საერთო ადათებს, ანუ კუტიუმებს, რომლებიც პროვინციებში მოქმედებდა, არამედ ისეთებსაც, რომლებიც მოქმედებდა რაიონებში, სოფლებში, დასახლებულ პუნქ-

ტებში, ქალაქებში და ქალაქის ზოგიერთ ქვარტალშიც კი. ასე იყო სხვა ქვეყნებშიც.

კავკასიის მთიელ ტომებში «не только каждое племя, но и каждая община, аул, чуть-ли не каждый дом и семья, имеют свои особые адаты, живут по своим домашним обрядам»<sup>1</sup>.

ფეოდალურ საქართველოში თავისი ადათ-ჩვეულებები ჰქონდა არა მარტო ქვეყნის თვითეულ კუთხეს, თემს, სოფელს, არამედ ცალკეულ გვარეულობებსა და ოჯახებსაც კი. ტყუილად როდი ეწოდება წყაროებში ჩვეულებით სამართალს «აღაგისა და გვარის წესი», ე. ი. ადგილობრივი და სავგარეულო ადათი. ჩვეულებითი სჯულიც აღნიშნავს ადათობრივი სამართლის ამ ნიშანს. ძეგლის სიტყვით «სოფლებთა შინა აქეთ თვის-თვისად ჩვეულება», რაც შეეხება ქალაქს, იქ «იხმარებოდა შემდეგნი ჩვეულებანიო». სჯულის მიხედვითაც ადათს «ადგილობითი ჩვეულება» ეწოდება.

/ჩვეულებითი სამართალი დაუწერელი სამართალია, jus non scriptum. ბიზანტიური სამართლის ქართული ვერსია— «სამართალი ბერძული»—ასე განსაზღვრავს ადათობრივი სამართლის დამახასიათებელ ნიშნებს: «ერთის რისმე საქმისათვის რომე დაწერილი სამართალი არ იყოს, რომე კაცს იმისი სამართალი უყონ, სჯულთა იმ აღაგის წესი. რომელიც იყოს, ის უნდა იკითხოს და ის სამართალი უნდა უყოს. იმ სამართალს ეწოდებენ სჯულის კანონის მაგიერი სამართალი»<sup>2</sup>. /

ამრიგად, ჩვეულებითი სამართალი დაუწერელი სამართალია, იგი მოქმედებს მაშინ, როცა არ არსებობს კანონი, ანუ «დაწერილი სამართალი», ასეთ შემთხვევაში ჩვეულებითი სამართალი «კანონის მაგიერი სამართალია». /ამრიგად, ადათობრივი სამართლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: კონსერვატიულობა, პარტიკულარობა, ლოკალურობა, დაუწერლობა, ხანგრძლივობა, მრავალჯზისობა და სავალდებულობა. /

ჩვეულებითი სამართალი, მოქმედებს რა კანონის გვერდით და მის პარალელურად, ავსებს კანონმდებლობის ხარვეზებს. სასა-

<sup>1</sup> Ф. Леонтович. Адаты кавказских горцев. I, 1882, გვ. 24.

<sup>2</sup> სამართალი ბერძული, მუხ. 374, ხელნაწერთა ინსტიტუტის S-3683. 114 გ.



მართლო წარმოებაში მას იყენებენ როგორც კანონს. სასამართლო პრაქტიკის გზით ადათი კანონის ძალას იღებს, დაწერილ ნორმად იქცევა და შედის საკანონმდებლო ძეგლებში როგორც მოქმედი სამართლის მთავარი წყარო. თავის შრომაში «ბინის საკითხისათვის» ფ. ენგელსმა მოგვცა ადათ-ჩვეულებების საკანონმდებლო ნორმად გადაქცევის პროცესის დახასიათება. «ეს წესი, რომელიც დასაწყისში ზნე-ჩვეულებით გამოიხატება, მალე კანონად იქცევა. შემდგომი საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაში კანონი, ცოტად თუ ბევრად, უფრო ვრცელ კანონმდებლობად ვითარდება. რაც უფრო რთულდება ეს კანონმდებლობა, მით უფრო დაშორებული ხდება მისი გამოხატულების წესი იმ წესისაგან, რომლითაც საზოგადოების ცხოვრების ჩვეულებრივი ეკონომიური პირობები გამოიხატება»<sup>1</sup>.

\*  
\*\*

მონათმფლობელური ქვეყნების ხალხთა სჯულმდებლობისა და ადათობრივი სამართლის ისტორიულ-მედარებითი მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ადრინდელი საკანონმდებლო ძეგლების მთავარ წყაროს ადათი შეადგენდა. ჩვენ მხოლოდ მიუთითებთ ძველი ქვეყნების სჯულმდებლობის ტრადიციებსა და უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო ძეგლებზე.

ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერას ეგვიპტე წარმოადგენდა. ბერძენი მწერალი დიოდორე სიცილიელი ეგვიპტის პირველ კანონმდებლად ლეგენდარულ მნეფისს (მენესს)—ძველი სამეფოს პირველი დინასტიის პირველ მეფეს—თვლიდა. შემდგომი პერიოდის კანონმდებლობა დაკავშირებულია რამზესს II სახელთან (XIII საუკ. ჩვენს ერამდე), VIII საუკუნეში კი მეფე ბოქჰორისმა (ბოკენ-რანეფმა) შეადგინა კანონთა ვრცელი კრებული, რომელიც 8 წიგნს (40 გრაგნილს) შეიცავს. ძველი ეგვიპტის აღნიშნული საკანონმდებლო ძეგლების მთავარ წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენდა.

ძველი აღმოსავლეთის მეორე ქვეყნის, შუამდინართის, უმთავრესად ბაბილონის ისტორიამ, შემოგვინახა კანონმდებლობის მდიდარი მასალა, რომელიც შეიცავს ადათობრივი სამართლის მეტად მნიშვნელოვან ნორმებს./

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 724.

| უძველესი ცნობები შუამდინარეთის ადათობრივი სამართლის ნორმების შესახებ დაკუთვლია ქ. ლაგაშის პატესის უ რ უ კ ა გ ი ნ ა ს რეფორმებში. ეს დოკუმენტი ასახავს ძველი ადათების ახალი ადათებით შეცვლის ცდას. / თემის გამდიდრებულმა დიდკაცობამ გააუქმა ძველი წესები და ადათები. მაგრამ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ურუკაგინამ «აღადგინა უწინდელი წესები». რეფორმებიდან ჩანს, რომ უშემერში იმ დროს არსებობდა პოლიანდრიის, ანუ მრავალქმრიანობის ადათი—სავგარეულო წყობილებიდან მომდინარე ძველი ჩვეულება. კანონი სიკვდილით დასჯას (წყალში გადაგდება) უწესებს იმ ქალებს, რომლებიც ამ ჩვეულებას მისდევენ. / შუამდინარეთის უძველესი ქვეყნების, შუამერის, ეშნუნისა და ისინის სამეფოს კანონმდებლობის ძირითად შინაარსს ადათობრივი სამართლის ნორმები შეადგენენ<sup>1</sup>. /

| ძველადმოსავლური სჯულმდებლობის კლასიკურ ძეგლში—ხამურაბის კანონებში—შესულია შუამდინარეთის ხალხთა ძველი ადათობრივი სამართლის უმნიშვნელოვანესი ნორმები და ინსტიტუტები. / კოლექტიური (თემის, ოჯახის) პასუხისმგებლობა, ტალიონის პრინციპი—«თუალი თუალისა წილ, კბილი კბილისა წილ», კომპოზიციების სისტემა, გამაწბილებელი და ზოგიერთი სხვა სახის სასჯელები, სამართლის ფორმალიზმი, სასძლოს მოტაცება, საქორწილო საჩუქარი და გამოსასყიდი, მზითვეი და ქვრივობის წილი, ფიცი და ორდალი და სხვა ინსტიტუტები ხამურაბის კანონებში ადათობრივი სამართლის სფეროდან არის შეტანილი<sup>2</sup>.

ახალი ბაბილონის სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული მთლიანად ადათობრივი სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის ჩანაწერს შეადგენს<sup>3</sup>.

| ადათობრივი სამართლის ბევრი წეს-ჩვეულება ასახულია შუა, ასირიის კანონებში<sup>4</sup>. / სამართლის წიგნის ის მუხლები, რომლებიც საოჯახო სამართლის საკითხებს აწესრიგებენ, მთლიანად ადათობრივი სამართლიდანაა აღებული.

<sup>1</sup> ძველი აღმოსავლეთის სამართალი. 1950 წ. გვ. 9, 10, 12—16, 20—22. შემერული კანონების ფრაგმენტი, მუხ. 4—7; შემერული საოჯახო კანონები, მუხ. 1—6; ბილაჰამის კანონები, მუხ. 15—19, 25—28, 38, 51—52; ლიფიტ-იშთარის კანონები, მუხ. 21—33.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 28, 31, 42—55, 57; მუხ. 2, 3, 23, 126, 128, 129, 132—152, 159—197, 200, 226, 227, 229, 230, 256.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე გვ. 65—67.

<sup>4</sup> ი ქ ვ ე, გვ. 74, 76, 80, 82—88, 90—92; I, 6, 17, 18; III, 9, 17, 22, 24—38, 40—43, 47—50, 55.

ხეთების მეფის ტელეფინის კანონი თითქმის მთლიანად საგარეულო შუროსძიებისა და სისხლის აღების საკითხებს ეხება. კანონმდებლობა კრძალავს სისხლის აღების ადათს. ადათობრივი სამართლის მდიდარი მასალა მოიპოვება ხეთების კანონებში<sup>1</sup>.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ხეთების კანონთა ქვემოთ მოტანილი მუხლების ტექსტები: «უკეთუ რომელიმე თავისუფალი კაცი მოიპარავს გუთანს, პატრონი დააყენებს მას სამარცხვინო ბოძთან» (მუხ. 121); «უკეთუ ვინმე თესლზე თესლს დასთესს, მას კისერზე უნდა დაადგან გუთანი, შემდეგ კი შეაბან ხარები, ერთი შეაბრუნონ პირით იქით, მეორე აქეთ; კაცი მოკვდება და ხარებიც უნდა დახოცონ» (მუხ. 166); «უკეთუ დედა თავის ვაჟიშვილს ტანისამოსს უკულმა გადმოუბრუნებს და ამით თავის ძვილს განდევნის, როდესაც მისი შვილი დაბრუნდება და მოჰკიდებს ხელს თავის კარს და შემოატრიალებს აქეთა მხარეს, აიღებს თავის საწოლს, თავის სკამს და მოატრიალებს აქეთა მხარეს, მაშინ დედამ თავის ადგილზე უნდა დადოს ისინი და თავისი შვილი ისევ თავის შვილად აღიაროს» (მუხ. 171).

სასჯელის სამივე ზემოაღნიშნული ღონისძიება ადათობრივი სამართლის ინსტიტუტს შეადგენს და მათი პირველადი სახით არის შეტანილი ხეთების კანონთა კრებულში.

/ ძველებრაული კანონმდებლობა («მოსეს სამართალი»), ძველი ირანის რელიგიურ-სამართლებრივი წესების კრებული («ავესტა»), ინდური კანონმდებლობის წიგნი («მანუს კანონები»), მუსლიმანური სამართლის წიგნი («ყორანი») არსებითად ადათობრივი სამართლისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების კრებულებს წარმოადგენენ და თანამედროვე გაგებით დიდად განსხვავდებიან საკანონმდებლო ძველებისაგან არა მარტო თავისი შინაარსით, არამედ ნორმატიული მასალის გადმოცემის ფორმითაც. / კანონთა მუხლებისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას (დისპოზიცია, სანქცია) ამ ძველებში ხშირად ცვლის ამა თუ იმ ჩვეულების ან კანონის შინაარსის თხრობითი გადმოცემა.

/ ძველი საბერძნეთის ორ უძლიერეს სახელმწიფოში — სპარტასა და ათენაში — ადათი სამართლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა. გადმოცემა ლიკურგის კანონმდებლობის (IX საუკ.) შესახებ ცხადყოფს, რომ მის მთავარ ნაწილს ძველი სპარტელების ადათ-ჩვეულებები შეადგენდნენ. /

<sup>1</sup> იქვე, გვ. 97—101, 103—107, 116—117, 119—121, 126—129; L 6, 9, 10, 19, 29—30, 38—41, 46; II, 112, 121, 160, 171, 173, 175; III, 4, 7, 36—40.

1 ჰომეროსის ეპოქაში ჯერ კიდევ უცნობია კანონი (nomos), სამაგიეროდ ხშირად იხსენიება ზნეობრივი, ადათობრივი ნორმები (dike).

ძველი ათენის უადრეს კანონმდებლობას თეზეოსს მიაწერენ. ტომთა გაერთიანების, ანუ სინოიკიზმის შედეგად შეიქმნა ათენის ცენტრალური მმართველობა და ათენის საერთო სამართალი, რომელიც ადათობრივი სამართლის კრებულს წარმოადგენდა. VII საუკუნის ბოლოს (621 წ.) ათენში პირველად ჩნდება დაწერილი სამართალი, დრაკონის კანონები, რომელიც ადათებისა და სასამართლო პრაქტიკის ჩანაწერს შეადგენდა. დრაკონის კანონები განსაკუთრებული სიმკაცრით ხასიათდებოდა და შემდგომში სასტიკი კანონმდებლობის სინონიმად იქცა.

სოლონის ცნობილ რეფორმებშიც (594 წ.) ბევრი რამ არის შეტანილი ადათობრივი სამართლის სფეროდან. ძველი ათენის სახელმწიფო და სასამართლო ორგანო—არეოპაგე—განმარტებელთა (exegetai) საშუალებით ფართოდ იყენებდა ათენელთა ადათ-ჩვეულებებს. ქეს იყო ძველი ათენის მონათმფლობელური სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პირველი პერიოდი, როცა ბატონობდა ადათობრივი სამართალი. V საუკუნის მეორე ნახევრიდან ათენის სამართლის წყაროებს შორის წამყვან ადგილს კანონი იჭერს. ეს პერიოდი წარმოადგენს ათენის მონათმფლობელური სახელმწიფოსა და სამართლის აყვავების პერიოდს, რომელიც დაკავშირებულია პერიკლეს მოღვაწეობასთან.

ძველი ბერძნული ადათობრივი სამართლის კრებულს წარმოადგენს კუნძულ კრეტაზე მდებარე ქალაქ გორტინის სამართალი (V საუკ.), რომელიც 1885 წელს აღმოაჩინეს. სამართლის წიგნის ის ნორმები, რომლებიც გაყრას, ქონების გაყოფის, მემკვიდრეობის, საგვარეულო ქონების მფლობელობის, ვალდებულებების, გირავნობის, შვილად აყვანისა და სხვა საკითხებს აწესრიგებენ, ჩვეულებითი სამართლის ნორმებია, რომლებიც შესულია კანონებში ადათობრივი სამართლის სფეროდან.

ადათი სამართლის უძველესი წყარო იყო რომშიც. სერვიუს ტულიუსის ცნობილმა რეფორმებმა (509 წ.) ბევრი რამ იხსნა რექსების ხანის რომის ადათ-ჩვეულებების სფეროდან. წინაპართა ადათ-ჩვეულებები აღინიშნებოდა ტერმინებით: mores majorum და usus. რომის უძველესი კანონმდებლობის Leges duodecim tabularum—XII ტაბულის კანონების—მთავარ წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენდა. კრებული წარმოადგენს დიციმვირე-

ბის მიერ შეკრებილი ადათების ჩანაწერს, რომელიც ლივიუსის თქმით არის *ius omnis publici privatique juris*—«წყარო ყოველი საჯარო და კერძო სამართლისა».

ეს იყო ადათობრივი სამართლის ბატონობის ხანა ძველ რომში. რომაელთა მოხდენილი გამოთქმა—*mos legem regit*—«ჩვეულება წარმართავს კანონს», სწორედ ამ პერიოდის ვითარებას ასახავს.

ახსიათებს რა XII ტაბულის კანონებით დადგენილ მემკვიდრეობის წესს, ფ. ენგელსი წერს: «ჩვენ აქ ვხედავთ, რომ გვაროვნულ ზნე-ჩვეულებაში თანდათან იჭრება სიმდიდრის ზრდითა და მონოგამიით წარმოშობილი ახალი უფლებრივი ნორმები: მემკვიდრეობის უფლება, რომელიც თავდაპირველად თანაბარი იყო ყველა თანამოგვარისათვის, შემოფარგლული ხდება ჯერ... პრაქტიკულად აგნატებით, ბოლოს კი შვილებითა და მათი მამრობითი ხაზის შთამომავლობით. თორმეტ ტაბულაში კი ეს, რასაკვირველია, შებრუნებული სახით გვევლინება»<sup>1</sup>.

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის რომში ადათის ძველი სახელწოდება *mos* შეიცვალა *consuetudo*-თი.

/ ძველი რომის იურისპრუდენციის მიხედვით ადათი არის «დაუწერელი სამართალი»—*jus non scriptum*, კანონი კი დაწერილი სამართალია./ ციცირონს ადათები და კანონები—*mores* და *leges*—მოქმედი სამართლის ცალკეულ ფორმებად მიაჩნია. II საუკუნის ცნობილი რომაელი იურისტი იულიანე ადათსა და კანონს თანაბარ ძალასა და მნიშვნელობას ანიჭებს. იგი წერს:

«*Inveterata consuetudo pro lege non immerito custoditur et hoc est jus quod dicitur moribus esse constitutum*» (I.1.3.32.1).

«ძველთაგან დამკვიდრებული ადათი ღირსეულად სრულდება, როგორც კანონი, და ეს არის სამართალი, რომლის შესახებ ამბობენ, რომ იგი დადგენილია ჩვეულებებით».

იმპერიის პერიოდში (319 წ.) გამოცემულ იქნა განკარგულება, რომელიც ზღუდავდა ადგილობრივი ადათების მოქმედებას რომის იმპერიის პროვინციებში (ეგვიპტე, სირია, არაბეთი და სხვ.) და აგრეთვე კრძალავდა კანონსაწინააღმდეგო ადათებს. დადგენილებაში ნათქვამი იყო:

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 165—166.

«Consuetudinis ususque longaevis non vilis auctoritas est, verum non usque adeo sui valitura momento, ut aut rationem vincat aut legem» (C.8.52.2).

«ავტორიტეტი ჩვეულებისა და ხანგრძლივი გამოყენებისა მკირმნიშვნელოვანი როლია, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ უნდა ავიყვანოთ იქამდე, რომ მან გადალახოს გონება და კანონი».

ადათის, როგორც სამართლის წყაროს, მნიშვნელობის შემცირება დომინატის პერიოდში გამოწვეული იყო იმით, რომ გაცხოველებული საკანონმდებლო მოღვაწეობის შედეგად დაგროვდა დიდძალი საკანონმდებლო მასალა. იმპერიის პერიოდში კანონი უკვე რომის სამართლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამასთან ადათების გარკვეული ნაწილი შეტანილ იქნა ამ პერიოდის საკანონმდებლო აქტებში.

\*  
\* \*

რომის მონათმფლობელური იმპერიის ნანგრევებზე გერმანელმა ტომებმა შექმნეს ახალი, ე. წ. «ბარბაროსული» სახელმწიფოები, რომელთა საზოგადოებრივი წყობილება შედგებოდა პირველყოფილი თემური, მონათმფლობელური და ფეოდალური წყობისგან.

VI—VIII საუკუნეებში შედგენილ იქნა ე. წ. «ბარბაროსული კანონები»—*Leges Barbarorum*, რომლებიც, რომის სამართლისაგან განსხვავებით, რომაელისათვის «ბარბაროსული» ანუ უცხო კანონები იყო; ეს კანონები შეადგენდნენ გერმანელი ტომების ადათ-ჩვეულებების ჩანაწერს. ბარბაროსული სამართლის წიგნებს შორის აღსანიშნავია: სალიელი ფრანკების სამართალი—*Lex Salica*, რიპუარელი ფრანკების სამართალი—*Lex Ripuaria*, ბურგუნდების სამართალი—*Leges Burgundionum*, ვესტგუთების სამართალი—*Leges Wisigothorum*, ალამანების სამართალი—*Leges Alamannorum*, ბავარიელების სამართალი—*Leges Baiuvariorum*, საქსონელთა სამართალი—*Lex Saxonum*, ფრიზების სამართალი—*Lex Frisionum*, ტიურინგების სამართალი—*Lex Thuringorum* და ფრანკ-ხამავების სამართალი—*Lex Francorum chammavorum*.

ზემოთ დასახელებული სამართლის წიგნები ადათობრივი სამართლის კრებულებს წარმოადგენენ. ამ კანონებს შორის ყველაზე უფრო ტიპიურ, ბარბაროს ტომთა ყოფა-ცხოვრების დამახასია-

თებელ სამართლის წიგნს წარმოადგენს სალიკური სამართალი—Lex salica, რომელიც შედგენილია VI საუკუნის დასაწყისში მეფე ხლოდვიგის დროს (511 წ.).

სალიკური სამართლის თითქმის ყველა ტიტული და მუხლი ადათობრივი სამართლის ინსტიტუტებსა და ნორმებს შეიცავს<sup>1</sup>. თუმცა თვით სიტყვა «ადათი», *mas*, *consuetudo*, სამართლის წიგნში მხოლოდ ორიოდ ადგილას გვხვდება.

ჩვენ აქ მოვიტანთ რამდენიმე ადათის ტექსტს, რომელიც წარმოადგენს ადათობრივი სამართლის ნორმების კლასიკურ ნიმუშს და თითქმის თავდაპირველი ფორმითაა შეტანილი კანონთა კრებულში.

სალიკური სამართლის XLIV ტიტულში ნათქვამია: «ადათის მიხედვით, თუ კაცი, როცა კვდება, დატოვებს ქვრივს, და ვინმე მოისურვებს მის ძერთვას, მაჰინ, ვიდრე იგი მასზე დაქორწინდებოდეს, ტუნგინმა ან ცენტენარიუსმა უნდა დანიშნოს სასამართლო სხდომა, და ამ სხდომაზე თან უნდა ჰქონდეს ფარი; და სამმა კაცმა უნდა წარადგინონ სამი სარჩელი, და მაჰინ იმას, ვისაც სურს ქვრივი შეირთოს, უნდა ჰქონდეს 3 წონასწორი სოლიდი და 1 დენარი, და უნდა იყოს სამი, ვინც აწონის მის სოლიდებს, და თუ ამის შემდეგ თანახმანი იქნებიან, მას «შეუძლია შეირთოს (ქვრივი ცოლად)»<sup>2</sup>.

თემური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ადათი დაკანონებულია სამართლის წიგნის XLV ტიტულში: «უკეთუ ვინმე მოისურვებს გადასახლდეს სხვის ვილაში, და თუ ვილას ერთი ან რამდენიმე მცხოვრები მოისურვებს მის მიღებას, მაგრამ აღმოჩნდება თუნდაც ერთი, ვინც წინაღუდგება გადასახლებას, მას უფლება არ ექნება იქ დასახლდეს»<sup>3</sup>.

სამართლის წიგნის XLVI ტიტულში გადმოცემულია ადათობრივი სამართლის ძველი წესი ქონების გადაცემის შესახებ ანდერძით მემკვიდრეობის დროს. ასეთ შემთხვევაში «საჭიროა დაცულ იქნეს შემდეგი: ტუნგინმა თუ ცენტენარიუსმა დანიშნოს სასამართლო კრება, და ამ კრებაზე უნდა იქონიონ ფარი, და

<sup>1</sup> განსაკუთრებით ტიტულები: XVI, XIX, XXX, XXXVII, XL, XLII, XLIV, XLV, XLVI, XLVII, L, LII, LIII, LVI, LVIII; ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1950 წ. გვ. 14, 15, 23, 26, 30—41, 44—47.

<sup>2</sup> Lex Salica, XLIV, § 1

<sup>3</sup> იქვე, XLV, § 1

სამმა კაცმა უნდა წარადგინოს სამი სარჩელი. შემდეგ გამონახონ კაცი, რომელიც მისი (მოანდერძის) ნათესავი არ არის და რომელსაც მან (მოანდერძემ) კალთაში ჩაუგდოს ღერო. და იმას, ვის კალთაშიც ღეროს ჩააგდებს, განუცხადოს თავისი ქონების შესახებ, სახელდობრ, რამდენი სურს გადასცეს, ყველაფერი თუ არა, და ვის. და ის, ვის კალთაშიც მან ღერო ჩააგდო, უნდა დარჩეს მის სახლში. და უნდა მოიწვიოს სამი თუ მეტი სტუმარი და შეინახოს ქონების ის ნაწილი, რომელიც მას მინდობილი აქვს. და ამის შემდეგ იმან, ვისაც ეს მინდობილი აქვს, უნდა იმოკმედოს შეკრებილ მოწმეებთან ერთად. შემდეგ მეფის დასწრებით ან სამართლო კრებაზე აიღოს ღერო და ჩაუგდოს კალთაში იმათ, ვინც მემკვიდრეებად იყვნენ დანიშნული 12 თვის წინათ, და მისცეს ქონება იმათ, ვისაც იგი ნაანდერძევი აქვს, იმაზე არც მეტი, არც ნაკლები რაოდენობით, რაც მას ჰქონდა მინდობილი»<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ კომპოზიცია, ანუ სისხლის დაურვება ადათობრივი სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც შემდგომ აისახა კანონმდებლობაში. ამის კლასიკურ მაგალითს იძლევა სალიკური სამართლის LXIII ტიტული «მუქა მიწის შესახებ». მასში გადმოცემულია მკვლელობის კომპოზიციის გადახდის ძველი ადათ-ჩვეულება: «უკეთუ ვინმე მოკლავს კაცს და, მთელი ქონების გაღების მიუხედავად, ვერ შესძლებს, კანონით კუთვნილის გადახდას, მან უნდა წარმოადგინოს 12 თანამოფიცარი, რომ არც მიწაზე, არც მიწის ქვეშ მას არა აქვს იმაზე მეტი ქონება, რაც უკვე გაიღო. და შემდეგ იგი უნდა შევიდეს თავის სახლში, 4 კუთხიდან მუქად შეაგროვოს მიწა, დადგეს ზღურბლზე, შიგ სახლისაკენ პირ შებრუნებული, და ეს მიწა, მარცხენა ხელით თავის მხრებზე გადატანით, ესროლოს იმას, ვისაც იგი თვლის თავის უახლოეს ნათესავად. უკეთუ მამამ და ძმებმა უკვე გადაიხადეს, მაშინ მან იგივე მიწა უნდა ესროლოს თავისიანებს, ე. ი. სამ უახლოეს. დედისეულ და მამისეულ ნათესავს. მერმე პერანგის ამარა, უქამროდ, ფეხნიწველა, სარით ხელში უნდა გადახტეს ღობეზე, ხოლო ამ სამმა (დედისეულმა ნათესავმა) უნდა გადაიხადოს იმის ნახევარი, რამდენიც კანონით კუთვნილი კომპოზიციიდან არ არის გადახდილი. ასევე უნდა მოიქცნენ სამნი დანარჩენნიც, მამისეული ნათესავნი. ხოლო თუ რომელიმე მათგანი ძალიან ღარიბი აღმოჩნდება, რომ თავისი წილი გადაიხადოს, მან

<sup>1</sup> Lex Salica, XLVI, § 1



თავის მხრივ მუჰა მიწა უნდა ესროლოს რომელიმე უფრო შეძლებულს, რათა მან სულ გადაიხადოს კანონის მიხედვით. უკეთუ მასაც არ ექნება, რომ მთლად გადაიხადოს, მაშინ იმან, ვინც მკვლელის თავედობა იკისრა, წარადგინოს იგი სასამართლო სხდომაზე, და იქ შემდეგ 4 სხდომის განმავლობაში თავებად დაუდგეს მას. უკეთუ არავინ ითავედებებს კომპოზიციის გადახდას, ე. ი. იმის ანაზღაურებას, რაც მას არ გადაუხდია, მაშინ კომპოზიცია თავისი სიცოცხლით უნდა გადაიხადოს»<sup>1</sup>.

მკვლელობის კომპოზიციის გადახდა, როგორც ვხედავთ, მეტად მძიმე სასჯელს წარმოადგენდა არა მარტო დამნაშავეისათვის, არამედ მთელი მისი ოჯახისა და ნათესაობისათვის. კომპოზიციის გადაუხდელობის შემთხვევაში დამნაშავეს კომპოზიცია თავისი სიცოცხლით უნდა გადაეხადა ან თემიდან უნდა გაეძეებინათ, მფარველობის გარეშე განოცხადებინათ (*vargus sit, extra sermoneum suum punitur*). ამიტომ დამნაშავეს ნათესაეები მოვალენი იყვნენ დახმარებოდნენ მას კომპოზიციის გადახდაში. ამ მოვალეობამ წარმოშვა ნათესაობაზე ხელის აღების ჩვეულება, რომელიც გადმოცემულია სალიკური სამართლის LX ტიტულში: «ვისაც სურს ხელი აიღოს ნათესაობაზე, იგი უნდა გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, ტუნგინის წინაშე და იქ თავზე გადაიმტვირთოს წყრთის ოდენა სამი ჯობი. და იგი სასამართლო სხდომაზე მიყარ-მოყაროს 4 მხარეს და იქ თქვას, რომ იგი ხელს იღებს თანამოფიცრობაზე, მემკვიდრეობაზე. და მათთან ყოველგვარ ანგარიშზე. და თუ შემდეგ ვინმე, რომელიმე მისი ნათესავთაგანი ან მოკლული იქნება, ან მოკვდება, იგი სრულიადაც არ უნდა მონაწილეობდეს მემკვიდრეობაში ან კომპოზიციის გადახდაში, ხოლო მისი მემკვიდრეობა ხაზინაში უნდა გადავიდეს»<sup>2</sup>.

ასეთი ადამ-ჩვეულებები უხვად არის მოცემული ადრინდელი ფეოდალური სამართლის ზემოაღნიშნულ ძეგლებში. ჩვეულებითი სამართლის ნორმების ავტორიტეტს ხშირად ეყრდნობა და იმოწმებს ამავე პერიოდის სამეფო კაპიტულარებიც.

ქართლის დიდის 787 წლის კაპიტულარის მე-7 მუხლში ნათქვამია: «ებრძანებთ, რომ ხიდების აგებისა და შეკეთების და სხვა თავისუფალი სამუშაოები, რომლებიც საეკლესიო კაცებმა კანონისა და ძველი ადათის თანახმად დანარჩენ მოსახ-

<sup>1</sup> იქვე, LVIII, § 1

<sup>2</sup> იქვე, LX, § 1

ლეობასთან ერთად უნდა წეასრულონ, ეკითხება ეკლესიის წინამძღვარს...<sup>1</sup>.

იტალიის მეფის პიპინის კაპიტულარი (782—786 წ.) ადგენს: «ყველამ აუცილებლად ერთად უნდა აწარმოოს, თანახმად ძველი ადათისა, ეკლესიების წეკეთება, აწნოს ხილები და წეასწოროს გზები...». თუ ვინმე სასამართლოს განაჩენით ეპისკოპოსმა უნდა დააკმაყოფილოს, და «დროზე არ დააკმაყოფილებს ამ კაცს, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს ადათი საწინდრის აღებისა იმ კაცის დასაკმაყოფილებლად»<sup>2</sup>. 864 წლის კაპიტულარში ნათქვამია, რომ «მეფისა და ეკლესიის კოლონები, რომელნიც, როგორც პოლიპტიკები (დავთრები) აღნიშნულია და თვითონაც არ უარყოფენ, ძველი ადათის მიხედვით უნდა ასრულებდნენ ტვირთხილვისა და ხელის სამუშაოებს...»<sup>3</sup>.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ XIII სუჯუნის გერმანიის სამართლის ძველი «საქსონიის სარკე» (Sachsenspiegel) წარმოადგენს ადათობრივი სამართლის კრებულს, რომელიც სამართლის ორი წიგნისაგან შედგება: Landrecht—საერობო სამართალი და Lehnrecht—ლენური სამართალი. ამ ძველში, ბევრ სხვა ჩვეულებასთან ერთად, აღბეჭდილია სასამართლო ორდალის; ანუ «ღვთის მსჯავრის» ძველი ჩვეულება, რომელიც ადათობრივი სამართლის ინსტიტუტს შეადგენს. აი, რას ამბობს ძველი სასამართლო ორთაბრძოლის შესახებ.

«თვითეულს შეუძლია უარი თქვას იმასთან ბრძოლაზე, ვინც დაბადებით მასზე დაბლა დგას... მოსამართლემ ორი დამხმარე უნდა მისცეს თვითეულ მათგანს, ვინც იბრძოლებს, და ისინი უყურებენ, რომ მებრძოლები აღიჭურვონ სამართლისა და ადათის მიხედვით; ტყავი და ტილო შეუძლიათ ჩაიცვან იმდენი, რამდენსაც ისურვებენ; თავი და ფეხები წინიდან დაუფარავი უნდა ჰქონდეთ, ხოლო ხელებზე არ უნდა ჰქონდეთ არაფერი, გარდა თხელი ხელთათმანებისა; ხელთ უნდა ეპყრათ გაწიწვლებული ხმალი და მათ შეუძლიათ შემოირტყან კიდევ ერთი ან ორი ხმალი, ეს მათ სურვილზეა დამოკიდებული; მეორე ხელში უპყრიათ მრგვალი ფარი, მხოლოდ ხისა და ტყავისაგან გაკეთებული, რო-

<sup>1</sup> ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1950, გვ. 98

<sup>2</sup> იქვე, გვ. 99.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 107.

ჩელსაც შეაგულში, რა თქმა უნდა, შეიძლება ჰქონდეს რკინის ბალთა; აბჯარს ზემოთ—უსახელოებო კამზოლი. «ასპარეზს» ეცხადება შშვილობა და სიკვდილით დაისჯება ის, ვინც ხელს შეუშლის მათს ბრძოლას. თვითეულ მებრძოლს მოსამართლე აძლევს კაცს, რომელიც მათ კვერთხს დაუჭერს. ეს კაცი არაფერში არ უნდა უშლიდეს მათ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი დაეცემა, მან უნდა დაიცვას იგი კვერთხით, ან თუ რომელიმე დაიჭრება ანდა თვითონ მოითხოვს კვერთხს. მაგრამ მან ეს არ უნდა გააკეთოს მოსამართლის ნებადაურთველად. მას შემდეგ, რაც «ასპარეზს» შშვილობა გამოეცხადება, მათ უნდა ითხოვონ «ასპარეზი» ა და თ ის მიხედვით, და მოსამართლემ უნდა დართოს ამის ნება. თავიანთ ქარქაშებს მათ უნდა წაატეხონ რკინის ბუნიკები, მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია დართოს მათ ნება,—არ გააკეთონ ეს. მოსამართლის წინაშე ისინი უნდა გამოვიდნენ სრული საქურვლით და დაიფიცონ: ერთმა, რომ ბრალდება, რომლითაც იგი გამოვიდა მეორის წინააღმდეგ, სიმართლეა, და ღმერთი შეეწიოს მას; მეორემ, რომ იგი უდანაშაულოა, და ღმერთი შეეწიოს მას. მზის მიმართ ისინი დაყენებული უნდა იქნან თანაბარ მდგომარეობაში, როცა ისინი პირველად მივლენ ერთმანეთთან პირისპირ. თუ დამარცხდება ის, ვისაც ბრალსა სდებენ, იგი უნდა დაისაჯოს; ხოლო თუ იგი გაიმარჯვებს, თავისუფალია ჯარიმისა და სასჯელისაგან<sup>1</sup>.

«საქსონიის სარკის» გავლენით გერმანიაში შედგენილი იყო ადათობრივი სამართლის სხვა კრებულებიც. მათ შორის აღსანიშნავია «შვაბიის სარკე», რომელიც თითქმის მთლიანად ნასესხებია «საქსონიის სარკიდან».

ჩვეულებითი სამართალი (Gewohnheitsrecht) შეადგენდა ფეოდალური სამართლის ძირითად წყაროს გერმანიაში შუა საუკუნეების ბოლომდე.

ფეოდალური საფრანგეთის სამართლის ძირითად წყაროსაც ადათი (coutume, usage) წარმოადგენდა. ადათობრივი სამართლის (droit coutumier) ნორმები რამდენჯერმე იყო შეკრებილი და შედგენილი ადათების ცალკეულ კრებულთა სახით. 1255 წელს შედგენილი იყო «ნორმანდიის ადათების დიდი კრებული». 1273 წ. შეკრებილი იყო ორლეანის, ოვერნისა და ანჟუს ადათები. გარდა ადათებისა, წიგნში შეტანილი იყო ნაწყვეტები რომისა და კანო-

<sup>1</sup> იქვე. გვ. 86—87; Sachsenspiegel, I, 63.

ნიკუროს სამართლის წყაროებიდან და აგრეთვე მეფე ლუდვიკის ზოგიერთი ორდონანსი, რის გამო კრებულს ეწოდება «წმიდა ლუდვიკის წესდება».) საფრანგეთის ადამთობრივი სამართლის კრებულს ძირის ყველაზე უფრო ცნობილი იყო «ბოვესის კუჩუმები» (Les coutumes de Beauvoisis), რომელიც გამოცემილმა იურისტმა ბოჰანუარმა შეადგინა 1282 წელს.<sup>1</sup> XIV საუკ. მიწურულში (1389 წ.) შედგენილ იქნა «საფრანგეთის ადამთობის დიდი კრებული»<sup>2</sup>.

ფეოდალური საფრანგეთის ადამთობრივი სამართლის კრებულს შეადგენს აგრეთვე «იერუსალიმის ასიზები», რომელიც შედგენილი იყო ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ (1099). ასიზების დედანი დაკარგულია. ტექსტმა მოაღწია ჩვენამდე XIII საუკუნის შუა წლების ცნობილი კვიპროსელი იურისტის ჟან იბელინის (Jean d'Ibelin) რედაქციით<sup>3</sup>. ასიზებში შეკრებილია სასამართლო გადაწყვეტილებები და ადათები (Assises et usages), რომლებიც აწესრიგებენ სენიორისა და ვასალის ურთიერთობებს, ნათ უფლება-მოვალეობასა და ურთიერთვალდებულებებს. ასეთივე შინაარსის არის «ანტიოქიის ასიზები» (Assises d'Antioche), რომლებიც იერუსალიმის ასიზების სახესხვაობას წარმოადგენდნენ.

ფეოდალური იტალიის ადამთობრივი სამართლის კრებულს წარმოადგენს ე. წ. Libri feudorum (ფეოდალური სამართლის წიგნები), რომელიც შედგენილი იყო ლომბარდიაში XII – XIII საუკუნის მიჯნაზე იუსტინიანეს Corpus Juris Civilis საფუძველზე. ამ წიგნებში შეკრებილია ის ადათ-ჩვეულებები, რომლებიც აწესრიგებენ ფეოდალური სადგილმანულო მფლობელობის საკითხებს.

ადამთობრივი (custom) სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ფეოდალური ინგლისშიც, სადაც XII საუკუნიდან ჩამოყალიბდა ე. წ. «საერთო სამართალი» (common law). სამართლის ეს სისტემა შეიქმნა ადამთობრივი სამართლის (customary law) და მეფის სასამართლო პრაქტიკის შედეგად. სამეფო სასამართლოების პრაქტი-

<sup>1</sup> Beaumanoir, Les coutumes de Beauvoisis par Philippe de Beaumanoir..., Paris, 1842.

<sup>2</sup> Всеобщая история государства и права, т. II, 1947, стр. 117—119.

<sup>3</sup> Livre des Assises et des bons usage dou roiaume de Ierusalem, Paris, 1841.

კა ძირითადად ადათობრივ სამართალზე იყო დაფუძნებული. ნაშინდელი ტერმინოლოგიით ადათობრივი სამართალი წარმოადგენს «ქვეყნის სამართალს», რომელიც შეიკავს მოქმედი, დაუწერელი სამართლის ადათ-ჩვეულებებს. XII საუკუნის შუა წლებში მეფის მოსამართლემ ბრაქტონმა სასამართლო პრაქტიკის მასალების საფუძველზე შეადგინა ტრაქტატი, «ინგლისის კანონებისა და ადათების შესახებ», რაც არსებითად ადათობრივი სამართლისა და სასამართლო პრეცედენტის კომენტარებს წარმოადგენდა.

შუა საუკუნეების ფეოდალურ ევროპაში ადათობრივი სამართლის კრებულები შედგენილი იყო აგრეთვე ქალაქებისთვისაც. ამ კრებულებში შეტანილი იყო ქალაქების ჩვეულებითი სამართლის ნორმები. ცნობილია, მაგ., ქალაქ ლიუბეკის «საქალაქო სამართალი» (1188 წ.), სტრასბურგის «საქალაქო სამართალი» (1214 წ.), «მაგდებურგის სამართალი» და აგრეთვე სხვა ქალაქების სამართლის წიგნები, რომლებიც წარმოადგენენ ქალაქის ადათობრივი სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის წინაწერს.

XVII საუკუნემდე ადათი (иногда) სამართლის მთავარი წყარო იყო ფეოდალურ რუსეთშიც. კიევის რუსეთის სამართალი — «Русская Правда» ძირითადად ძველი რუსეთის ადათ-ჩვეულებების წინაწერია. /ეს ნათლად ჩანს სამართლის წიგნის შუბლების ანალიზიდან. ჩვეულებით სამართალს (обычное право) დიდი ადგილი უკავია სამთავროებად დაყოფილი რუსეთის სასამართლო პრაქტიკასა და საკანონმდებლო ძეგლებში. ადათობრივი სამართლის დიდ გავლენასა და გავრცელებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ძველ რუსულ სამართალში ადათის ცნება გამოხატული იყო არა ერთი, არამედ რამდენიმე ტერმინით. ასეთი ტერმინები იყო: «правда», «норов», «обычай», «предание», «пошлая» (то, что «пошло») — обычное право), «покон» «закон»<sup>1</sup>.

ძველი დროისა და შუა საუკუნეების საკანონმდებლო ძეგლებისა და ადათობრივი სამართლის კრებულების ზერელე მიმოხილვიდანაც საკმაო სიცხადით ჩანს ჩვეულებითი სამართლის, როგორც მოქმედი სამართლის მთავარი წყაროს როლი და მნიშვნელობა სამართლის ისტორიის მთელ მანძილზე.

<sup>1</sup> М. Ф. Владимирский-Будайев, Опыт истории русского го права. 1909, гл. 86—87.

ცნობილია, რომ ადათობრივი სამართლის კრებულები 'შედგენილი იყო სხვა მრავალი ხალხისა და ტომებისათვის. XIX საუკუნეში ჩაწერილი იქნა რუსეთის იმპერიის აღმოსავლეთ რაიონებში მცხოვრები ტომების—ყალმიყების, ტუნგუსების, ბურიატების, იაკუტების, ყირგიზებისა და მონღოლური წარმოშობის სხვა მომთაბარე ხალხების ადათ-ჩვეულებები<sup>1</sup>.

/კავკასიის მთიელ ხალხთა ადათობრივი სამართლის ცნობილმა მკვლევარმა ფ. ი. ლეონტოვიჩმა 1882—83 წლებში გამოსცა ჩრდილო და აღმოსავლეთ კავკასიის მთიელ ტომთა ადათობრივი სამართლის მასალები ორ ტომად<sup>2</sup>. კრებულში შეტანილია ჩერქეზების, ყაბარდოელების, ყარაჩაელების, ოსების, ჩეჩნების, კუმეიკებისა და სხვა ტომთა ადათ-ჩვეულებები.) შედგენილი იყო აგრეთვე სხვა ხალხთა, ტომთა და ეთნოგრაფიულ ჯგუფთა წეს-ჩვეულებების ჩანაწერები, მაგრამ ჩვენ არ შევჩერდებით მათ დახასიათებაზე.

ზემოაღნიშნულ ხალხთა და ტომთა პრიმიტიული სოციალური და იურიდიული ურთიერთობა წესრიგდებოდა ადათობრივი, დაუწერელი სამართლით, რომელიც შეიცავდა ჩამორჩენილი და განუვითარებელი სამართლისათვის დამახასიათებელ ბევრ პირველყოფილ წეს-ჩვეულებას.

ამიტომ ადათობრივი სამართლისა და კანონმდებლობის ურთიერთ ზემოქმედების, მათი ისტორიული განვითარების მთავარი ხაზის შესწავლისა და გათვალისწინების თვალსაზრისით ამ ტომთა ადათ-ჩვეულებები ტიპურ, დამახასიათებელ მასალებს არ შეიცავს.

\* \* \*

საქართველოს საისტორიო წყაროები, საკანონმდებლო ძეგლები და კერძოფულებრივი აქტები შეიცავენ ჩვეულებითი სამართლის მდიდარ მასალას. ქართული სამართლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ადათი წარმოადგენდა სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს.

/არაბული წარმოშობის ტერმინი «ადათი» ქართულში გვიან შემოდის. მის ნაცვლად ძველ ქართულში რამდენიმე ტერმინი

<sup>1</sup> Сборник обычного права сибирских инородцев, издание Д. Я. Сажоковского, Варшава, 1876.

<sup>2</sup> Ф. И. Леонтович, Адаты Кавказских горцев, вып. I, Одесса, 1882, вып. II, 1883.

იხმარებოდა, რომელთა შორის ძირითად ტერმინს «წესი» წარმოადგენდა. ჭიდიდი ქართველი მწერალი და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: «წესი უწოდებენ ჩვეულებასა განმტკიცებულსა და მდგომარესა. ვინაჲცა ჩვეულება არა ოდენ მისი სახელი არს, რომელსა ეამქნითა ჩვეულებად მეჭმნიდეს, არამედ ოდესმე მისიცა, რომელი ბუნებით ოდეს რაჲმე იყოს წესგანმტკიცებული»<sup>1</sup>. მაშასადამე, წესი ეწოდება მყარსა და განმტკიცებულ ჩვეულებას. მაგრამ ჩვეულება მართუ იმას კი არ ეწოდება, რაც ჟამთა ვითარებაში შექმნილა, არამედ იმასაც, რაც ბუნებით მოდგამს, ბუნებით არის წესგანმტკიცებული. წესის ამ განსაზღვრებაში მოცემულია ჩვეულების, როგორც ადამიანთა ქცევის წესის, ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები: სიმტკიცე, სიმყარე და ხანგრძლივობა.

აკად. ივ. ჯავახიშვილის განოკვლევით «წესი» გარკვეული რიგისა და წესიერების დამამყარებელ ჩვეულებას ეწოდებოდა, რომლის აღსრულებაც სავალდებულო იყო. ეს ტერმინი გამოხატავდა გარკვეული ყოფა-ცხოვრებისა და ქცევის დაწერილ ან დაუწერელ რიგს. წესი გამოხატავდა როგორც სამონასტრო-საეკლესიო, ისე სამოქალაქო და სახელმწიფო წეს-ჩვეულებებსაც. «წესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დაწესებულების მართვა-გამგეობის მომგვარებელ ჩვეულებას, რიგსა და დებულებას ერქვა და არა სასამართლო კანონს»<sup>2</sup>. ამ მნიშვნელობით იხმარებოდა ეს ტერმინი ქართულ საისტორიო წყაროებსა და საკანონმდებლო ძეგლებში.

გიორგი მერჩულე «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში» ამბობს: «ეგრესტა ტვრთი შჯულისა და წესი ქრისტეანობისაჲ, რომელ აწ ქვეყანასა ჩუნსა უპყრის, ფრიად კეთილ არსა»<sup>3</sup>. ე. ი. ჩუნს ქვეყანაში შემოღებული კანონი—«შჯული» და ჩვეულება—«წესი» ფრიად კარგი არისო.

/წესი ჩვეულების მნიშვნელობით იხმარება «ვეფხისტყაოსანშიც»: ტარიელი ამბობს: «ძველი წესია სოფლისა, არახლად მოსასმინია» (918), / ფატმანი ეუბნება აეთანდილს: «ამა

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 435.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1, 1928, გვ. 16.

<sup>3</sup> ქართული ლიტერატურის კრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, 1947, გვ. 132.

ქალაქსა წესია, დღესა მას ნაეროზობასა არცა ვინ ვაქრობს  
ვაქარი, არცა ვინ წაუა გზობასა» (1121). სოფლისა და ქალა-  
ქის წესი აქ ნიჰნავს სოფლად და ქალაქად დამკვიდრებულ  
ჩვეულებას.

რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების «ძეგლის წე-  
რა» ადგენს: «ნუტამცა რა სხუაჲ სამოქალაქო და სოფლიო  
წესი ქმნილ არს მონასტერსა შინაო»<sup>1</sup>. სამოქალაქო და სოფლის  
წესი გულისხმობს ქვეყნის სამოქალაქო წეს-ჩვეულებას.

| ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნში წესი ჩვეუ-  
ლების გამომხატველი ტერმინია. ჩვეულებას კანონში «აღაგისა  
და გვარის წესი» ე. ი. ადგილობრივი და საგვარეულო ჩვეუ-  
ლება ეწოდება. ჩვეულება აღაგის წესია, რომელიც არსებობს  
ყოველ კუთხეში, თემში, სოფელსა და დასახლებულ პუნქტში. მა-  
გრამ ჩვეულება მეიძლება «გვარის წესიც» იყოს, ე. ი. მხო-  
ლოდ განსაზღვრულ გვარეულობაში მოქმედებდეს. შამის კარგ მა-  
გალითს ბექას სამართლის წიგნი იძლევა, რომლის მიხედვით  
საუხუცესო—უფროსი ძმის ზედმეტი წილი სამემკვიდრეო ქო-  
ნებაში—საგვარეულო ჩვეულებას წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ  
გვარეულობაში ეს ჩვეულება არ მოქმედობს—«აროდეს ქმნი-  
ლა მათსა გვარსა შიგან». /

| დამახასიათებელია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის მი-  
ხედვითაც საუფროსო განსხვავებულ ჩვეულებას წარმოადგენს,  
რომელიც დიდებულთა ზოგიერთ გვარში არსებობს: ზვარსა და  
ხოდბუნზე საუფროსოს აღება კანონით არ შეიძლებოდა, მაგრამ  
გამონაკლისის სახით ეს ჩვეულება დაჰვებული იყო კანონის მიერ  
ციციშვილების გვარეულობის მიმართ რადგან მათ «ძველობით  
ფიცით გაუტანიათ» ეს ჩვეულებაო (მუხ. 103). /

სისხლის დაურეება ხომ მთლიანად საგვარეულო ჩვეულებას  
წარმოადგენდა. ბექას სამართალი ადგენს: «სისხლის ზღვა ასრე-  
ვეა: კაცი ვითარცა გვარად იყოს, აგრე ზემო-ქვე-  
მობით უზღოსო». გიორგი ბრწყინვალის სამართალიც აწესე-  
ბდა, დაზარალებული «რასაც რამ გუარისა იყოს, იმ წე-  
სით სისხლი დაეურვოს და მამული ებოძოს». ძეგ-  
ლის დადების უკანასკნელ მუხლში ნათქვამია, რომ სარ-  
გებლის აღების ჩვეულება საქართველოში არ არის დაკანონებუ-

<sup>1</sup> თ. ჟორდანიას, კრონიკები, II, გვ. 65.



ლიო—«სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან ძეს წესად». აქაც «წესი». ჩვეულების მნიშვნელობით იხმარება. ასეთი შინაარსითაა გამოყენებული ეს სიტყვა გვიანდელ ძეგლებსა და საბუთებშიც.

ამ ტერმინთან ერთად ძველი დროიდანვე იხმარებოდა თანამედროვე სიტყვა ჩვეულება, რომელიც არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ საზოგადოების გარკვეული ჯგუფის ზნესა და ქცევას გამოხატავდა. ჩვეულება რომ იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც წესი, ამას ორი სიტყვის კომპოზიტიც—წეს-ჩვეულება ამტკიცებს. ადრინდელი საკანონმდებლო ძეგლებიდან ტერმინი ჩვეულება გვხვდება რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში, /«ძეგლის წერაში», სადაც ნათქვამია, რომ ე. წ. წარმოშობად გენლობითი ქორწინება ამჟამად მეტად გავრცელებული უარყოფითი და მანე «კაცობრივი ქცევა და ჩვეულება» არისო. ქცევა აქ იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც ჩვეულება.

/ XVIII საუკუნის დასაწყისშიც წესი და ქცევა ჩვეულების მნიშვნელობით იხმარება. ეს კარგად ჩანს ვახტანგ VI სამართლის წიგნის მეორე წინასიტყვაობიდან, /სადაც სჯულმდებელი მეფე მიუთითებს, რომ უცხო სამართლის ძეგლებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიეცეს ჩვენს მიერ დადგენილ კანონებს, რადგან «ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქვეყანისა რიგთა და ქცეულებათა». სამართლის წიგნის უკანასკნელ მუხლში ნათქვამია, რომ წინათ «წესად ასე იყო..., გლეხს ჯარსა და მარჩილს გამოართმევდნენ» (მუხ. 270).

ამავე დროს ვახტანგის სამართლის ზოგიერთ მუხლში წესი იხმარება რიგის მნიშვნელობითაც. 98-ე მუხლში გაყრის შესახებ ნათქვამია: «ამ წესით და რიგით არის მაადს დაშორების რიგით»; სესხისა და ვალის საჩივრის საქმე «ამ წესით უნდა გასამართლდესო» (131); სამართლის წიგნს «ამ წესით იჭმარდნენო» (205) და სხვ. რიგის მნიშვნელობა აქვს წესს აგრეთვე სხვა იმდროინდელ და ადრინდელ წყაროებშიც.

ამრიგად, ქართულ სამართალში ჩვენ ადრევე მნიშვნელობის გამოხატველი სამი ტერმინი გვაქვს: წესი, ჩვეულება და ქცევა. აქედან წესი და ჩვეულება თითქმის ერთგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა, ხოლო ქცევას უფრო საერთო მნიშვნელობა ჰქონდა. /საბოლოოდ კი ადრე-წესების სინონიმად შენა-

რჩუნებულ იქნა ტერმინი ჩვეულება, რომელიც დღესაც ამავე მნიშვნელობით იხმარება. ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის თვალსაზრისით ჩვეულება ას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ადათთან შედარებით. /

ქ მუსლიმანური (არაბულ-სპარსულ-თურქული) ტერმინი ადათი, როგორც ითქვა, გვიან ჩნდება ქართულში და ძესაძლებელია შემოსული იყოს ან თურქულ-სპარსულიდან, ან ჩრდილო და აღმოსავლეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომებთან კავშირითიერობის შედეგად. /

ჩვეულებითი სამართლის ნორმები უხვად არის მოცემული ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებში. როგორც ბაგრატი ქურაპალატის, ისე ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნის მთავარ წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენს. სამართლის წიგნი უმთავრესად ძველ ქართულ ზნე-ჩვეულებათა კრებულია. ადათობრივი სამართლის ნორმები გამოყენებულია კანონმდებლობის მიერ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო (განსაკუთრებით საოჯახო და მემკვიდრეობით) და. სპაროცესო სამართლის დარგშიც. / კომპოზიციების, ანუ სისხლის დაურეგების სისტემა, გამაწილებელი სასჯელები, გაძევება, საუფროსო, საუმცროსო, საცოლის მოტაცება, საქორწინო საჩუქარი, მზითვეი, ქორწინებისა და მემკვიდრეობის წესი, სესხი, მამულის ყიდვა-გაყიდვა, ფიცი და მოფიცარნი, შუაკაცი და მთელი რიგი სხვა ინსტიტუტები, რომლებიც გათვალისწინებულია ბექასა და ალბუღას სამართალში, ადათობრივი სამართლის სფეროდან არის შეტანილი კანონმდებლობაში<sup>1</sup>. /

იგივე უნდა ითქვას გიორგი ბრწყინვალის «ძეგლის დადებაზეც». როგორც ცნობილია, ძეგლის დადება უმთავრესად სისხლის სამართლის ძეგლს წარმოადგენს. სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობას მხოლოდ ორიოდ მუხლი ეხება. ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტები ფართოდ არის გამოყენებული სასჯელთა დარგში. ადათობრივი სამართლიდანაა ძეგლში შესული და დაკანონებული შურისძიების უფლება, სისხლის დაურეგება, გაძევება, გაპარსვა და სხვ. / კანონთა მთელ რიგ მუხლებში (22, 25, 28, 29; 44) აღიარებულია შურისძიება, როგორც დაზარალებულის კანონიერი უფლება დამნაშავეს მიმართ.

ძეგლის დადება დამნაშავეთა მიმართ სასჯელის ზომად ფართოდ იყენებს გაძევებას. გაძევება ძველი ჩვეულებაა, რომლის

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 81—99.

საწყისები თემური წყობილებიდან მომდინარეობს. თავდაპირველად გაძევება დაკავშირებული იყო სისხლის აღების ადათთან. დამნაშავე გაურბის შურისძიების რისხვას, იძულებულია გამოირდეს მოსისხლე მტერს. ძეგლის დადება დანაშაულის სიმძიმის მიხედვით ითვალისწინებს დამნაშავეს სამუდამო ან დროებით გაძევებას. კანონი იცნობს გამაწილებელი სასჯელის თავისებურ სახეს, რომელსაც გაპარსვა ეწოდება. თუ თემის, სოფლის ან ხევის მცხოვრებნი თავიანთ გამგებელს მოკლავენ, სხვა სასჯელებთან ერთად მკვლელობაში მონაწილე თვითელი სოფლის თავკაცი—«სოფლის თავადი» უნდა «გაიპარსოს». გამაწილებელი სასჯელის ეს სახე კანონმდებლობაში შეთვისებულია ადათობრივი სამართლიდან. ძველი ადათ-ჩვეულებების ნიშნებს კანონთა სხვა მუხლებშიც ვხვდებით<sup>1</sup>.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის მთავარ წყაროს ჩვეულებითი სამართალი ძეადგენს. როგორც სამართლის წიგნის შესავლიდან ჩანს, სჯულმდებელი მეფის განკარგულებით საკანონმდებლო კომისიაში მონაწილეობისათვის, სხვებთან ერთად, მოუწვევიათ ადათ-ჩვეულებების მცოდნე მხოვანი პირებიც. «კითხვითა და ქკუთათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა გავაჩინეთ და დავწერეთ, რომელსა მივწვდით და ანუ გონებანი ჩვენნი სამართალთა მიხვდენ... ზოგივერ მთვიგონეთ და არც მისწვდების კაცის გონება. ვინც მიხვდეს რასმე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა და მართებულს იქს». ამრიგად, ჩვეულებითი სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის ნორმებს ფართოდ აქვთ გახსნილი გზა კანონმდებლობაში. ჩვენ მხოლოდ მივუთითებთ ჩვეულებითი სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებსა და ნორმებზე, რომლებიც შეტანილია ვახტანგის კანონებში. სამართლის წიგნის 6—14 მუხლებში გათვალისწინებულია «საქართველოს რიგი და სამართალი», ე. ი. სასამართლო დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა: ფიცი, შანთი, მდულარე, ხმალი, მოწამე, ცოდვის მოკიდება. სასამართლო მტკიცებულობის ეს ფორმები ქართული ადათობრივი სამართლის ინსტიტუტებია.

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957, გვ. 29—42.

სამართლის წიგნის 26—39 მუხლები სისხლის განაჩენებს, ანუ სისხლის დაურევებას ეხება. აქ დაწესებულია დიდებულის, სხვადასხვა კატეგორიის აზნაურის, მსახურისა და გლეხის სისხლი. «ეს სისხლის განაჩენები რაც დაგვიწერია, ძველად განაჩენი დაგვიწერია, თვარა სხვისა არა დაგვირთავს რა», ამბობს სჯულმდებელი მეფე. სისხლის დაურევება ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტია, რომელიც შეტანილია ვახტანგის კანონებში.

ჩვეულებითი სამართლის მნიშვნელოვან ნორმებს შეიცავს სამართლის წიგნის 35—49 მუხლები, რომლებიც მკვლელობისა და სხვადასხვა კატეგორიის ქრილობის საზღაურის საკითხებს აწესრიგებს.

/ ბექასა და ალბულას კანონების მეშვეობით ვახტანგის სამართალში შეტანილია ძველი ქართული ჩვეულებითი სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები. / ახლა უკვე დადგენილია, რომ ვახტანგ VI საკანონმდებლო კომისიამ ფართოდ გამოიყენა ბექასა და ალბულას კანონმდებლობა. აღნიშნული სამართლის წიგნის მთელი რიგი მუხლები, რომლებიც ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტებს ითვალისწინებენ, ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით ან უმნიშვნელო რედაქციით შეტანილია ვახტანგის კანონებში. ბექასა და ალბულას სამართლის ძლიერი გავლენა განსაკუთრებით ემჩნევა ვახტანგის კანონების 1—88 მუხლებს<sup>1</sup>.

ვახტანგის სამართლის წიგნის ის ნაწილი, რომელიც გაყრისა და მემკვიდრეობის საკითხებს ეხება (მუხ. 98—115), ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტებს ითვალისწინებს. აგრეთვე კანონთა დადგენილებანი, რომლებიც სესხისა და ვალის ურთიერთობებს აწესრიგებენ (116—149) ადათობრივი სამართლის სფეროდან არის შეტანილი კანონმდებლობაში. ჩვეულებითი სამართლის ბევრი ნორმა გათვალისწინებულია სამართლის წიგნის იმ მუხლებში, რომლებიც ყიდვა-გაყიდვისა და გაცვლილობის ხელშეკრულების (160—167), წყლის, ტყისა და საძოვრის (169—172), ლაშქრობისა და ნადირობის (178—183) საკითხებს აწესრიგებენ.

ფეოდალური ადათობრივი სამართლის წესები, ბატონყმური ურთიერთობის გამომხატველი წეს-ჩვეულებები დაკანონებულია სამართლის წიგნის 198—204 მუხლებში. ამავე საკითხს ეხება სამართლის წიგნის სხვა მუხლებიც. მზითვისა და ნიჰნის (223—

<sup>1</sup> ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 107—108.

224), ანდერძისა და მემკვიდრეობის (232—233), თავდებობის (234), მთხრობლობის, ფიცის (236—239) და აგრეთვე სამართლის წიგნით გათვალისწინებული მთელი რიგი სხვა ინსტიტუტები ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტებია, «რომელსა მიეწვედით და ანუ გონებანი ჩვენი სამართალთა მიხედნენო»,—ამბობს სჯულმდებელი მეფე სამართლის წიგნის პირველ შესავალში.

ქვემოთ ჩვენ შევადარებთ ვახტანგის სამართლისა და ჩვეულებითი სჯულის იმ მუხლებს, რომლებიც შინაარსობლივად ანალოგიურია ან შეტ-ნაკლებად ენათესავენა ერთმანეთს.

довольно<sup>1</sup> писано, что и было и есть в употреблении кроме граждан<sup>2</sup>, при разделе которых были употребляемы следующие обычаи.

40. Случавшийся между братьями, дядями и двоюродными братьями во время нераздела<sup>3</sup> при радостных и печальных случаях издержки, убыток, прибыль, долги и прочие считались за общее всем<sup>4</sup>; и при разделе общее именно всем равно разделялось, исключая нижеписанной статьи<sup>5</sup>.

41. Когда братья, дяди и двоюродные братья добровольно не хотели<sup>6</sup> разделиться и происходили жалобы, то тифлисский чиновник старался понудить их, назначить<sup>7</sup> к разделу своему несколько по-

<sup>1</sup> Вахтанга довольно] Вахтанга. Имеется в виду Судебник Вахтанга VI.

<sup>2</sup> граждан] горожан.

<sup>3</sup> случавшийся... во время нераздела] случавшийся у неразделенных братьев, дядей и двоюродных братьев.

<sup>4</sup> и прочее... общее всем], поступления и платежи, — все это вместе учитывалось,

<sup>5</sup> нижеписанной статьи] нижеописанных статей.

<sup>6</sup> добровольно не хотели] с доброго согласия не делились.

<sup>7</sup> понудить их, назначить] чтобы они назначили

თუ ისინი ამას არ მოინდო-  
შებდენ, დაუნიშნევდა თითონ რამ-  
დენსამე პატივცემულს მოქალაქე-  
თაგანსა და მიანდობდა მათს გა-  
ყრას და, უკეთუ საჭიროდ დაი-  
ნახევდა, თითონაც დაესწრობოდა,  
თუ არა, — ისინი გაჰყრიდნენ  
ესრედ.

42. გაყრისა შინა შესვლი-  
სას თუ ერთს მეორეზედ ექვი  
ექნებოდათ და გამყრელნიც იმ  
მოღებულს ექვს დაინახევდენ  
მართლად და კიდევ ამჯობინებ-  
დენ შეეკრას, მაშინ ვის ჯელთაც  
მათი საერთო ჭონება იქნებოდა,  
იმას შეეკრევდენ.

[45] 43. უფროს ძმას მამულისა  
და ჭონების მიხედვით ერთ-ერთს  
მამულს საერთოდამ საუფროსოდ  
მისცემდენ; და, თუ მცირე ჭონე-  
ბა ექნებოდათ, რომ მამული არ  
ერგებოდა<sup>1</sup>, მათის შეძლების მი-  
ხედვით თეთრს მისცემდნენ.

<sup>1</sup> რომ მამული არ ერგებოდა]  
რომ მამული არ ეგებოდა, რომ მანული  
არ ერგებოდა.

четных мокалаков, каковых  
назначал и сам<sup>1</sup> в случае, ког-  
да они не хотели, и поручал  
им учинить раздел; а ежели  
почитал за нужное, то и сам  
присутствовал при таком  
разделе, который<sup>2</sup> производил-  
ся следующим образом.

42. При начатии раздела,  
буде подозревали один друго-  
го и раздельники таковое  
подозрение признавали за дей-  
ствительное, то сии последние  
обязывали того, у кого в ру-  
ках находилось общее име-  
ние, не иметь до него дела.  
Итак оное до времени оста-  
валось неприкосновенным<sup>3</sup>.

43. Старшему брату, судя  
по имениям<sup>4</sup>, одно какое-ли-  
бо<sup>5</sup> из общего преимуще-  
ственно отдавалось за старшин-  
ство. Буде же мало было  
у них имений, то, судя по  
их состоянию, отдавалась ему

<sup>1</sup> почетных мокалаков.. и сам]  
горожан, назначал и сам несколь-  
ких почетных горожан

<sup>2</sup> при таком разделе, кото-  
рый] нет так, раздел производил-  
ся ими.

<sup>3</sup> то сии последние... неприкос-  
новенным] и предпочитали нало-  
жить арест, тогда они, у кого в  
руках находилось общее имение,  
пакладывали запрещение.

<sup>4</sup> имениям] имению и имуще-  
ству,

<sup>5</sup> какое-либо] какое-либо име-  
ние

მაგრამ, თუ იმ უფროს ძმას დიდხან ოჯახი ძეგნახა, ქირი და ლხინი გარდებოდა, აგრევე თავის ოჯახისათვის არა დაეკლო რა, იმას უფრო მეტს საუფროსოს მისცემდნენ.

денежная сумма. Когда старший брат долгое время содержал дом и при радостных и печальных случаях был хозяином онаго так, что дом никакого убытка не получил во время его распоряжения, то такому более отдавалось за старшинство.

44. თუ უფროსი<sup>1</sup> ძმას გაყრამდის ქალები არ ეყოლებოდა გათხოვილი, და გაყრისას გასათხოვარი ქალები ეყოლებოდა, მათის შეძლების<sup>2</sup> მიხედვით ერთის ქალის მზითევს<sup>3</sup> მისცემდნენ საერთოდამ და, თუ გათხოვილნი ეყოლებოდა, არას მისცემდნენ.

44. Когда старший брат имел у себя дочерей и их раздела не выдавал замуж, во время же онаго были дочери готовы к замужеству, то при разделе, смотря по их состоянию, давали из общаго имения приданое одной дочери. Когда же имел он уже замужних, то ничего им не давали.

45. რომელიც ძმა გაყრამდის დაუსახლებელი იქნებოდა, გაყრისას რაც უფროსის ძმის ცოლისათვის [V] ნიშნად გაგზავნილა, უმცროსებსაც<sup>4</sup> იმ ფასის ნიშანს მისცემდნენ საერთოდამ, თუ ისიც პირველი შეძლება ექნებოდათ, აგრეთვე საქორწილოსაც თეთრად გაუზენდნენ იმდროინდელის მათის შეძლებისამებრ.

45. Каждому холостому брату при разделе отдавалась из общаго имения цена того брачнаго знака, который был послан к жене старшаго брата, буде они были в прежнем же своем состоянии; равно и на издержки свадебныя назначали им деньгами по тогдашнему их состоянию или возможности.

46. რომელს ძმასაც, უფროსს თუ უმცროსს<sup>4</sup>, თავის საკუთრის გარჯით თეთრი ანუ ქონება მოპოვებული ექნებოდა და თავისის ღვაწლით შემატებული, იქიდან იმის გარჯის და მოგების

46. Когда какой из братьев, старший или младший, трудами своими приобретае деньги или имение, тогда такому, смотря по прибытку, отдавали из онаго за труды,

<sup>1</sup> უფრო. <sup>2</sup> შეძლების <sup>3</sup> ზითვე

<sup>4</sup> უმცროს

მიხედვით საქირნახულოს მისცემდენ და დანარჩომს ძმათ გაუყოფდენ.

47. გაყრისას თუმცა რომლისამე ძმისაგან აღებულს ვალსაც საერთოს ქონებიდან მისცემდნენ, ანუ როგორც ქონებას გაუყოფდენ, ისე ვალსაცა.

მაგრამ, თუ ვალის ამღებს ძმას თავის ბედოვლათობაზედ გაეფუჭებია ესრედ, რომ არც ოჯახზედ და არც თავის სახმარებელს ხარჯათ მოეხმარებინა, არამედ ბედოვლათობით [46] გაეფუჭებია, და ეგრეთვე ის აღებულს ვალი ვაქრობით არსად დახიანებია, და იმ ვალის საერთოდამ მიცემას გამყრელნი დიდს დაკლებად დაინახევდნენ, ასე რომ ვალის ოდენი იმას არა თუ წილი არ შეხვდებოდა, არამედ სხვა ძმათაც თავიანთის წილიდამ დააკლებოდა, მაშინ გამყრელნი სვინიღისისამებრ მოიქცევოდნენ, იმ ბედოვლათის ძმისაგან აღებულს ვალს სრულებით საერთოდამ არ გარდუხდიდნენ, არამედ ცოტას რითამე ქემწეობას მისცემდენ.

48. გაყრის დროს ვისაც რატანისამოსი ანუ იარაღი ექნებოდა, ყველას თავთავისას მისცემდნენ, თუნდა მეტ-ნაკლებადც ღირებულყო. და თუ მამული მოფი, იარაღი იქნებოდა დარ-

ა остальное разделяли прочим братьям.

47. Хотя при разделе долг, взятый каким-либо из братьев, платили из общего же имущества, или подобно имению разделяли и долги, но ежели должный брат издержал долг так, что не употребил оного ни на дом, ни на свои потребности и притом в занятом им долгу не получал при торговле убытка, а коротко сказать, промогал оный как-либо, и ежели разделящики усматривали могущий последовать от уплаты сего долга из общего имущества такой убыток, что не только должнику не доставалось бы части, равной долгу его, но и другие братья в своих частях потерпели бы ущерб, тогда разделящики поступали по совести, т. е. занятый расточителем долг не весь платили из общего, но давали ему только малую помощь.

48. При разделе, кто какое имел платье или оружие, каждому свое отдавали, какой бы цены что ни было; когда же были отцовския оружия<sup>1</sup>,

<sup>1</sup> были отцовския оружия] было отцовское ружье, оружие.



ზომილი, იმასაც, რომელს უნც-  
როს ძმას არ ექნებოდა, იმას მი-  
სცემდნენ.

49. რაც საოჯახო წიგნი  
ანუ ასეთი რამ იქნებოდა, რომ  
გაწილვა არ შეიძლებოდა, იმას  
უფროსს ძმას მიაბარებდნენ, თუ  
რომ ის უფროსი ძმა გიგი ანუ  
ბნედიანი და ანუ ბედოვლათი  
არ იქნებოდა, ესრედ რომ [V] ის  
მიბარებული საჭიროს დროს ყო-  
ველს ძმათ შესძლებიყო მო-  
ხმარება.

50. გაყრის დროს ვისაც  
რაერთი ვალი ძეხვდებოდა, ის  
იმას უნდა გარდაეხადა, ანუ თა-  
ვისის საკუთრის თამასუქის მიცე-  
მით მასესხებელი სეეჯერებინა  
და ძველი თამასუქი დაეხსნა, რომ  
მეორე ძმებთან მასესხებელს დავა  
აღარა ჰქონიყო.

და თუ ამას არ იქმოდა და  
არც მეორე ძმები უბეჯითებდნენ,  
რომ ისრე ექნევინებინათ, მაინ  
ერთობაში მიცემულის თამასუქის  
ძალით თეთრს იმას გამოართმე-  
დნენ, ვისაც მათგანს იფრლება  
ექნებოდათ.

51. გაყრის დროს თუ რო-  
მლისაჲე ძმისათვის სიმამრიანდგან  
ფეშქაშათ მოსული თეთრი აღმო-

თო оныя отдавались тому  
младшему из братьев, кото-  
рый не имел таковых.

49. Домашняя вещь, та-  
кая, которых делить нельзя,  
наприм. бумаги и проч.<sup>1</sup>; по-  
ручаемы были старшему бра-  
ту, ежели только старший  
брат не был глуп, или ума  
лишен<sup>2</sup>, или мот, для того,  
чтобы теми вещами в случае  
нужды всем братьям можно  
было воспользоваться.

50. Кому сколько при раз-  
деле доставалось долгу, то и  
должен был оный уплатить,  
или удовлетворить заимодав-  
ца векселем на собственное  
свое имя, выкупя старый век-  
сель, чтобы заимодавец с  
другими братьями не имел  
дела. Буде же он сего не  
делал, да и другие братья о  
том не постарались<sup>3</sup>, то в си-  
лу данного во время неразде-  
ла векселя выскивали долг  
с того, кто в состоянии был  
платить.

51. Когда при разделе ока-  
зывался издержанным прина-  
длежавший какому либо брату

<sup>1</sup> Домашняя вещь, такая...  
проч.] Самойная грамота и такие  
вещи, которых делить нельзя.

<sup>2</sup> глуп... лишен] ума лишен,  
или припадочный.

<sup>3</sup> о том не постарались] не  
постарались, чтобы он то сделал.

ჩნდებოდა დახარჯულად, იმ თეთრს უსარგებლოდ საერთოდამ მისცემდნენი მას, ვის სახელზედაც<sup>1</sup> მოსულიყო [47].

თუ რომლისაზე ძმის ცოლის მზითვეი, თეთრი თუ ნივთი, საოჯახოდ დახარჯული იქნებოდა, იმას საერთოდგანვე სარგებლით მისცემდნენ ისე, როგორც გარეშე ვასესხებელს.

და თუ რომ მას ქალს ექნებოდა გაცვეთილი, დახარჯული ანუ დაკარგული, იმას კი არ უზღამდნენ.

52. გაყრისას დედას ანუ დედისნაცვალს ზითვისა, ნიშნისა, პირის სანახავისა ანუ ქმრისაგან<sup>2</sup> ნაჩუქებისა რაც რომ ექნებოდა, ისინი მათვე მიეცემოდათ, და თუ იმაებისაგან თავის ქალების გათხოვებისას ექნებოდა მზითვად მოცემული რამ, იმას კი არ უზღვევდნენ, და, გარდა იმისა, უკეთუ გათხოვდებოდა ისა, — მხოლოდ სამარხს.

და თუ არ გათხოვდებოდა, სარჩოსაც მისცემდნენ და სამარხსაც რაოდენსაზე რიცხვს დაუნიშნავდნენ შეძლებისამებრ. და იმ მიცემულს მზითვეს და ნიძანს, თუ სახელდობრ რომელსაზე შეიღს განსაკუთრებით არ უანდერძა<sup>3</sup>, შემდგომ იმის სიკვდილისა [V] შეიღნი თანასწორ დაიმკვიდრებდნენ; არამედ ღირსებულს ნივთს გარეშეს კაცს ვერ უანდერძებდა.

денежный подарок от тестя, то сумму сию без процентов отдавали из общего имущества тому, на чье имя она была получена. Если же приданое жены какого-либо из братьев, в деньгах или вещах состоявшее, употреблено было на дом, то оно из общего же имущества отдавали с процентами, как бы постороннему заимодавцу; а если у нея было что-либо изношено, издержано или потеряно, то сего не платили.

52. При разделе мать или мачиха, что только имели из приданого, свадебного залога, подарка от родственников, или от мужа, все то им же отдавали; а буде из сих что-либо дано было ими дочерям своим в приданое, того им не платили; сверх того, буде оне выходили замуж, тогда только на похороны, а буде нет, то и на содержание и на похороны давали им сумму, судя по состоянию или возможности. Оно, отдаваемое им приданое, свадебный залог и проч., буде оне именно не отказывали какому-нибудь одному из сыновей, то по смерти их все сыновья равно в том участвовали; но значащих вещей ни мать, ни

<sup>1</sup> საველზედაც <sup>2</sup> ქმრისაგან. <sup>3</sup> უანდერძან

მეფის ვახტანგის კანონის ბერძენის მეორეს წიგნის რაკე [185] ნუხლი არ მოხმარებულ არს.

53. რომელს ქვრივს რძალს ეყოლებოდა შვილი, ვაჟი ანუ ქალი მცირეწლოვანნი, იმათ დააგდებდა და გათხოვდებოდა, ამისთანას შემთხვევაში, თუ ექნებოდა საკმაო მზითევი, მისცემდნენ მხოლოდ იმას თვინიერ სამარხისა, და საკმაოს მზითვის უქონლობისას, გარდა მზითვისა, სამკუდროსაც მისცემდნენ,

და თუ მეორეს ქმართან, რომელსაც შეირთავდა, შვილი არ ეყოლებოდა და უშვილოდ გარდიცვლებოდა, მაშინ იმის სამარხად, დახარჯულს გარდა, მზითევი პირველს ქმართან ნაყოლს შეიღს დარჩებოდა.

და თუ შვილი არ ეყოლებოდა და გათხოვბას მოინდომებდა ანუ იმ ოჯახიდან გასვლას, მაშინ მზითევს<sup>1</sup> გარდა შეძლებისამებრ სამარხიც მიეცემოდა.

და უკეთუ არც ერთს ქმართან შვილნი არ დარჩებოდა, ქალის მამა და ძმები გაიტანდნენ თავიანთგან მიცემულს მზითევს<sup>1</sup>, რაც დაქარგული ან გაცვეთილი და თავისაგან დახარჯული არ იქნებოდა:

[48] 54. ოდესაც გაყრისას ყოველსავე ზემო მუხლებთამებრ იმო-

<sup>1</sup> მზითევს

მაცხა პოსტონიიმ ლუდამ ნე მოგნი ოტკაზივატი პო დუხვინოი.

Статья 185 «Зак. греч.». не употреблялась.

53. Когда вдовствующая невестка, имевшая малолетних детей, оставив их, выходила замуж, то, буде имела она довольно приданого, давали ей только оное, без похоронного, а в случае неимения довольно приданого, сверх приданого давали ей и похоронное. Буде же от второго мужа, за котораго выходила, не имела детей и бездетно умирала, тогда, кроме употребленных на похороны издержек, приданое оставалось детям от первого мужа. Буде же, не имея детей, хотела выйти замуж, или из того дома совсем удалиться, то сверх приданого по возможности отдавали ей и похоронное; а ежели ни у одного мужа<sup>1</sup> детей не оставалось, то отец ее и братья по смерти ее получали обратно данное от себя приданое, кроме ею издержанного, потерянного и изношенного.

54. По окончании раздела по вышесказанным статьям

<sup>1</sup> у одного мужа] ни с одним мужем.

ქმედებდნენ, შემდგომ დაუწერდნენ რამეთინიც ძმანი იყვნენ იმთენს გაყრის წერილს და ისი წერილნი როგორც გამყრელთაგან, აგრეთვე ტფილისის მელიქის და ქეთხუდებთაგან დაიბეჭდებოდა და დარჩებოდა სრულს ძალასა ზედა, და შემდგომ იმ გაყრის წერილის მიცემისა ყოველნივე თავთავისთვის იქნებოდნენ და ერთმანერთთან<sup>1</sup> აღარაფერი საქმე ექნებოდათ.

55. გაყრის წერილის მიცემის შემდგომ თუ რომელსამ ძმას უპოვნიდნენ დამალულს თეთრს ანუ ნივთს, ასე რომ გაყრის ჟამს გამყრელთათვის არ გამოეჩინოს, ის დამალული მიეცემოდა [V] იმ ძმათა, რომელთათვისაც დაემალა, და დამალავს<sup>2</sup> იქილამ არაფერი წილი არ დაედებოდა, თუ ძმები თავიანთის ნებით არ მისცემდნენ.

ჩვეულება ესე არა მხოლოდ მოქალაქეთა ზედა იხმარებოდა, არამედ ქეთილშობილთა ზედაცა ტფილისში.

56. გაყრის შემდგომ თუ მათ წინაპართაგან<sup>3</sup> აღებული ასეთი ვალი გამოჩნდებოდა, რომ მათ არა სცოდნიყოთ, იმ ვალს როგორც ქონება ექნებოდათ გაწილული, იმის მიხედვით მიაცემივნებდნენ; — აგრეთვე ასაღებსაცა.

написывали всем братьям порознь раздельные записи, которые были утверждаемы печатьми как посредников, так и тифлисского мелика и почетных граждан<sup>1</sup>, чрез что и получали они полную силу и после того всяк оставался сам по себе, так что друг с другом более не имели никакого дела.

55. По отдаче раздельных записей, буде у какого брата находили утаенные деньги или вещи, которые при разделе посредникам не были явлены, то таковые вещи разделяли прочим братьям, а утаившему никакой части не полагали, ежели только братья добровольно не давали. Обычай сии нетоко относятся на мокалаков<sup>2</sup>, но даже и на благородство в Тифлисе.

56. При разделе, буде оказывался занятый предками долг, который им не был известен, то таковой долг сообразно разделенному именно заставляли платить, равно как и впредь занимаемый<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ერთმანერთან. <sup>2</sup> დამალავს

<sup>3</sup> წინაპართაგან

<sup>1</sup> почетных граждан] кетхудов,

<sup>2</sup> мокалаков] горожан,

<sup>3</sup> впредь занимаемый] причитающиеся поступления.

57. არ არის შესაძლებელი, რომ მეზობელმა მეზობლის სახლის მწრისაკენ თავის სახლს ფანჯარა გაუკეთოს, რომ [49] შიგ ჩაუჭრებდეს; და თუ შუაზე ქუჩა არის, თავის სახლს ფანჯარას დაატანს, საცა უნდა. ქუჩის მხარისაკენ.

და გარდა ამისა არცა ვის ძალუცს, რომ თოვლი ანუ წყალი მეზობლის სახლის ეზოსა და ბანზედ მიჰყაროს და მიუგდოს, და თუ ძველთაგან ჰქონია გზათა, მაშინ ველარას ეტყვის მეზობელი მეზობელს.

58. უკეთუ ვინმე მისცემდა ვისმე ცარიელს მიწას, ვენახად რომ აეშენებინა, მათ შუა ამისთვის პირობა, როგორც იქნებოდა, წერილით, იმას ვერ გარდასცილდებოდნენ, და როდესაც ვადა შესრულდებოდა, შუა გაიყოფდენ მიწის პატრონი და ამშენებელი, ანუ გააკეთებდენ საერთოდ და მოსავალს შუა გაიყოფდენ.

და თუ ვენახის გამკეთებელი [V] კაცი მოსული იქნებოდა და იმას თავის ბატონი აყრიდა, ისი ნაშენობა დაფასდებოდა და ნახევარ ფასს<sup>1</sup> მამულის პატრონი ამშენებელს მისცემდა, მაგრამ

57. Сосед не правс делать окна в доме своем к дому своего соседа так, чтобы можно было смотреть в оный; ежели же посредине есть улица, то может он делать своему дому окна везде к улице. Притом никто не может бросать снега на верх дома, или пускать воду<sup>2</sup> на двор соседа, разве издавна была дорога, и в таком случае сосед не может запретить того соседу.

58. Когда кто давал кому-нибудь пустое место для заведения виноградного сада, то какое между ними полагалось<sup>3</sup> условие, никто онаго не мог нарушить. По окончании же срока разделяли пополам хозяин земли и заводивший, или обрабатывали одной вместе и доходы делили пополам; буде же заводивший сад был пришлец и его свой господин переселял, то по оценке сада хозяин должен был заплатить ему половинную цену; но все р-

<sup>1</sup> ფას.

<sup>1</sup> дома]+и виноградника

<sup>2</sup> на верх... воду] и пускать воду на верх дома или

<sup>3</sup> полагалось ]полагалось письменное

რაც პირველვე წერილით პირობა დაიდებოდა, ისე გარდასწყდებოდა.

და უკეთუ მამულის პატრონი იმ მამულის გასყიდვას მოინდობებდა, იმის სყიდვა გამკეთებელს შეხებდებოდა და, თუ ის არ იყიდდა, შემდგომ მამულის პატრონს ეძლო, ვასთვისაც სდომიყო, მიეყიდნა.

### მოსამართლეთ და ბკეთ , განჩინებისათვის

59. განჩინება მდივანბეგთა, ბკეთა და აღგილობით დადგინებულ მოსამართლეთა, სადაოს საქმისათვის ქმნილი, [50] დარჩებოდა სრულს ძალსა ზედა მეფისაგან დაუმტკიცებელიცა, უკეთუ მეფე იმ განჩინების წინააღმდეგს წერილობითს საბუთს არ უბოძებდა და ანუ თვით მეფე არ ინებებდა იმის მოშლას და გარჩევას.

60. ორთა მოდავეთაგან საქართველოსა შინა არა აღმორჩეულ არს შეკრულების კელწერილით ბკენი, არამედ უწერილოდ. ესრეთ ორნი მოდავენი, ვინც იქნებოდნენ, ურთიერთის თანამობით გამოირჩევენ ორს, სამს, ექვსსაც<sup>1</sup> ბკეს და მეტს კი აღარ, ანუ მეფის ბრძანებით, ანუ სადაურნიც იქნებოდნენ მოდავენი, მუნებურის მოხელის ბრძანე-

шенне основывалось на положенной между ними сначала условной бумаге. Когда хозяин хотел продать то имение, то сперва покупать оное право принадлежало обработавшему, который, буде се-го не желал, то хозяин мог продать кому хотел.

### О решениях судейских и медиаторских

59. Решения мдиван-бегов, медиаторов и местно поставленных судей, учиненные о спорных делах, оставались в полной силе и без царского утверждения, разве царь давал бумагу против того решения, или сам рассматривал и пересвершал.

60. От двух тяжущихся в Грузии не выбирались с обязательною бумагою<sup>1</sup> медиаторы, но без оной таким образом: два тяжущиеся, кто бы ни были они, по взаимному между собою согласию выбирали двух, трех и до шести, но не более медиаторов, или по царскому приказанию, или где находились, по приказа-

<sup>1</sup> ექვსაც

<sup>1</sup> с обязательною бумагою] с письменным обязательством.

ბით, და ისე გარდასწყვეტდენ მათს სადაოს, დაუწერდნენ გარდაწყვეტილობის განაჩენს ორსავე მხარეს.

და თუ, ვინ იცის, [V] რომელიმე მათგანი მოჩივარი იჩივლებდა მეფეთა ანუ მოხელეთათანა, ასე რომ მედიატორთაგან უსამართლო დამემართათ<sup>1</sup>, გაშინჯევდნენ მათს გარდაწყვეტილობის განაჩენს. უკეთუ მართლად ამოჩნდებოდა მოჩივარი, მათს გარდაწყვეტილობას მოშლიდნენ და მოჩივარს კანონიერს კმაყოფას მისცემდნენ. და თუ კანონიერად იქნებოდა გარდაწყვეტილი, განაჩენსაც დაამტკიცებდნენ და მას ტყუილს მოჩივარსაც ჯარიმის გარდახდევინებით დასჯიდნენ.

და როდისაც გაიხსნა რუსეთის მმართველობა, აღმორჩევა წარმოებს მედიატორთა მოჩივართ კეთილნებობით თვინიერ მართებელობის გარეეთა. მისცემენ მედიატორთ [51] შეკრულების კეცლის წერილს და დაამოწმინებენ სასამართლოსაც,

მეთის ვაბრანგის კანონის პირველის წიგნის ხე [215], მეორის წიგნის ბერძულის რღვ [136] და აღბუღას მეექვსეს წიგნის ე<sup>2</sup> [90], ეთ<sup>3</sup> და რ<sup>4</sup> [100] შეიღნი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არს, და ბერძულის მეორეს წიგნის, რღვ [137], და რღვ<sup>5</sup> [138] მუხლი სრულს ძალაზედ მაშინ<sup>6</sup> მოიყვანებოდა, ოდესაც ბქენი კემმართვეობით განსჯიდნენ.

<sup>1</sup> დამემართათ

<sup>2</sup> ეა. <sup>3</sup> რ. <sup>4</sup> რა. <sup>5</sup> რღვ. <sup>6</sup> რღვ.

нию тамошнего чиновника, и они решали их спор, написавши решительное определение для обеих сторон; в случае же жалобы которого-либо из них к царю или чиновнику в том, что он обижен медиаторами, рассматривали решительное определение и буде жаловавшийся оказывался правым, то, уничтожая учиненное решение, доставляли обиженному законное удовлетворение: если же медиаторское решение было правильно, то оно утверждало, а неправого челобитчика штрафовали. По открытии же здесь российского правительства выбор медиаторов делается от тяжущихся добровольно<sup>1</sup>, без смотрения со стороны правительства; только что данные медиаторам обязательныя подписки засвидетельствуемы бывають в присутственных местах.

Статьи 215 «Уложения» царя Вахтанга, 136 «Зак. греч.», 90, 99 и 100<sup>2</sup> «Зак. Агбуги» по сему обычаю употреблялись. а ст. 137 и 138<sup>3</sup> «Зак. греч.» тогда имели свою силу, когда медиаторы по истине судили.

<sup>1</sup> добровольно] по соглашению,

<sup>2</sup> В тексте—«91, 100 и 101»

<sup>3</sup> В рукописи ошибочно—«რღვ» (139)

61. უკეთუ დედოფალნი ანუ ძენი მეფეთანი გასცემდენ თავიანთ წილს ყმასა და მამულსა, მეფეთაგან ნაბოძებთა ანუ თვისგან ნასყიდთა, ისი გაცემული ყმა და მამული დაემტკიცებოდათ, ვისაც უბოძებდენ, ვითარცა მეფეთ ნაბოძები და აღარ მოეშლებოდათ, იქნებოდა, რომელთამე მეფეთათვისაც დაემტკიცებინათ და რომელთამე არა, მაგრამ ორივე მტკიცე წყალობა იქნებოდა და არა მოიშლებოდა.

62 უკეთუ გლეხნი თავისის მებატონისაგან იქნებოდნენ წარგზავნილ სადმე საქიროს საქმისათვის და იგი წარგზავნილი კაცი დაიკარგებოდა, თუ მებატონეს [V] შეეძლო თავისის მნებებელობით დაიხსნიდა და ისევ იმისი ყმა იქნებოდა; და თუ თავისის ნაქონის მამულიდამ დაიხსნებოდა, მაინც მებატონისა იყო.

და თუ იგი, დაკარგული კაცი, თავისთავად მოვიდოდა თავისავ ნაქონს მამულზედ და ხანს რასმე დაყოფდა, ერთს კვირასაც არის, მებატონეს ველარ წაუვიდოდა ყმობიდაჲ.

61. Если царицы, либо царевичи отдавали в подарок крестьян и имущества из своего удела, пожалованного царями, или ими купленные, то оные были утверждаемы за теми, коим жалованы были, как бы пожалованные царями, которыми иногда были поднесены на утверждение, а иногда нет; но всегда были тверды и ненарушимы.

62. Когда крестьянин был посылаем своим господином за его надобностью и попался в плен<sup>1</sup>, тогда, ежели господин по произволению своему выкупал его на свой счет, либо на счет его имени, или буде в плен захваченный<sup>2</sup> приходил сам собою добровольно<sup>3</sup> на свою землю, где проживал несколько времени, хотя одну неделю, то во всех сих случаях не мог он выйти из крестьянства<sup>4</sup> от своего господина; равно когда во время нападений

<sup>1</sup> попадался в плен] пропадал.

<sup>2</sup> в плен захваченный] пропавший

<sup>3</sup> сам собою добровольно] сам собою

<sup>4</sup> крестьянства] крепостной зависимости



და კიდევ, თუ რომელსამე შემთხვევით მტერი დაესხმოდათ, წახდებოდა ქალაქნი ანუ სოფელნი, და იქ დაკარგული<sup>1</sup> ტყვე როცა მოვიდოდა, მებატონეს<sup>2</sup> არ დაეკარგებოდა და ვერც ყმობიდან წაუვიდოდა.

და თუ მებატონისაგან ზემოთქმულთამებრ გაგზავნილი კაცი დაიკარგებოდა და თავისის მეცადინობით მოვიდოდა ტყვეობიდან და თავის ნაქონებს [ნ<sup>2</sup>] მამულში აღარ შევიდოდა, მებატონის ყმობიდან თავისუფალ იყო მხოლოდ თვით ცოლით თვისით და შვილნი მისნი პირველის ბატონისა იყვნენ და არ გამოერთმევიდათ ისინი პირველს მას მებატონეს.

63. უკეთუ მეფე ანუ დედოფალი ანუ ძენი მათნი და ან თავადნი ახლის სოფლის აღშენებას იწყობდნენ და შეასრულებდნენ, მათ გლებთ აზატობას მისცემდნენ რამდენსამე წელს, და არა ნაკლებ ექვსის წლისა, ვითარცა სახასოთა, აგრეთვე სათავადოთა.

64. არიან თავადნი და აზნაურიცა, რომელთაც აქვსთ ალაგი ტყისა, წყლისა და ბალახისა მთით და ბარით და ჰფლობენ

неприятельских были уведены из городов или селений в плен, то помещичьи крестьяне по возвращении не могли отходить от своих господ; но когда посланный человек от господина своего по выказанному попадался в плен<sup>1</sup>, потом старшинами своими освобождался из оного<sup>2</sup> и по возвращении своем не оставался более на прежней помещичьей земле, то таковой был свободен от крестьянства<sup>3</sup>, но только он сам с женою, а дети его оставались у прежняго помещика и не могли от него отходить.

63. Когда царь, царица, царевичи или князья приступали к постройке новых селений и оканчивали оныя, то давали вновь поселенным там крестьянам льготу<sup>4</sup> на несколько лет, и не менее шести, как казенным, так и княжеским.

64. Находятся князья и дворяне, кои имеют леса, воды и сенокосы с горами и долами<sup>5</sup>, и оныя употребляют

<sup>1</sup> попадался в плен] пропадал.  
<sup>2</sup> оного] плена

<sup>3</sup> крестьянства] крепостной зависимости своего господина,

<sup>4</sup> льготу] освобождение от повинностей

<sup>5</sup> с горами и долами] в горах и долинах,

<sup>1</sup> დაკარგული. <sup>2</sup> მებატონის

იმა ალაგებთა, უკეთუ არა მნებებელობითა მათითა ვერავის დალედვა მათის ალაგებიდამ სარგებლობა [V] რისამე, გარნა მუნებურნი და უახლოესნი სოფლის ხალხნი გამოიტანდნენ შეშას<sup>1</sup> და ხე-ტყეს? სახლისათვის და არა გასასყიდლად, და აგრეთვე ბალახსაც ვერ დაუჭერენ საქონლის საძოვრად.

და უკეთუ სხვა სოფლებისა რომლისამე მცხოვრებელნი ისარგებლებდენ იმ ალაგებიდამ მებატონის ნებით, მაშინ განწესებულს სარგებლობას მისცემდნენ; და თუ არ ენებათ მამულის მებატონეთ, თავიანთ მამულში არავის შეუშვებდენ თვინიერ თავის ყმისა.

65. არის ადგილობითი ჩვეულება, რომ ოდესაც გათხოვდება პირველად ქალი, მაშინ მუნებური მებატონე ანუ მოხელე, ვისიც გლეხის ქალი იქნებოდა, ვინც წაიყვანდა, წამყვანს გამოართმევდნენ ექვს აბაზს, ორს მინალთუნს და ანუ სამს მინალთუნს. და ეს ჩვეულება არის თავად- [წმ] აზნაურთ ყმათა ზედა. და თუ საჭელშიყო ყმა წაიყვანს, მასაც გამოართმევენ.

მაგრამ გარდა ამისა არის ჩვეულება, უკეთუ თავადისა და აზნაურის ყმის ცოლი დაქვრივდებოდა და ითხოვდა ვინმე, იმ

в пользу свою<sup>1</sup> и никто без позволения их не мог пользоваться такими местами; но тамошние и ближайšie поселения для себя дрова и лес для дома, а не для продажи; также не было запрещено им пасты скот на их лугах; жители же посторонних селений пользовались этими местами с позволения их помещиков не иначе, как с платежом положенной цены; а буде помещики не хотели, то не пускали никого на свою землю, кроме своих крестьян.

65. Есть местный обычай, что при первом выходе девицы замуж тамошний помещик, или его<sup>2</sup> чиновник, откуда берут девицу, высккивает со стороны жениха по 6 абазов, по 2 р. и по 3 р., каковой обычай водится особливо между княжескими и дворянскими крестьянами<sup>3</sup>, да и с казенных крестьян иногда<sup>4</sup> тоже высккивают. Сверх того есть обычай, что когда вдова крестьянка, княжеская или дворянская, выхо-

<sup>1</sup> и оныя... свою] и владеют ими

<sup>2</sup> или его] или

<sup>3</sup> особливо... крестьянами] для княжеских и дворянских крестьян,

<sup>4</sup> крестьян иногда] крестьян

<sup>1</sup> შესას<sup>2</sup> ჯე-ტყეს.

ქერიც ვინც წაიყვანს, საქერივოს გამოართმევენ ღირსებისამებრ ქერივისა ხუთის მინალთუნიდამ ვიდრე ხუთს თუმნამდე.

66. უკეთუ ინებებდა მეფე სოფლის აშენებას ანუ დედოფალი, უბრძანებდენ რომელთამე თავადთა ანუ აზნაურთაგანსა, და იწყებდენ სოფლის შენობას. როდესაც შესრულდებოდა შენობა, ანუ პირველს დაწყებაშივე, მას აღშენებულის სოფლის მოურაობას უბოძებდენ, მას მოპირნახულეს საუკუნოდ და საშვილიშვილოდ, და ექნებოდა მოუშლელად წყალობა იგი.

და გარდა ამისა ამგვარადვე უბოძებდენ სოფლებს [V] სახელოდ, რომელნიც იმსახურებოდნენ სისხლით, ანუ აჩვენებდენ როგორმე სხვა რიგს სასარგებლოს სამსახურს. და იგი მიცემული წყალობა არავის მოეშლებოდათ, თვინიერ შეცოდებისა.

და აქუნდათ მათ სოფლებთა შინა თავიანთ სახელო კაცთა ზედა, ნება ჯოხით გალახვისა და ჯარიმის გარდახდევინებისა, და რაიცა იქნებოდა გამგებლობა სოფლისა, ყოველივე იქნებოდა მოურათაგან.

дит замуж, то с жениха взыскивают плату, называемую сакврио<sup>1</sup> по достоинству вдовы от 5 до 50 руб-

66. Когда предпринимали строить деревню царь или царица под надзором какого-либо князя или дворянина, то по окончании или еще при начатии строения такового надзирателя жаловали в моуравы той деревни вечно и потомственно. каковая милость была ненарушима.

Равным образом жаловали моуравство деревни и тем, кои заслуживали кровью своею, или оказывали какую-нибудь полезную заслугу и сия милость была ненарушима, разве за какое-либо преступление.

Таковые имели власть какого-либо из жителей<sup>2</sup> подчиненных им деревень, в случае вины его<sup>3</sup>, бить палками, или штрафовать и делать всякое распоряжение.

Доходами же с деревень пользовались они разными, а иные сверх установленнаго за моуравство получали и де-

<sup>1</sup> Сакврио—плата за женитьбу на вдове

<sup>2</sup> какого-либо из жителей) над жителями

<sup>3</sup> деревень... его) деревень,

და აქუნდათ მათ სოფლებ-  
თაგან სხვადასხვა სარგებლობა  
და ზოგს ათისთავი სამეფოს შე-  
მოსავლიდამ, გარდა სარგებლო-  
ბისა და სამოურაოსა, რომელ  
ესეცა აქუნდათ.

67. უკეთუ თავადთა ანუ აზ-  
ნაურთაგან სახლის უფროსი მი-  
იცვლებოდა, მაშინ მეფე იმის  
[54] ყმასა და მამულს იმ წელს  
სამეფოს სათხოვრისაგან გაათა-  
ვისუფლებდა.

68. თუ რომელიმე სოფელი  
საჯელმწიფო, სათავადო, ანუ სა-  
აზნაურო დაისეტყვებოდა, იმ წე-  
ლიწადს აღარას გამოართმევდნენ  
გამოსაღებს.

69. უკეთუ რომელიმე სო-  
ფელი საჯელმწიფო, სათავადო  
ანუ სააზნაურო მტერთაგან წარი-  
ტყვევებოდა, სანამ მასშიგან  
მცხოვრებელნი რავისავე მდგომა-  
რეობად მოვიდოდნენ, განათავი-  
სუფლებდნენ<sup>1</sup> ყოვლის გამოსაღე-  
ბიდამ.

70. სოფლებთა შინა აქვთ  
თვის-თვისად ჩვეულება, რომელ  
დასდებენ წერილთ აღთქმას მო-  
სავლის წაუხდენლობისათვის, ანუ  
სნების მორიდებისათვის განაწე-  
სებენ გარდასახადსა. ვინც იმ  
პირობას [V] გარღვიდოდა, გარ-  
დაახდევინებდნენ დადებულს ჯა-

სათუ ქატი ივ ცარსკიხ პო-  
დატი, ტმი დერვნიამი при-  
носимых.

67. Когда старший в доме,  
княжеском или дворянском,  
умирал, то царь крестьян его  
и имение освобождал на тот  
год от царских податей.

68. Когда какая деревня, ка-  
казенная, княжеская или дво-  
рянская, претерпевала от гра-  
да, то она на тот год освобождалась от податей.

69. Когда какая деревня,  
казенная, княжеская или дво-  
рянская, от нападения непри-  
ятельского была разоряема,  
то, пока жители оной приходи-  
ли в состояние свое, были  
свободны от всех податей.

70. По деревням имеют  
обычай сами собой полагать  
письменное обещание о неис-  
порченнии плодов земных, или  
о предостереженнии от болез-  
ней, и за преступление<sup>1</sup> оп-  
ределять штраф, который и  
взыскивали в случае онаго;

<sup>1</sup> болезнѣй, и за преступленіе]  
болѣзней и установливать для то-  
го взносы, а за нарушение ус-  
ловія

<sup>1</sup> განათავისუფლებდნენ.

რიმას. იმათ ამისათვის ნება ჰქონდათ და ვერც არავინ უსაყვედურებდა, მაგრამ ისი უფრო მტკიცე მაშინ იქნებოდა, უკეთუ მათის მეუფროსის თანხმობით იქმოდნენ მას.

71. მებატონე თავად აზნაურნი ოდესაც შეცოდებისათვის თავიანთ ყმათ გაუწყობდნენ, გარდაახდევინებდენ ჯარიმით და ჯოხის ცემითაც, თვინიერ ნასაღისა. ამისთვის მეფე არას უსაყვედურებდა ამგვარის საქმისათვის, რადგან მებატონეთ ყმათა ზედა სრული უფლება აქვს და ვერც სადმე უჩივლებდა ყმა ბატონსა თვისსა.

72. მომხდარა, რომ თავადის შესახვედრს აზნაურს დაედგა პირველი მებატონე თვისი და მისელიყოს სხვას. ისრედ ყოვლისავე მოძრავის ქონებით და ცოლშვილით მიუფილოდა მეფეს ანუ სხვას თავადს, [ნა] და უძრავი ქონება, რომელიც მას აზნაურს ეჭირებოდა, ის დარჩებოდა უუჯათოდ პირველს მებატონესა მისსა<sup>1</sup>.

73. დახსნილ<sup>2</sup> ტყვეთათვის თუმცა კანონთა შინა თქმულ არს, რომ დანიშნულს დრომდის გამომსახურების შემდგომ განათავი-

<sup>1</sup> მისა. <sup>2</sup> დახსნილ.

на сне они имели волю, так что никто не мог делать им за то выговора, но исполнение обычая сего было тверже, когда на то давал согласие свое их старший<sup>1</sup>.

71. Помещики, князья и дворяне, за преступление или вину могли крестьян своих штрафовать и наказывать различными побоями, не имея однако же права на лишение членов; кроме чего за все другое царь не делал им никакого выговора, поелику помещики над своими крестьянами имеют полную власть и крестьяне на них не могли нигде жаловаться.

72. Случалось, что княжеский дворянин, оставив первого своего господина, переходил к другому, иногда и к самому царю, но только с семейством своим и движимым имением, а недвижимое имение, коим он владет, оставалось без всякаго прекословия прежнему его господину.

73. О выкупленных из плена хотя в законах упоминается, что в уреченное время по выкупе они<sup>2</sup> освобож-

<sup>1</sup> их старший | старший над ними.

<sup>2</sup> время по выкупе они | время, отработав, они

სუფლონ, გარნა თვით ესე მბოლოდ დამხსნელის ნებასა ზედა დამოკიდებულიყო, და თუ დამხსნელი დაასახლებდა თავის ყმად, მაშინ არავის ეძლო იძულებით განეთავისუფლებინათ ისი.

მეფის ვახტანგის კანონის ბერძულის მეორეს წიგნის ზ [7] და მ [40] სომხურის მესამეს წიგნის ხდ<sup>1</sup> [204] და მოსეს მეშვიდეს წიგნის ვ [6] მუხლნი არ შობმაოებულ არს.

74. გლებთ აღწერა მეფის ნებაზედ იყო დამოკიდებული, და როდესაც მეფე ინებებდა აღწერას, მაშინ დანიშნევდა სამს ანუ ოთხს მოხელეს აღსაქერლად. არამედ იმათ ვალ-ედვათ აღწერასა მას შინა მებატონეთ [V] მოსამსახურენი, ქვრივ-ობოლნი და შეუძლებელნი არ ჩაეწერათ, აგრეთვე სოფლის მოხელენიცა, რომელ ამათის ჩაუწერლობისათვის ამწერთ ჰქონდათ ნების დართვა.

<sup>1</sup> სმ.

даются, но сие зависело только от воли выкупщика, который, ежели таковых поселял себе крестьянами, то никто не имел права насильно их освободить.

Статьи 7 и 40 «Зак. греч.» 204<sup>1</sup> «Зак. арм.» и 6 «Зак. Моис.» не употреблялись.

74. Описать крестьян зависело от царской воли и для описи оных царь назначал трех или четырех чиновников, которых обязанность была в той описи не помещать господских служителей, вдов, сирот и немощных, равно и старшин<sup>2</sup>, коих, как и сих последних, описатели имели не помещать.

<sup>1</sup> В тексте—«240? (204)»

<sup>2</sup> старшин] сельских должностных лиц

# კ მ მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

(მასალები სკულის წყაროებისათვის)





## მამულისა და ყმის მონასხილეთათვის

(მუხ. 1—2)

ჩვეულებითი სჯულის 1 და 2 მუხლები ითვალისწინებენ ყმისა და მამულის გაყიდვის იმ წესებს, რომლებიც შემოდებული და დამკვიდრებული იყო ფეოდალურ საქართველოში. სჯულის შემდგენლები პირველი მუხლის განმარტებაში აღნიშნავენ, რომ თანახმად არსებული ჩვეულებისა, ყმისა და მამულის ყიდვის უპირატესი უფლება მინიჭებული ჰქონდათ გამყიდველის ნათესაებს, შემდეგ მოსახლერეს (მომიჯნავეს), ხოლო თუ ისინი უარს იტყოდნენ ყიდვაზე, მაშინ ყველას შეეძლო ასეთი ქონების ყიდვა<sup>1</sup>.

შემოაღნიშნული ჩვეულება ისტორიული თანმიმდევრობით არ არის ასახული ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებში. ბაგრატ კურაპალატის სამართალი (XI საუკ.) ამ წესს არ იცნობს. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის (XIV საუკ.) ის მუხლებიც, რომლებიც მამულის ყიდვა-გაყიდვას ითვალისწინებს (მუხ. 45, 54—56, 95), არ შეიცავენ ჩვეულებით სჯულში აღნიშნულ წესებს მამულისა და ყმის გაყიდვის დროს ნათესაური პრინციპის დაცვის შესახებ.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 109-ე მუხლში ეს ჩვეულება სხვა უფლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით მოცემულია შემდეგნაირად: «ძმებს ან ვალისაგან. ან სისხლისაგან. ან სხვის რისგანმე ნაქნარი საქმე გაუჭირდეს და ვალი დაედვას და მამულის გასყიდვის მეტი ღონე არა ქონდეს, მეორეს ძმას ქონდეს რამე, თავისი წილიც იმან მისცეს, ის მამული იმისი დახსნილი იქნების, სხვათ კელი არ ექნების.» რაც შეეხება ვახტანგის სამართლის სხვა

<sup>1</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყიდვა-გაყიდვის ანალოგიურ წესს იცნობდა ჯერ კიდევ შუამდინარეთის უძველესი კანონმდებლობა—ეშენის ძეგლის ბილალამის კანონები (მუხ. 38), იხ. აგრეთვე ბიზანტიის იმპერატორ რომან I ლეკაპინის 934 წ. ნოველა (მუხ. 1).

მუხლებს (111, 160—166), რომლებიც მამულისა და საერთოდ ქონების ყიდვა-გაყიდვას ეხება, ისინი არ ითვალისწინებენ ნათესავის უპირატეს უფლებას მამულის გაყიდვის დროს.

მაგრამ ყიდვა-გაყიდვის აქტებიდან ჩანს, რომ ჩვეულებითი სჯულით გათვალისწინებული წესი ყიდვაში ნათესავეების უპირატესი უფლების შესახებ დამკვიდრებული იყო ადათობრივი სამართლით.<sup>1</sup>

ეს წესი რომ დაკანონებულ ჩვეულებას წარმოადგენდა დასტურდება აგრეთვე «დავით ბატონიშვილის სამართლის» 162-ე მუხლითაც. სადაც ნათქვამია: «ოდესცა სახლისკაცისა მამული იყოს ვასასყიდად, მაშინ ჯერ-არს მოსყიდვაჲ შეკითხვითა გაუყრელთა მიონათესავეთა, ხოლო უკეთუ არარაჲ ქმნან ზრუნვაჲ, მაშინ აქუს შეყიდვად გაყრილსა მას. რომელსაცა ვერარაჲ მესა შეუვლენ მოსყიდვისათვის. გარნა ჯერ-არს ესეცა ცნობად, რომელ, რომელიცა უმანლობელეს არს ნათესაობასა შინა, მისგან უჯერეს არს შეყიდვად, უკეთუ ნებაჲს შეყიდვაჲ<sup>1</sup>.

ჩვეულებითი სჯულის მთელი რიგი მუხლები, როგორც ეს ქვემოთ დამოწმებული მასალებიდან ჩანს, ახლო ნათესაობას იჩენს დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნთან. /ამ ორი ძეგლის შესაბამისი ადგილების დამთხვევა: თუ ახლო ნათესაობა გამოწვეულია იმით, რომ მათ ერთი საერთო საფუძველი — ქართული ადათობრივი სამართალი აქვთ. გარდა ამისა საფიქრებელია, რომ ჩვეულებითი სჯულის შემდგენლები იცნობდნენ და ნაწილობრივ თავიანთ მუშაობაში კიდევ ითვალისწინებდნენ დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნს, /რომელიც დაწერილი იყო ქართულად ორ ცალად ჯერ კიდევ 1800 წელს./

ჩვეულებითი სჯულის პირველი მუხლის შენიშვნაში შემდგენლები მიუთითებენ, რომ «მეფის ვახტანგის კანონის მესამეს წიგნის სმ, სმა და სმგ-მუხლნი არ მოხმარებულაო». ვახტანგის კანონად აქ ნაგულისხმევია არა საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, არამედ მის მიერ შედგენილი კანონთა კრებული, მესამე წიგნად კი — «სამართალი სომხური», რომელიც შეტანილია ვახტანგის კანონთა კრებულის ნუსხებში მესამე წიგნად.

სხვა ხალხთა სამართალში დადგენილი ქონების ყიდვა-გაყიდვის წესის გათვალისწინების თვალსაზრისით საინტერესოა შედარე-

<sup>1</sup> ესარგებლობთ დ. ფურცელაძის მიერ გამოცემად მომზადებული ტექსტით: სამართალი ბატონიშვილის დავითისა (ხელნაწერი H—2230).

ბისათვის აქ მოვიტანოთ სომხური სამართლის, მხითარ გოშის წიგნის ზემოაღნიშნული მუხლების ტექსტები.

სომხური სამართლის 24C-ე მუხლი ადგენს: «თუ დაგლახავდეს ძმა შენი და შენთან იყოს და გაყიდოს რაც კელთ ქონდეს, და მოვიდეს მეზობელ ტომ და დაიხსნას და მოარჩინოს გაყიდვას და მისცეს იმდენი, რომ თავისი ფიქრი ნახოს, მან კაცმან, ადგილი და სახლი რაც არის, გირაოდ დაიჭიროს და შვიდ წლამდინ უნდა დააცალოს. და თუ უშოვნა და გარდუწყვიტა, თავისი თვითანვე დარჩეს. და თუ არ ქონდეს იმდენი, რომ გარდუწყვიტოს ის, რაც მეზობელს მისას დაუხსნია, მას უნდა დარჩეს, და ნულარავინ ეცილება. თუ იმავე პატრონმა შვიდს წელიწადს უკან ერთ წლამდინ უშოვნოს, კიდევ დარჩეს და დანებდეს მასვე. და მან მეზობელმაც შეუნდოს. და თუ ვერც იმ მერვეს წელიწადს უშოვნოს. თეთრის გამღებს დარჩეს, სახარების ბძანებითა გამდიდრებულა. უფლისაგან ბძანა ყოველათვის და ისრე საქმე სამართლისა არა უღთოდ გამდიდრება და დამცირება. ახლა ყუელა სწორედ ვერ წავალთ, გუმართებს, რომ მომრჩენი და დამხსნელი ვიყოთ. თუ ვინ სიგლახაკისათვის ყიდდეს თავის მამულსა, დახსნა იყოს მისის ნათესავისაგან მისის ვიდრე შვიდ წლამდინ. რიგი დავდევით: თუ მეტს გაუშვებს, შეუძლია. რომ დაახსნევინოს მამული მისი. თუ ვერ დაიხსნას შედიდამ მერვეს წლამდინ. მასუკან დაუმტყიცდეს ნასყიდობით. და თუ სხვას დანაშაულის რისათვისც ყიდდეს, იმავე წელიწადსავე დაუმტყიცდეს».

ამავე კანონების 241 მუხლში კი ნათქვამია: «თუ ვინ გაყიდოს სახლი, სადგური მისი გალავანს შიგნით შუა ქალაქში, იქნას დახსნა მისი წლამდინ იმ დღიდან. რასაც დღეს მიუყიდათ. და თუ ვერ დაიხსნას წლამდინ, მასუკან დარჩეს მკუიდრად მსყიდველსა. გალავნიანს ქალაქში ასრე დამტყიცდეს. გავიდეს შენდობისაგან, თუ მდიდარს კაცსა თუ რომელსაც გლახას მიყიდოს. გარიგებისა, რომელი დამტყიცდა, შებრუნების წყალობა იქნას. თუ სახლი და თუ ბალი გალავანს გარეთ გაყიდონ, როგორც რომ მინდორი, ისრე ჩააგდონ. ყოველთვინ დაეხსნევიანება სამს წლამდინ».

ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს ჯ უ ლ ი ს მიხედვით სომხური სამართლის არც 243-ე მუხლი ყოფილა ხმარებაში. აღნიშნული მუხლი აწესებს: «თუ ვინც გაყიდოს სიგლახაკისათვის წისქვილი, ერთ წლამ-

დინ დაეხსნევენება თავთავის ნათესავესაგან, და სხვათა კაცთა იმავ წელწადს დაუმტკიცდეს სციდვა»<sup>1</sup>.

ამრიგად, სომხური სამართლის 240, 241 და 243 მუხლები, რომლებიც აღვჩინენ ადგილ-მამულის, სახლის, წისქვილისა და სხვა ობიექტების გაყიდვის წესს, არ ითვლებოდა ჩვენში მოქმედი სამართლის ნორმებად. მათ არ ჰქონდა სავალდებულო ძალა და, მაშასადამე, არ გამოიყენებოდა იურიდიულ პრაქტიკაში.

1 ადათების შემკრებნი იმოწმებენ ვახტანგის კანონთა კრებულში შესული უცხო სამართლის ძეგლების (ბერძნულის, სომხურის, ებრაულის) იმ მუხლებს, რომლებიც ხმარებაში იყო ქართულ სინამდვილეში. ამ მხრივ ჩვეულებითი სჯული მეტად მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს უცხო სამართლის ნორმების გამოყენებისა და მათი სავალდებულო ძალის შესახებ საქართველოში./

ჩვეულებითი სჯულის პირველივე მუხლის მეორე შენიშვნაში ნათქვამია: «მეფის ვახტანგის კანონის მეორეს წიგნის იგ მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არსო». ვახტანგ მეფის კანონის მეორე წიგნად იგულისხმება «სამართალი ბერძნული», რომელიც ვახტანგის კანონთა კრებულში შეტანილია მეორე წიგნად. ბერძნული კანონების მე-13 მუხლი ამბობს: «უკეთუ ვალი-სათვის გაყიდოს ვინმე მამული, ანუ საქონელი, ანუ პირუტყვი, თუ ყავს ნათესავი, იგი მივლენ და მის სციდვას მოინდომებენ. თუ მევალე ყავს, ის იყიდის. თუ ბევრი მევალე ყუანდეს, რომლისაც მევალისა უფრო ბევრი ემართოს, ის საქონელი იმას უნდა მიყიდოს; თუ რამ გადარჩეს, იმას შეუბრუნებს»<sup>2</sup>. ბიზანტიური სამართლის ზემოთ მოტანილი წესი შეიცავს ქართული ჩვეულებითი სჯულისაგან განსხვავებულ ზოგიერთ ნორმას, რომელიც მიღებული ყოფილა ჩვენში ყიდვა-გაყიდვის დროს.

მეფე ვახტანგ VI თავის კანონთა კრებულში შეტანილ უცხო სამართლის ძეგლებთან შედარებით სამართლიანად აძლევდა უპირატესობას თავის სამართლის წიგნს, როცა ამბობდა: «ნუ სიქადულად შემირაცხავთ, და ვგონებ უმჯობესად ყოველთასა წიგნსა ამას სასარგებლოდ ქვეყანისა ამისაღ». მაგრამ სჯულმდებელი მეფე იმასაც გრძნობდა, რომ საკუთრივ მისი კანონები, ისე როგორც სამართლის ყოვე-

<sup>1</sup> სამართალი სომხური, ქართული ვერაია, შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით, გამოსცა ლ. მელიქსეთბეგმა, ტფ., 1927 წ., გვ. 81—82.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა S—3683.

ლი წიგნი, სრული არ იყო და შეიცავდა მთელ რიგ ხარვეზებს, რას გამო იგი იძულებული იყო უცხოური სამართლის ნორმებისათვის სუბსიდური და ალტერნატიული ხასიათი მაინც მიეცა: «ი გ უ ლ ე თ და ი გ უ ლ ის მ ო დ გ ი ნ ე თ, და, რ ო მ ე ლ ი ც გ ე ნ ე ბ ო ს თ და უ მ ქ ო ბ ე ს გ ი ჩ ნ დ ე ს თ, მ ი თ ს ჯ ი დ ე თ და ს ა მ ა რ - თ ა ლ ს ა მ ა რ თ ა ლ ს ა ი ქ მ ო დ ე თ ო»<sup>1</sup>.

ბერძნული სამართლის მე-13 მუხლიც ამ დებულების ძალით მოქმედი სამართლის ნორმად ითვლებოდა გვიანფეოდალურ საქართველოში.

## თავასუპით ვალინათვის

(მუხ. 3—6)

ჩვეულებრივი სჯულის მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ თუ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების გამო დავა წარმოიშობოდა და საქმე სასამართლომდე მიაღწევდა; თამასუქი და ხელწერილი მიღებული იქნებოდა და მათ აღსრულებას არაფერი შეაფერხებდა, «თუ არა ბათილამა და დასაცველად საზოგადო ესტიბრისა». ეს ორი ტერმინი, საჭიროებს უფრო დაწვრილებით განმარტებას.

### ბათილამა

ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლები, რომლებიც შეტანილია ვახტანგის კანონთა კრებულში, ამ სიტყვას არ იცნობს. თითქმის არ გვხვდება ეს ტერმინი ძველ საბუთებში, ხოლო გვიანფეოდალური ხანის საბუთებშიც იშვიათად იხსენიება იგი. ბათილამა არ მოიპოვება საბას ლექსიკონშიც. ცნობილი ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინაშვილი ასე განმარტავს: «ბათილამი, გაუქმებული ვექსილი». ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით «ბათილამა თამასუქის გაუქმების ხელწერილია». მართლაც, როგორც წესი, ეს ტერმინი იხსენიება სესხისა და ვალის წიგნებში, წერილობით ხელშეკრულებებში. და ყოველთვის აღნიშნავენ თამასუქის, — სესხისა და ვალის ხელწერილის გამაუქმებელ, გამაბათილებელ საბუთს. კერძოუფლებრივ

<sup>1</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამოცემა, 1955 წ., გვ. 46 და 100.

საბუთებში ბათილამა ზოგჯერ გადმოცემულია, როგორც ბათილობის წიგნი, ანუ გაუქმების ხელწერილი. ბათილამის წიგნს, როგორც წესი, მაშინ აძლევდა კრედიტორი მოვალეს, როცა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა უკვე შესრულებული იყო, ე. ი. ვალი გადახდილი იყო, მაგრამ მოვალის ხელწერილი კრედიტორს დაკარგული ჰქონდა ან რაიმე მიზეზით ადგილი ჰქონდა განადგებულ თამასუქის დაუბრუნებლობას. ასეთ შემთხვევაში ბათილამა წინათ მიცემული თამასუქის გამაბათილებელი საბუთი იყო მოვალის ხელში. საბუთებშიც ასეა აღწერილი ბათილამის წიგნი: «ესე ბათილამას წიგნი მოგეცე მე, ამირალას-შვილმა ხთისავარამ, შენ, საყვარელიძე იესესა, ასე რომ ჩემი სამი თუმანი რომ გემართა, თამამად თავნიცა და სარგებელიც მომეზარა. თუ ჩემში სამი თუმნის თამასუქი ასლი თუ სავადი გამოჩნდეს, ბათილი იყოსო»<sup>1</sup>. მითითებული საბუთები 1791 წელს მიეკუთვნება.

1 დღემდე გამოქვეყნებულ საბუთებს შორის ზოგჯერ გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა ბათილამა გაცემულია ყიდვა-ვაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების დროსაც. «შენგან კაცი ვიყიდე და ველარ შევრიგდით. ჩემი თეთრი ისევ გამოგართვი და ნასყიდობის წიგნი მევე შემრჩა, თუ ის წიგნი გამოჩნდეს, ამან გაამტყუვნოს»<sup>2</sup>. ეს საბუთი მიეკუთვნება XVII საუკუნის ბოლოს. აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბათილამა მარტო თამასუქის, ანუ სესხისა და ვალის ხელწერილის გაუქმების საბუთს არ ეწოდებოდა.

თანამედროვე ქართულ სამართალსა და კანონმდებლობაში სიტყვა «ბათილობა» გამოხატავს წერილობითი სახით დადებული ყოველგვარი გარიგების გაუქმებას, მის ძალადაკარგულობას. ამ მნიშვნელობითაა იგი ნახმარი სამოქალაქო სამართლის კოდექსსა (მუხ. 90, 424) და სხვა საკანონმდებლო აქტებშიც. გვიანფეოდალურ ქართულ სამართალში, როგორც ჩანს, ბათილობას ასეთი ფართო მნიშვნელობა არ ჰქონდა.

<sup>1</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. 11, ნ. ბერძენი შვილის რედაქციით, 1953 წ., გვ. 92; იხ. აგრეთვე გვ. 27, 120 და 174.

<sup>2</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. 1, ნ. ბერძენი შვილის რედაქციით, 1940 წ., გვ. 78.

ადათების რუსულ თარგმანში მე-3 მუხლის ფრაზა — «და დასაცველად საზოგადო ესტიბარისა» გადმოცემულია: «и для сохранения общего кредита»<sup>1</sup> ესტიბარი აქ თარგმნილია როგორც кредит და უნდა ითქვას, რომ ეს ლათინური ტერმინი სწორად გადმოსცემს «ესტიბარის» შინაარსს. ესტიბარი, ანუ ესტიბარი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ნდობას, რწმუნებას, იმედს. გამოთქმები «მას ესტიბარი გაუტყდა». «ის ესტიბარგატეხილია» გულისხმობს, რომ მას ნდობა დაეკარგა, ის ნდობადაკარგულია.)

ვახტანგის სამართლის წიგნის 147-ე მუხლი აღგენს: თუ «კაცს კაცთან ესტიბარი ქონდესთ, უთამასუქოდ, უთავდებოდ თეთრი ევალეზინოს, მერმე... უარი უთხრას», საქმე გამოიძიეთ, თუ მოწმენი არ იყენენ, საქმე ფიცის მიღების მიხედვით გადაწყვიტეთ!<sup>2</sup>

ამ ტერმინს, თუმცა იშვიათად, მაგრამ სხვადასხვა ვარიანტით მაინც ვხვდებით კერძო წერილებსა და საბუთებში. ასეთი ნდობის, რწმუნების ხელწერილს საბუთებში «იხტიარობის წიგნი» ეწოდება. 1790 წლის ერთ საბუთში ნათქვამია: «ესე იხტიარობის წიგნი მოგეცი... შენ, ჩემი სიძე დემეტრესა, ასე რომ მე ინდოეთს მივდიოდი, მოგეცი ჩემი ყოველის სახლის, კარის, ცოლის, შვილის, ასაღების და მისაქემის ყოველისფრით იხტიარობა და თუ უბედურობა მეწვია და ვერ მოველ, ისევე შენ იქნები ჩემი ყოველის სარჩოს იხტიარობა»<sup>2</sup>. ქვეყნე მეფისადმი 1792 წელს მიართმეულ არზაში ვალაუფალობის შესახებ მთხოვნელი წერს: «მომიხდებიან შინა, კარებს მიმტვრევენ და ცოლშვილთან ავად მეპყრობიან. მუდამა ამა სატანჯველში განლაყარ, ესტიბარი აღარ დამრჩომია»<sup>3</sup>. ამრიგად «იხტიარობის წიგნი» მინდობილობის, რწმუნების საბუთია, ხოლო «იხტიარი» რწმუნებით აღჭურვილი პირი, რომელსაც ეკისრება მისდამი წერილობითი ხელშეკრულებით მინდობილი ყოველგვარი კანონიერი საქმის გაძღოლა და გაკეთება. /

ასეთივე მნიშვნელობა აქვს ჩვეულებითი სჯულის ტერმინს «ესტიბარს», რომელიც ესტიბარის, ანუ იხტიბარის ვარიანტს წარმოადგენს და გამოხატავს ნდობას სესხის ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა შორის. ;

<sup>1</sup> ვახტანგის სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემაში «ესტიბარის» ნაცვლად შეცდომით «ერთი ბარი» წერია.

<sup>2</sup> მასალები საქართველოს ეკ. ისტ. II, გვ. 280. იხ. აგრეთვე გვ. 130, 248, 283.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 247.

ადათების მე-4 მუხლი ვალის გადაუხდელობის საკითხს ეხება. ამ მუხლის 'შენიშვნაში' ნათქვამია: «ვახტანგის მესამეს წიგნის ხლბ. მეხუთეს წიგნის მვ. მეშვიდეს წიგნის ლთ მუხლნი არ მოხმარებულ არს». ვახტანგის კანონთა მესამე წიგნი, როგორც ზემოთ ითქვა. გულისხმობს «სომხურ სამართალს», მეხუთე წიგნი — გიორგი ბრწყინვალის «ძეგლის დადებას», ხოლო მეშვიდე წიგნი — «მოსეს სამართალს». ამ შენიშვნიდან ჩანს, რომ სესხისა და ვალის ხელშეკრულების დროს არ ხელმძღვანელობდნენ სომხური სამართლის 232-ე, ძეგლის დადების 46-ე და მოსეს სამართლის 39-ე მუხლებით. სომხური სამართლის 232 მუხლი ამბობს: «თუ თეთრი ასესხო ძმასა შენსა და ლარიბად იყოს, ნუ შიაწუხებ და სარგებელს ნუ სთხოვო». მაშასადამე. სომხური სამართალი უკრძალავს გამსესხებელს პროცენტი მოსთხოვოს გაღარიბებულ მოვალეს.

| ჩვეულებითი სჯულის შემდგენლები ქართული სამართლის ძეგლებიდან ამ საკითხში მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დებას იმოწმებენ და არაფერს ამბობენ ვახტანგის სამართლის წიგნზე. რომელიც შეიცავს ანალოგიური შინაარსის მუხლს. /«თუ კაცი გაღარიბებულ იყოს და ვალის მიცემა აღარ შეეძლოს. დიად დაცემულიყოს. თავნზედაც დაიკლება; და თუ ცოტაც არის, რომ შეუძლია. თავნი უნდა მისცეს და სარგებელი ჩაივლისო» (მუხ. 132). მაშასადამე. თუ სჯულის შემდგენლებს დაუუჭერებთ, გამოდის, რომ არც ვახტანგის სამართლის ზემოთ მოტანილი მუხლი იყო მოქმედი კანონი.

სომხური და ქართული სამართლის ეს დებულება ნასესხებია მოსეს სამართლის 39-ე მუხლიდან. სადაც ნათქვამია: «ნუ მიჰკდი აღნადგინებსა ძმასა შენსა ვეცხლისასა. ნუცა აღნადგინებსა საკმლისასა, ნუცა ყოველსა აღნადგინებსა სესხისა მის შენისასა, რომელ ავასხე ძმასა შენსა. რ. მთა გაკურთხოს შენ ღმერთმან<sup>1</sup>! სიტყვა აღნადგინები ძველქართულ სამართალში ნიშნავს პროცენტს, სარგებელს, ხოლო ვასხება — სესხის სარგებლით, პროცენტით გაცემას.

მოსეს სამართლის ამ დდგენილებამ გამოხატულება პოვა აგრეთვე გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაშიც, რომელსაც ჩვეულებითი სჯულის შემდგენლები იმოწმებენ. ძეგლის დადებაში ნათქვამია: «სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან ძეს წესად. რომე აღიღონ, და არც სხუათა სჯულთა

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა N—3683; სამართალი მოსესი, მუხ. 39.



უწერია. და სარგებელი არის უწესო. და თუ რადმე მიმცემი კაცო ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აღიღოს, რა გინდა რა ხანი გამო-სულყოს, ათსა თეთრსა ზედა ორი თეთრი მიეცეს; რაზომი დიდი ხანი დაყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემ-ლად. და თუ დია რათმე ავი კაცი არ არის. არც ამისი აღება მარ-თებს. სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა»<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ ძველ დროსა და საშუალო საუკუნეებში ვალის სარგებლის აღების წინააღმდეგი იყვნენ. მაგრამ ცხოვრება მაინც თავისას არ იშლიდა და ამიტომ საკანონმდებლო ძეგლები განსაზღვრავდნენ კანონით ნებადართული პროცენტის მაქსიმუმს. ასეთ წესს ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის სამართალში. ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები (მუხ. 89) აწესებენ სარგებ-ლის მაქსიმუმს ნატურაზე 33,5%-ს. ხოლო ფულზე --- 20%-ს<sup>2</sup>.

გიორგი ბრწყინვალის სამართალის ზემოთ მოტანილ მუხლში ფულზე სარგებლის კანონიერ საზღვრად დაწესებულია 20%: მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისს ეხება, საერთოდ კი ძე გ ლ ი ს და დ ე ბ ა კრძალავს სარგებლის აღებას — «ს ა რ გ ე ბ ე ლ ი ა რ ი ს უ წ ე ს ო». ამიტომაც ადათების შემკრებნი მიუთითებენ, რომ ცხოვრებაში გი-ორგი ბრწყინვალის სამართლის აღნიშნული მუხლი არ გამოიყენე-ბოდაო.

ჩვეულებითი სჯული არაფერს ამბობს ბექასა და აღ-ბუღას სამართლის იმ ნორმების შესახებ. რომლებიც აწესრიგებენ სესხისა და ვალის სახელშეკრულებო ურთიერთობას. ამ საკანონ-მდებლო ძეგლში სესხის ხელშეკრულების საკითხები შედარებით უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული, ვიდრე გიორგი ბრწყინ-ვალის სამართალში. აღბუღას სამართლის 94-ე მუხლში ვკითხუ-ლობთ: «თუ კაცმან თეთრი ავალოს სასარგებლოდ, ათასისათვის ათას ორასს დასჯერდეს წელიწადსა შიგა... ნუცა ვახშის ვახშს იქსენება: თავი მასვე ოდენ იმატებდეს, რა გინდა ხანი დაეყოს». ამრიგად, აღ-ბუღას სამართალიც ფულზე კანონიერი სარგებლის მაქსიმუმს 20%-ით განსაზღვრავს.

რაც შეეხება სესხს ნატურის სახით, სამართალი ადგენს: «თუ კაცმან კაცისაგან პური აიღოს, დაჭირებისათვის დიდი სარგებელი შეუკუეთოს მიმცემელმან, ნუ ქნას ღმერთმან. ორისათვის სამი კმა» (მუხ. 93), ე. ი. მსესხებელს გამსესხებლისათვის ორ საწყაოში სამი საწყაო უნდა მიეცა. ამრიგად ნატურალურ სესხზე (პური, ხორბალი,

<sup>1</sup> გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957 წ., გვ. 119, მუხ. 45.

<sup>2</sup> ძველი აღმოსავლეთის სამართალი, გვ. 37.

და სხვა პროდუქტები) პროცენტის მაქსიმუმში გასესხებული პროდუქტის 1/3-ით განისაზღვრებოდა.

ამ საკითხის თაობაზე აღათების მე-5 მუხლის შენიშვნაში ნათქვამია: «მეფის ვახტანგის კანონის პირველი წიგნის რკე მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არს». ვახტანგის კანონთა კრებულის პირველი წიგნი საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნია, რომელიც კრებულში პირველ წიგნად არის შეტანილი. ჩვეულებითი სჯული იმოწმებს ვახტანგის კანონების 125-ე მუხლს, როგორც სესხისა და სავალო ურთიერთობის რეგულირების ძირითად წესს. აღნიშნული მუხლი ადგენს: «თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალა ქნა და სული სძულს. თუმანი თვეში ხუთშაურად; თუ სული ცოტად უყვარს — აბაზად; თუ უკეთ უყვარს — სამ შაურად; და თუ მართლა უყვარს — ორ შაურად. სულ უკეთესი ეს არის, რომ სარგებელი სულ არ აიღონ. სარგებლის სარგებელი არაფერის ვალისა არ გაჩნდების, არც ითხოვების, არც მიეცემინების. რა რომ ერთი ორზე გარდასცილდების, სხვა სარგებელი აღარ გაუჩნდების». აქ სჯულმდებელი მეფე სარგებლის მაქსიმუმის ოთხ ტარიფს აწესებს: 30% («თუმანი თვეში ხუთ შაურად»), 24% («თუმანი — აბაზად»), 18% («თუმანი სამ შაურად») და 12% («თუმანი ორ შაურად»), მაგრამ უმჯობესი იქნება, რომ «სარგებელი სულ არ აიღონო». აღსანიშნავია, რომ 12% მიჩნეული იყო კანონიერი სარგებლის მაქსიმუმად ბიზანტიის იმპერატორის თეოდოსიუს კოდექსით (V საუკ.).

რაც შეეხება ნატურით სესხს, კანონი ადგენს: «პური სამართლიანად ათი თორმეტად. მაგრამე თუ უღრმთობა ქნას კაცმან, ათი ხუთმეტად კარგია. ამის ზეით არ უნდა მიაცემინონ» (მუხ. 126).

ჩვეულებითი სჯულის მეოთხე მუხლი ამბობს, რომ როდესაც სარგებლის გამო დავა წარმოიშობოდა და საქმე სასამართლოში შევიდოდა, «სარგებელს თუმანზედ თვეში ორ შაურს გაუჩენდნენ, მაშინაც თუნდა თამასუქში მეტის სარგებლის მიცემაც წერებულიყო». აქედან ჩანს, რომ კანონით დადგენილი სარგებლის მაქსიმუმში ცხოვრებაში ხშირად ირღვეოდა და სესხსაც მეტი პროცენტით აძლევდნენ. ამას ერთგვარად ხელს უწყობდა ვახტანგის სამართლის ზემოთ მოტანილი მუხლის ალტერნატიული დადგენილებაც, რომელიც უფრო ზნეობრივ დარიგებას წარმოადგენდა, ვიდრე კატეგორიულად დადგენილ წესს. თვითონ ვახტანგი ამბობს: «ამ ახლო ხანებში თუმანი თვეში ხუთ აბაზათაც მისცემია, ოთხ აბაზათაც, სამ აბაზათაც, ათ შაურათაც, ორ აბაზადაც, ხუთ შაურათაც, აბაზადაც,

სამ შაურადაც, ორ შაურადაც... სარგებლის სარგებელიც აღებულა» (მუხ. 116). მაგრამ ეს იძულება და უსამართლობა არისო.

XVIII საუკუნის სესხისა და ვალის საბუთებში ვხვდებით სარგებლის მეტ-ნაკლებ ოდენობას. ვალისა და გირაოს წიგნებში ძირითადად სარგებლის სამი ნიხრი გვხვდება: «თუმნის თავს თვეში ორი შაური»<sup>1</sup>, «თუმნის თავს თვეში სამი შაური»<sup>2</sup> და «თუმნის თავს თვეში ერთი აბაზი»<sup>3</sup>, ე. ი. 12, 18 და 24 %.

დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის პროექტიც ითვალისწინებს შეღავათს სარგებლის გადახდაში შეუძლებელი, ვალაუვალი მოვალისათვის: «უკეთუ მიზეზითა შეუძლებლობისათა ქმნილ არს ესე, მაშინ ნურღარა მიეხდების სარგებელი, ვინადგან უღონო ქმნილ არს და არა ძალ-უცს წარგება სარგებლისაო» (მუხ. 63). მაგრამ ყველაფერი ეს კეთილი სურვილების სფეროში რჩებოდა, ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა და ვალისა და სარგებლის გადაუხდელობა არა მარტო მოვალის ქონების, არამედ მისი პირადი თავისუფლების დაკარგვასაც იწვევდა.

### გირაოთ აღმზულის ვალისათვის

(მუხ. 7—12)

ჩვეულებით სჯულში მოცემულია მეტად მნიშვნელოვანი მასალა გირავნობის უფლების შესახებ. გირაოს ინსტიტუტი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ უძველეს ინსტიტუტს, რომელიც წარმოიშვა და ვითარდებოდა კერძო საკუთრების უფლების პარალელურად. მას იცნობს ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთის, რომისა და შუა საუკუნეების სამართლის საკანონმდებლო ძეგლები. იგი გათვალისწინებულია შუამდინარეთის უძველესი კანონმდებლობით — ეშნუნის მეფის ბილაამის (მუხ. 22—24), ბაბილონის მეფის ხამურაბის (მუხ. 114—119) და აგრეთვე შუა ასირიის კანონებით (II, 2—4, 10; III, 6, 39, 44, 48)<sup>1</sup>. გირავნობის უფლებამ განვითარების მეტად დიდი გზა განვლო. მისი ისტორია ხასიათდება გირაოს ფორმების მრავალფეროვნებით ამა თუ იმ ქვეყნის ადგილობრივი პირობების შესაბამისად. <sup>1</sup>ახასიათებს რა გლეხების გაღატა-

<sup>1</sup> მასალები საქ. ეკ. ისტ. II, გვ. 54, 55, 56, 73, 74, 98, 101.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 21, 24, 48, 52.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 13, 15, 69.

<sup>4</sup> ძველი აღმოსავლეთის სამართალი გვ. 13, 40—41, 77, 78, 80, 87, 89, 91.

კებისა და გირაოს ფორმების წარმოშობას ძველ საბერძნეთში, ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ ვალის ხელწერილისა და მიწის დავი-რავებასთან დაკავშირებით «ათენელებმა უკვე ჰიპოთეკაც გამოიგო-ნესო»<sup>1</sup>. ბერძნული სამართლის მიხედვით, და საერთოდ. ჰიპოთეკა ადგილ-მამულის დაგირავებას გულისხმობდა.

/ ძველი რომის სამართალი გირაოს სამ ფორმას იცნობდა: *fiducia*, *pignus* და *hypotheca*. თავისებური სახე ჰქონდა გირაოს შუა საუ-კუნეების ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ სამარ-თალშიც. /

| ძველ ქართულ სამართალში სიტყვა «გირაო» არ იხმარებოდა. გირაო სპარსული სიტყვაა, რომელიც შუა საუკუნეების ბოლოს შე-მოდის ქართულ სამართალში. მანამდე გირაოს მნიშვნელობით სიტ-ყვა «წინდი» და «ნაკუთევი» იხმარებოდა.<sup>2</sup> | «წინდი ვალი-სათვის მძლევალი»; «ნაკუთევი ნათხოები, გინა საწინ-დარი» არისო, ამბობს საბას ლექსიკონი. წინდი თავდაპირვე-ლად ყოველგვარ დაგირავებულ ნივთს ნიშნავდა, მას ბეს მნიშვნე-ლობა ჰქონდა, რაც კარგად ჩანს «დაბადების» ქართული თარგმანი-თაც. ნაკუთევი კი წინდის ისეთი სახეობა იყო, რომელიც გამო-ხატავდა ხელშეკრულების პირობის შეუსრულებლობის გამო დაგი-რავებული ხივთის დახუთვას, დაქერას, დასაკუთრებას. ხოლო თვით სიტყვა «კუთვა» ნიშნავდა დაწინდვას. დაგირავებას.

ამასთანავე «დაწინდვა» დანიშვნას, ხოლო «დაწინდე-ბული» დანიშნულს ეწოდებოდა. მამათა ცხოვრების XII საუკუნის ხელნაწერში ნათქვამია: «ქალწული ვიდრემდის სახლსა შინა იყოს მამისა თვისისასა, მრავალთა სურის და წინდებად ში-სა, ხოლო ოდეს ისუას ქმარი, არლარა ყოველთა სთნავს»<sup>3</sup>. ასეთივე შინაარსის ცნობას შეიცავს მამათა სწავლანიც: «ვითარცა კაცმან, რომელმან-მე მოიყვანა ცოლად დედაკაცი, რომელსა და ე-წინდა თავი თვისი»<sup>4</sup>. ამ მნიშვნელობით არის ნახმარი სიტყვა წინ-დობა «ქართლის ცხოვრებაშიც». ჯუანშერი ამბობს, რომ კეისარმა «მოუწოდა ვახტანგს; და ყვეს ურთიერთას აღთქმა და ფიცი, და გა-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმო-შობა. 1953 წ., გვ. 151.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, 1929 წ., გვ. 462—464.

<sup>3</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის A—1105, 71 r; ცნობა მომართულია პროფ. ილ-აბულაძემ.

<sup>4</sup> «ძველი ქართ. ენის ძეგლები», 8, გვ. 122, 14.

ნაგეს საქმე წინდობისაო»<sup>1</sup>. რუის-ურბნისის 1103 წლის ძეგლის წერილის მე-7 მუხლი ამბობს: «ამიერიდან არლარა ეკურთხეოდინ გვრგვინ ჩხილთა ქალ-ყმათა, არამედ უკეთუ საქიროდ რადმე იყოს. მშობელთა მათ დიად და უწინდენ იგი ურთიერთას»<sup>2</sup>.

შუა საუკუნეების ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლთა შორის წინდის აღნაგობა, ბუნება და ტერმინოლოგია შედარებით დაწვრილებით არის მოცემული ბექა მანდატურთუხუცესისა და აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნში.

ქ ბექასა და აღბულას კანონების მიხედვით გირავნობის უფლება სამართლის განვითარებულ ინსტიტუტს შეადგენს. ძეგლისთვის უცნობია ისეთი სავალო ხელშეკრულება, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს ვალის ანგარიშში თვით მოვალე დაწინდოს. |

სამართლის წიგნს გირავნობის უფლების შინაარსის შემცველი მთელი რიგი ტერმინები აქვს. მამულის ვალში დაგირავებას ეწოდება «სამამულოს დაწინდვა», ხოლო დიდი მამულის მცირე ვალში დაგირავებას — «დიდი მიწის ცოტა საქონლით დაწინდვა». კაცს შეიძლება «წინდად ჰქონდეს» ყანა, ვენახი, ქალა, ანუ ყოველგვარი «საქმარი მიწა». დაგირავების ობიექტი შეიძლება იყოს სახლიც და საერთოდ ყოველგვარი ქონება. მოგირავნის მიერ მოვალის მამულის ჰერას ეწოდება «მამულსა შიგასა წინდრად დგომა», ხოლო დაგირავებულ მამულის შემოსავლით სარგებლობას — «ალაგის, მამულის ჰამა». გირავნობის წესით მამულის დახსნას «წინდულობისა წესითა დაქსნა» ეწოდება, დაგირავებული მამულის გამოსასყიდ საფასურს კი — «საწინდარი საქსარი». თუ კრედიტორი დაგირავებული მამულის გამოსყიდვაზე მოვალეს უარს ეტყვის. მაშინ მან კანონის მიხედვით დამგირავებელს მამული შემოსავლიანად უნდა მისცეს — «ნაჰამით დაუდვას», იმ დროიდან, როცა მას უარი უთხრა გამოსყიდვაზე. მამულის დაგირავება ხდებოდა როგორც განსაზღვრული ვადით, ისე უვადოდაც ანუ «არაჟამიერად». კანონმდებლები მიუთითებენ, რომ გირავნობის სანივთო უფლებრივი ურთიერთობა «ქვეყნის წესით», ანუ ადათობრივი სამართლის ნორმებით წესრიგდებაო.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, 1955 წ., გვ. 177.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 66.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში გირავენობის უფლების შესახებ ნორმები არ მოიპოვება. არც სიტყვები «წინდი», «საწინდარი» და «გირაო» გვხვდება. ეს კანონმდებლობის ხარვეზია. საფიქრებელია, რომ კანონმდებელმა საჭიროდ არ მიიჩნია სამართლის წიგნში ამ ხასიათის ნორმების შეტანა იმ მოტივით, რომ გირავენობის ინსტიტუტიდან გამომდინარე უფლებრივი ურთიერთობანი ადათობრივი სამართლით წესრიგდებოდა. თუმცა ადათობრივი სამართლის ბევრი სხვა ინსტიტუტი შეტანილი აქვს თავის კანონებში.

| დღემდე გამოქვეყნებული და ჩვენთვის ცნობილი საბუთებიდან, თუ არ ვცდებით, შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ «წინდის» თანდათანობით განდევნა გ ი რ ა ო მ XVI—XVII საუკ. მიჯნაზე დაიწყო. ადრინდელი საბუთებიდან ეს ტერმინი გვხვდება როსტომ მეფის 1634 წლის წყალობის წიგნში, სადაც ნათქვამია: «ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენ მეფემან, პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ რ ო ს ტ ო მ თქუენ... დავითიშვილს დავითს... ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ამას წინათ თქუენს ნარძლევს და ე გ ი რ ა ვ ე ბ ი ნ ა მკუიდრი მამული თ ი კ რ ე ვ ი და ნამორაძისათვის მიეცა; და ჩვენცა მოკითხული ვქენით და დედაკაცს მამულის გასყიდვა არ ეხელყოდა, და გუეურგოვა და თქვენი სოფელი თიკრევი ისრევ თქუენ გიბოძეთო»<sup>1</sup>.

ახალი ქართლის ცხოვრებაში ბერი ეგნატაშვილი წერს: «დადინი დაჰყვა სისხლის მიცემასა, და თეთრი არა ჰქონდა, — გარდავარდნილი იყო, — და ხოფი, რაც გურიელს სისხლი მიეცა, იმთონის გ ი რ ა ო დ მ ი ს ც ა»<sup>2</sup>.

XVII—XVIII საუკუნის ვალისა და გირაოს წიგნებში ასეთი ფორმულები გვხვდება: «გ ი რ ა ო თ და დ ე ბ ა»; რაც ნიშნავს საწინდრად მიცემას, ანუ დაგირავენბას, «გ ი რ ა ო ს ჰ ე რ ა», რაც უდრის საწინდრის ფლობას, «გ ი რ ა ო ს და ნ ე ბ ე ბ ა», ე. ი. საწინდრის გამოსყიდვა, «გ ი რ ა ო თ მ ი წ ე რ ი ა» — საწინდრად მაქვს (თამასუქში ჩაწერილი), «გ ი რ ა ო ბ ი ს თ ა მ ა ს უ ქ ი» — საწინდრის ხელწერილი; «გ ი რ ა ო ე ბ ი თ თ ე თ რ ი ა ვ ი დ ე ვ ი თ ს ა რ გ ე ბ ლ ი თ». ე. ი. საწინდრით ფული ვისესხეთ სარგებლით.

<sup>1</sup> საკ. სიძველენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909 წ., გვ. 180.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, 1959 წ., გვ. 362.

ამ დროსაც დაგირავებული მამულის შემოსავლით სარგებლობას «მამულის კამა» ეწოდებოდა. როცა მოვალე ვალში მამულს აგირავებდა თამასუქში აღნიშნავდა, თუ ვის ეძლეოდა მამულის შემოსავლით სარგებლობის უფლება. თუ ამ უფლებას თვითონ იტოვებდა, მაშინ წერდა: «გამოსალე ბი ისევ მევე უნდა ვაკამოდა თეთრის სარგებელი გაძლიო», ე. ი. დაგირავებული მამულის შემოსავლით ისევ მე უნდა ვისარგებლო, ხოლო ფულის სარგებელი გადაგიხადო. იმ შემთხვევაში კი, როცა ამ უფლებას მოგირავენეს გადასცემდა, თამასუქში ჩაუწერდა: «გამოსალე ბს შენ სკამდე, თეთრის სარგებელს არა მთხოვდეო», «არც შენა თეთრის სარგებელი მთხოვო და არც მე ამ სამი კომლი კაცის გამოსავალი გთხოვო», «თეთრის სარგებელში ეს მიწები მოსკამე», ანუ «სარგებელში მამული კრიფეო».

იმ შემთხვევაში, როცა დაგირავებული მამულიდან მიღებული შემოსავალი სესხის სარგებელზე მეტი ან ნაკლები იყო, თამასუქში ჩაიწერებოდა: «გამოსალე ბი შენს სარგებელზე თუ მეტი მოვიდეს, შემომიბრუნე, და თუ დაგაკლდეს, მე შეგიტაო». სახლების გირავენობის წიგნში ნათქვამია: «რამდენიც შენ ჩემს სახლებში იდგე, არც მე შენ სახლის ქირა გთხოვო, არც შენ შენს თეთრის სარგებელი მთხოვო»<sup>1</sup>. «სახლებში დგომა» აქ ნიშნავს მოგირავენესთან სახლის გირაოდ ქონებას და ქირის მიღებას და არა მოგირავენის (კრედიტორის) ცხოვრებას დამგირავებლის (მოვალის) სახლში.

ამ პერიოდის საბუთებში, თუმცა მეტად იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება «საწინდარი» და «დაწინდრება»<sup>2</sup>. 1727 წლის ყმის დაგირავების წიგნში ნათქვამია: «ცოლის მოყვანაზე ვამიჭირდა, ევიღე სამოცდა თექვსმეტი და ნახევარი მარჩილი. გლახი და გიწინდეო»<sup>3</sup>.

XIX საუკუნის ქართულ საბუთებში, რუსული იურიდიული ტერმინოლოგიის გავლენით, გირაოს ნაცვლად ზოგჯერ «ხალოლიც» (залог) გვხვდება<sup>4</sup>.

ამრიგად, ქართულ სამართალში გირავენობის უფლების გამომხატველი ტერმინები იყო: «წინდი», «ნაქუთევი», «საწინდარი», «გირაო» და იშვიათად «ხალოლიც».

<sup>1</sup> მასალები საქ. ეკ. ისტ. II, გვ. 13, 14, 15, 18, 26, 162, 223.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 95, 162.

<sup>3</sup> დოკუმენტები საქ. სოც. ისტ. I, 1940 წ., გვ. 461.

<sup>4</sup> მასალები საქ. ეკ. ისტ. II, 261.

ა ჩვეულებითი სჯულის მე-7 მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას. როცა წარმოიშობა დავა კრედიტორსა და მოვალეს შორის დაგირავებული ქონებით სარგებლობისა და სესხის სარგებლის გადახდის გამოჭამავე მუხლის შენიშვნაში კი აღნიშნულია, რომ «ჩემის ვახტანგის კანონის ბერძნულის მეორეს წიგნის რა მუხლი ამ ჩვეულებისამებრ იხმარებოდაო». ბერძნული სამართლის 101 მუხლში კი ნათქვამია შემდეგი: «უკეთუ ვალი აიღოს ვინმე და გირაო მისცეს და დასჯერდეს თეთრის პატრონი, რაც ხანი პეიმანი დაუდვა, ის გირაოები იმასთან იყოს, კარგად შეინახოს. უკეთუ პეიმანი არ დაუდვა, და თეთრი გამოართვა, და ორმა წელიწადმა შუაზე გაიარა, თავისი თეთრი აღარ მისცა. არც გირაოები დაიხსნა, თეთრის პატრონმა მოწამე უნდა იშოვნოს, რომ იმ კაცს თეთრი ემართოს და მოსამართლესთან მივიდეს. თუ მოსამართლემ სამართალი არ უყოს, ის გირაოები დაყიდოს, პატრონს ამის მეტს ნურას კითხავს, რომე აჩვენოს. თუ თვითონ დაიხსნას, კარგია, და თუ არა, — და გაყიდონ. თუ ნამეტნავი გარდაჩეს, პატრონსავე მისცეს»<sup>1</sup>.

ბიზანტიური სამართლის ეს წესი გირავნობის უფლების შესახებ მოქმედ კანონად ითვლებოდა ქართულ სამართალში, რაც დასტურდება არა მარტო ჩვეულებითი სჯულის შემოთმოტანილი შენიშვნით, არამედ ვალისა და გირაოს წიგნებითა და სხვა საბუთებით.

ჩვეულებითი სჯულის მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესები და ნორმები თითქმის მთლიანად ემთხვევა გირაოს წიგნის ფორმულებს. შედარებისათვის მოვიტანთ მხოლოდ ერთ საბუთს.

ჩვეულებითი სჯული

1721 წლის 6 დეკემბრის  
თამასუქი

10. «რომელსა კაცსაც თავის მამული გირაოთ მიცემული ექნებოდა ვისთვისმე ამ სახით, რომ სარგებლის ნაცვლად გირაოს შემოსავლიდამ ესარგებლა და გირაოს წიგნშიაც ესრედ დაწერილ იქნებოდა: «რა ერთხანსაც შენი თეთრი ჩემთან დარჩეს, არც

«...ნებითა ჩემითა ავიღე მე, სოლოღაშვილმა, ქაინოსრომ, თქვენ. რატიშვილი ჩემი სიძე ზურაბისაგან და შენი შვილი დავითისაგან ოცდაათი თუმანი ახარდი თეთრი... დავიდევ ამის გირაოთ ასურგეთს ჩემი კერძი. რაც ალაღათ ბარათში გამომყოლო-

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი S—3683; სამართალი ბერძნული, მუხ. 101.



შენ თეთრის სარგებე- დეს ან გლეხი. ან ხოდაბუნი. ან  
 ლი მთხოვო და არც მე- ზუარი, ან მიწა-წყალი, ასე და  
 ჩემგან გირაოდ მოცე- ამა პირსა ზედა. რომე «სანამ  
 მულის მამულის შემო- შენს თეთრს მოგცემ-  
 სავალი». ამისთანას შემთხ- დე შენ, ჩემი წილი ასურეთის  
 ვევაში, ვიდრემდის მასესხე- გამოსაღებს შენ სკამდე, თე თ-  
 ბელს თავნს სრულებით არ მის- რის სარგებელს არა  
 ცემდენ, გირაოს არ ჩამოართ- მთხოვდე, არც მე ჩემს  
 მევდნენ, რაც უნდა დიდხანს მოცემულს სოფლის გა-  
 მასესხებელს სკერიყო გირაო მოსაღებს გთხოვდე. რახან  
 და სარგებლის მიხედვით გირა- შენი თეთრი მოგცე ჩემი სოფე-  
 ოს შემოსავლიდან სარგებლო- ლი დამანებო»<sup>1</sup>.  
 ბაც მეტი ქონიყო».

ს ქულის შემდგენლები მე-10 მუხლის შენიშვნაში წერენ:  
 «მეფის ვახტანგის კანონის სომხურის მესამეს წიგნის სლგ მუხლი  
 ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არს».

სომხური სამართლის 233-ე მუხლში ვკითხულობთ შემდეგს:

«თუ ვინ ვისგან გირაოდ დაიჭიროს ვისიც სახლი ანუ ვენახი  
 ანუ მიწა-წყალი ანუ სხვა რამ და მოხდეს, რომ დიდი ხანი დაყოს,  
 მართებულს სარგებელზე მეტი ეჭამოს მოსავლიდამ, ის ნამეტნავი  
 თავნში ჩაუგდონ. თუ იმდონი იყოს, რომ თავნს მორეოდეს, გირა-  
 ოები გამოართვან მისგან და პატრონს მისცენ, და თუ დააკლდეს  
 კიდევ. შეუთაონ. თუ გირაოებისაგან გაეყიდოს რამე. თავნში უნდა  
 რიშონ. თუ ტანისამოსი იყოს და გაეცვიტოს. ისიც თავნში უნდა  
 ჩაუგდონ, და ოქროული და ვერცხლეული თუ მისთვის მოეპაროს  
 ვისმე, თეთრის პატრონმა ჯერით უნდა დაამტკიცოს და დაკარგული  
 უნდა ჩაიგდოს დამდებმან. და თუ მას თეთრის პატრონს შიაჩნდეს.  
 რომ ტყუილად დაეფიცნოს, ერთი ოთხად უნდა მისცეს გირაოს  
 პატრონსა. და თუ ან უფიცრად თქუას სიტყვითა და ძალზე დად-  
 გეს, კელთ ეჭიროს, ამბობდეს: დამეკარგაო. ერთი ორად უნდა  
 სთხოოს. და თუ ლაშქართა დამსხმელთა წაეღოს. გირაოს პატრონ-  
 მა უნდა ჩაიგდოს. თუ გირაოები წახდეს რამე, ან ხე მოსჭრან. ან  
 ლობე დასწვან. ან კედელი დააქციონ ვინც, თუ გირაოების დამღე-  
 ბის თავზე უქნიათ. მან უნდა ჩაიგდოს, თუ გირაოს დამჭერის თაყ-  
 ზე უქნიათ. მან უნდა ზღოს. თუ პირუტყვი რამე იყოს გირაოდ და

<sup>1</sup> მასალები საქ. ეკ. ისტ. II, გვ. 14.

ავად იქმაროს, მოსტეხოს რამე ან მოკლკას, თავნი უნდა დააყენოს ისევ. და თუ თავის დლით მოკუდეს, გირაოს დამდებმა უნდა ჩაიგდოს!»<sup>1</sup>.

მხითარ გომის სამართლის ზემოთ მოტანილი მუხლი შეიცავს ზოგიერთ ისეთ ნორმას, რომელსაც ქართული სამართლის ძეგლებში ვერ ვხვდებით. მაგრამ ჩვეულებითი სჯულის შემდგენლები რომ ამ მუხლზე მიუთითებენ, მართებულა, რადგან აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული გირავნობის წესი ფეოდალურ საქართველოში მოქმედ კანონად ითვლებოდა.

### ბეუშართი

| ჩვეულებრივი სჯულის მე-11 ნუხლში (ნათქვამია: «ბევრჯერ მომხდარა, რომ ვალს აღებდენ რა თეთრის პატრონს მისცემდნენ მოძრავს თუ უძრავს მეტად ღირებულს ქონებას გირაოთ, და წიგნშიაც სხვათა შორის დაუწერდნენ. «შენს თეთრში ეს მამული დაგიგირავეო, თუ ამ ვადას გარდავაცილო და შენი თეთრი არ მოგცე, გირაო შენი იყოსო». ამ გვარს საქმეს სპარსულის ენით ბეუშათი ეწოდება, მაგრამ ამგვარი წერილი საქართველოსა შინა შეუწყნარებელი იყო და არც უსაქმია, გარნა მასესხებელს კანონისამებრ კმაყოფა მიეცემოდა ხოლმე».

ზემოთ მოტანილი მუხლი მეტად მნიშვნელოვანია იმ მხრავ, რომ იგი ითვალისწინებს გირაოს ერთ-ერთ სახეობას, რომელსაც ბეუშათი ეწოდება. ზბეუშართი სპარსული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს გირაოს. დაგირავებას, გაყიდვას უკან გამოსყიდვის პირობით.<sup>2</sup>

გირაოს ამ ახალი ფორმის თავისებურება ის არის, რომ ვალში დაგირავებული მოძრავი ან უძრავი ქონების ღირებულება უნდა აღემატებოდეს, ანუ «მეტად ღირებული» იყოს ვალის თანხაზე. ამასთანავე საჭიროა, რომ გირაოს ან თამასუქის წიგნში ჩაიწეროს პირობა: თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვალი არ იქნება გადახდილი, დაგირავებული ქონება მოგირავნის საკუთრებაში გადადის — «თუ ამ ვადას გარდავაცილო და შენი თეთრი არ მოგცე გირაო შენი იყოს». ასეთ

<sup>1</sup> სამართალი სომხური, ლ. მელიქსეთ-ბეგის გამოცემა, 1927 წ., გვ. 78—79.

<sup>2</sup> მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, დანართი (ლექსიკონი), 1957 წ., გვ. 10.

ხელშეკრულებას ბეუშათი ეწოდებოდა, მაგრამ ამგვარი ხელწერილი საქართველოში მიუღებელი იყო და არ მოქმედებდა, ამბობენ ჩვეულებითი სჯულის შემდგენლები. ამრიგად ბეუშათის, როგორც გირაოს ერთ-ერთი სახეობის, დამახასიათებელი ნიშნებია: ჭერ ერთი, იგი გულისხმობს მეტად ღირებული ქონების დაგირავებას, მეორეც: იგი გულისხმობს გირაოს დახსნის ზუსტად განსაზღვრულ ვადას, დაბოლოს, გულისხმობს წერილობით პირობას: თუ დაწესებულ ვადაში ვერ გადაგიხადო, გირაო შენი იყოსო.

თუმცა ჩვეულებითი სჯულის შემდგენლები გვარწმუნებენ, რომ ამგვარი ხელწერილი ჩვენში შეუწყნარებელი იყო, მაგრამ XVIII საუკუნის ვალისა და გირაოს წიგნებიდან ჩანს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გირაოს ასეთი ფორმა მიღებული იყო საქართველოში. ასეთი ხელშეკრულების წიგნს «ბეუშართობის თამასუქი» ეწოდებოდა. ბეუშართობის წესით ქონების დაგირავება გამოხატულია ფორმულით: «დაგიგირავე ბეშართათ», «ბეუშართათ დაგიდეეთ», «ბეუშართათ მოგეცი».

ამრიგად, საბუთებში ეს სიტყვა სხვადასხვანაირად იხმარება— «ბეშართი», «ბეიშართი» და «ბეუშართი», ეს უკანასკნელი უფრო მართებული ფორმაა. ბეუშართობის ხელწერილებში, როგორც წესი, აღნიშნულია ვალის გადახდის ზუსტად განსაზღვრული დრო (ექვსი კვირა, ექვსი თვე. ორი წელი და ა. შ.). გირაოს დახსნის ასეთი მოკლევადიანობა წარმოადგენს ბეუშართის, როგორც გირაოს ფორმის, მთავარ ნიშანს. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კრედიტორს მიაქვს სესხის თანხაზე მეტად ღირებული დაგირავებული მამული მთლიანად.

ვალისა და გირაოს დღემდე გამოქვეყნებულ საბუთებში შემონახულია ბეუშართობის ორიოდ ხელწერილი, რომლებშიაც მოცემულია გირაოს ამ ფორმის აღწერა. 1737 წლის 1 სექტემბრის თამასუქში. რომელიც პატარკაცი თუმანიშვილს ფრანგის საყდრის უფროსის ფრანჩისკოსათვის მიუცია, ნათქვამია: «ავიდე მე... ცხრამეტი თუმანი ახალი თეთრი. ამისი ბეუშართათ მოგეცი ჩემი ყმის გოლ-ხითარაანთ სახლები და წინა ორი დუქანი თავისი სიგლებით. და ექვსი თვე ვადა. თუ ვადას გაცილდეს, სახლები თქვენნი არის. თუ ვინმე ამ სახლებზე წამოგე-

დავოს, ან ჩემი სახლის კაცი. ან ჩემი ყმის შვილი. ან სხვა ვინმე, ჰირისა და პასუხის გამცემი მე. პატარკაცი. ვიყო»<sup>1</sup>.

ასეთივე შინაარსის ცნობაა დაცული იმავე პერიოდის მეორე საბუთშიც. «ესე წიგნი მოგეც მე, თარხნიშვილმა დავით, თქვენ, მდივანს გორჯასპის, რომე ყვეარი ხარი და გიგირავე ექვისის კვირის ვადითა რვა მინალთუნათ ბეშართათ, რომ შენი რვა მინალთუნი მოგივიდეს, ჩემი ხარები მომცე... თუ ვადას გადაგიცილდეს, ხარებზე ხელი ამიღია»<sup>2</sup>.

1822 წლის საბუთში გათვალისწინებულია ბეშართობის შემთხვევა იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. «თქვენი აბანო იჯარით მოგვეცი თორის წლით. ოთხას თუმნათ თეთრ ფულად ბეშართათ»<sup>3</sup>. აქედან ჩანს, რომ «ბეშართათ და გირავება» არა მარტო სესხისა და ვალის დროს, არამედ სხვა ხელშეკრულების დადების დროსაც შეიძლებოდა მომხდარიყო.

ასეთია ზოგიერთი ცნობა გირავნობის უფლების შესახებ. ქართული გირაო წარმოადგენს მეტად რთულ და საინტერესო ინსტიტუტს, რომლის უფრო დაწვრილებითი განხილვა ნავარაუდევია გვაქვს სპეციალურ შრომაში.

## ვალის გარდუხდელთათვის

(მუხ. 13—22)

ჩვეულებითი სჯულის მე-13 მუხლი ამბობს, რომ «მოვალის შვილს მამის სიკუდილის უკან ვალის გარდუხდელობის გამო მემკვიდრეობის უარყოფა არ შეეძლო». ეს წესი შერბილებული ჩანს ვახტანგის სამართალში, რომელიც მემკვიდრეს ანიჭებს მემკვიდრეობაზე უარის თქმის უფლებას: «ესეც იქნების, ერთგან იყვნენ გინდა ძმა, გინდა მამა, გინდა ძმისწული, ერთი და ერთი მოკვდეს, და მკვდრის მამულს არ ინდომებს სხვა სახლისკაცი, რომ არც გარდახდა შეეძლოს, აღარც ვალს მისცემს» (მუხ. 139).

დამახასიათებელია, რომ ამავე დებულებას ითვალისწინებს დავით ბატონიშვილის მიერ შედგენილი სამართლის წიგნიც: «მაჰისა, გინა პაპისა ვალისა მიცემასა არათუ მხოლოდ სამოქალაქო

<sup>1</sup> მასალები საქ. ეკ. ისტ. II, გვ. 27.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 260; იხ. აგრეთვე ტ. III, 166, 377.

მსკუთხედიანი ბრძანებს. არამედ ბუნებრივია. უკეთეს იქნა მემკვიდრე მამისა და ნაქონებთა. ხოლო არა-მნებავესა მემკვიდრეობისასა აქუს თავისუფლება და ნაცვლად მისა. ვისცა დაუშთეს ნაქონები იგი. მაშინ სიტყუა უფოს მოვალესა მას» (მუხ. 61).

1) ადათების მე-13 და მე-14 მუხლები ითვალისწინებს ვალის იძულებით გადახდას მოვალის ქონების გაყიდვის გზით იმ შემთხვევაში, როცა მოვალე ბოროტი განზრახვით აკიანურებს ვალის გადახდას. ამასთან დაკავშირებით მე-14 მუხლის შენიშვნაში ნათქვამია: «მეტის ვახტანგის კანონის სომხურის მესამეს წიგნის მ-ს, მ-ს მუხლნი არ მოხმარებულ არს».

სომხური სამართლის ზემოაღნიშნული მუხლები (100 და 10:) ითვალისწინებენ ვალის გადახდის «სამჯერ და ცლევინებას» ანუ განვადებას: «პირველზე ოთხის თვისა, მეორეზე სამის თვისა და მესამეზე ორის თვისა. თუ ამას გარდა კიდევ ითხოოს, დაკარგოს სამართალი თავისი თითვანო» (100). როგორც ცნობილია, სომხური სამართლის პირველი ნაწილი (მუხ. 1—150) წარმოადგენს მეხუთე საუკუნის დამლევს ბასილი კეისრის მეფობაში შედგენილი და აღმოსავლეთში მიღებული სირიულ-რომაული კანონების სომხურ რედაქციას. მაშასადამე. ვალის გადახდის «სამჯერ და ცლევინება», რის შესახებაც ლაპარაკია ზემოთ ხსენებულ მუხლებში, სომხურ სამართალში შესულია სირიულ-რომაული სამართლიდან.

ვალის გადახდის სამჯერ განვადების ეს წესი ქართულ სამართალში არ იყო მიღებული.

ჩვეულებითი სკუთხედიანი მე-15 მუხლის მიხედვით ვალის ურჩი გამამხდელს, რომელიც ბოროტი განზრახვით გააკიანურებდა ვალის გადახდას, ძალდატანებით გამოართმევდნენ ვალს. მაგრამ ვალის გადახდევინება არ შეიძლებოდა მიქცეულიყო ცოლის მზითვეზე და პირადი კუთვნილების ზოგიერთ სხვა ნივთზე. ამავე მუხლის შენიშვნაში მითითებულია, რომ «მეტის ვახტანგის კანონის სომხური მესამეს წიგნის რღე მუხლი ცოლისა და რძლის მზითვის ვალში მიცემისათვის არ მოხმარებულა». სომხური სამართლის 135-ე მუხლი ადგენს: «თუ კიდევ იყოს ვალი და კაცის საქონლისა აღარა იყოს რა, მასუკან მიეცეს მოვალეთა ცოლისა და რძლის ზითევისაგან. თუ რძალი ბევრი ყუანდეს, რომელიც უწინ მოყვანილი რძალი იყოს, იმისი ზითვისაგან მისცენ. და თუ იმითაც ვერ გარდასწყუთონ, რომელიც რძალი წინას უკან მოსულა, იმისგან მისცენ». სირიულ-რომაული სამართლის ეს დებულება, რომე-

ლიც შეითვისა სომხურმა სამართალმა, უცხო იყო ქართული სამართლისათვის.

! მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას მცირეწლოვანი შვილი დარჩებოდა. ხოლო ვალის გადასახდელად საკმაო ქონება არ ექნებოდა, მაგრამ ამასთანავე მომავალში ვალის გადახდის შესაძლებლობა ჩანდა. მცირეწლოვანს «ვადას მისცემდნენ» ვალის გადახდისათვის. ეს წესი აღნიშნულია ჩვეულებრივი სჯულის მე-20 მუხლში და იგი გამომდინარეობს ვახტანგის სამართლიდან, «სადაც ნათქვამია: მოვალე «თუ მოკვდა, ობლების დაზღამდი უნდა მოიკადოს (კრედიტორმა). სანამდი ობლები თოთხმეტი-თხუთმეტი წლისა შეიქნებოდნენ» (მუხ. 133), «თუ ქვრივი იყოს და ობლები წვრილი ყვანდეს, და მევალემ ვალს თხოვნა დაუწყოს, სანამდის ობლები არ დაიზღების, ვალი არ ეთხოვების» (მუხ. 134).

ჩვეულებრივი სჯულის ზემოთ მოტანილი დებულება დასტურდება დავით ბატონიშვილის სამართლის სათანადო ადგილითაც: «და უკეთუ ემართოს ობოლსა ვალი, ნუ ეთხოვების მას და ნურცა მზრდელსა, გარნა მოვალემან მიიღოს მამული მისი და იქმნეს პატრონ, ვიდრე მოვიდეს ყრმა იგი ჰასაკსა; და ოდეს მოვიდეს ჰასაკსა, მაშინ მივლენ ორნივე მსაჯულთა წინაშე და ანგარიშითა მეტ-ნაკლებობა მათი განასწორონ მსაჯულთა წინაშე» (მუხ. 60).

აღათ-ჩვეულებების შემკრებნი მე-20 მუხლის შენიშვნაში მიუთითებენ რომ «მოვალის შვილს არ შეეძლო მეფის ვახტანგის კანონის პირველი წიგნის რღოთ-სა და სომხურის მესამის წიგნის რკგ მუხლს მინდობიყო და მამისა არც ქონება ენდომა და არც ვალის გარდახდა». ვახტანგის სამართლის 139-ე მუხლი, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ, გარდაცვლილი მოვალის მემკვიდრეს ანიჭებს მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმის უფლებას. ასეთივე დებულებას შეიცავს სომხური სამართლის 123-ე მუხლიც: «რომელიც შვილი მამამ ანდერძით დააპატრონოს ქონებასა და მამულსა მისსა და რომ დარჩეს ვალი, რომელიც რომ დაპატრონდა, ვალიც მან უნდა მისცეს, თუ ბევრია თუ ცოტა. და თუ ვერ იკისროს პატრონობა და ვალის გარდახდა, აიღოს კელი. ვალი მევალემ მამულსა და მის კაცის ქონებასა სთხოოს». როგორც სომხური სამართალი, ისე ვახტანგისა და დავით ბატონიშვილის სამართალიც მოვალის მემკვიდრეს ანიჭებს ალტერნატივის—არჩევანის უფლებას: თუ მემკვიდრეობას მიიღებ, სამკვდროს დამტოვებლის ვალიც გადაიხადეო, ხოლო თუ მემკვიდრეობის მიღებაზე ხელს აიღებ, ვალსაც ნუ გადაიხდიო

ჩვეულებითი სჯული კი კატეგორიულ წესს ადგენს. იგი მემკვიდრეს ართმევს არჩევანის უფლებას, უკრძალავს მას მემკვიდრეობაზე უარის თქმას — «მოვალის შვილს ვალის გარდუხედვლობის გამო მემკვიდრეობის უარყოფა არ შეეძლო» (მუხ. 13). /

ანდერძისა და გაყრის წიგნებში დაცული ცნობებიდან ჩანს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ვახტანგის სამართლის წიგნის ზემოთ მოტანილი ალტერნატიული ნორმა უფრო გამოიყენებოდა, ვიდრე ჩვეულებითი სჯულით გათვალისწინებული კატეგორიული წესი.

ადათების მიხედვით ოჯახის წევრს ოჯახის მეთაურის ნებადაურთველად ვალის აღება არ შეეძლო. მე-17 მუხლის თანახმად ცოლს არ შეეძლო ქმრის დაუკითხავად ვალის აღება და არც ქმარი გადაიხდიდა ასეთ ვალს. არც შვილს ჰქონდა ვალის აღების უფლება მამის თანხმობის გარეშე. ჩვეულებითი სამართლის ეს წესი ვახტანგის სამართალშიც არის დაკანონებული: «სანამდი მამა ცოცხალი არის, შვილმან რომ ვალი აილოს მამის უკითხავად, მამა არ მისცემს და არც ეთხოვების». (მუხ. 140). ვახტანგის კანონთა ამ მუხლის შესახებ ჩვეულებითი სჯულის 22-ე მუხლის შენიშვნა ამბობს: «მეფის ვახტანგის კანონის პირველის წიგნის ამ მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოიხმარებოდაო». ვახტანგის სამართლის აღნიშნული მუხლი უფრო ვრცელი რედაქციით წარმოდგენილია ჩვეულებით სჯულსა და დავით ბატონიშვილის სამართალში.

### ჩვეულებითი სჯული

### სამართალი ბატონიშვილის დავითისა

22. «მამის უმორჩილოს შვილისაგან აღებულს ვალს მამას ვერა სთხოვდნენ კანონის ძალით, მაგრამ მამის სიკვდილს უკან თუნდა ვალის ამღები შვილიც აღარ ყოფილიყო ცოცხალი, იმ ვალს მამის ქონებიდამ, რაც ამღებს წილი შეხვდებოდა, იქილამ მიაცემინებდენ».

60. «ნურავინ იკადრებს თვნიერ შეკითხვისა თვისისა სახლის უფროსისა ანუ უმცროსისა და განაყოფისა გაუყრელისა, ვალისა აღებად: რომლისაცა მოქმედსა გარდახდების თვისისა წილისა მამულისა და ნაქონებისაგან.

გარნა უასაკოთა ვალის მიმცემთა, თვინიერ შეკითხვისა უფ-





23. «ყოველი ამხანაგობისა და პირობის წერილი მოვაქრე ამხანაგთა, ექვილთა და თირქაშიკთა შორის დადებული აღსრულებოდა სრულსა ძალსა ზედა და ვერა რომელი მხარე ვერ შეიძლებდა იმის დარღვევას და ყოველთვის მოექცევოდნენ მათ შორის ქმნილის წერილისამებრ».

წ. «ოდეს შეიყარნენ ამხანაგად, ნურავინ იკადრებს თვინიერ ანგარიშის გასწორებისა განშორებად».

225. «ოდეს ძმად შეიყარნენ საამხანაგოსა რაჟსამე ზედა. ნურავინ იკადრებს დანადგზისა პირობისა ზედა გარდასვლად, რომელსაცა არათუ მხოლოდ ერთიორად მიეხდების, არამედ ჭურუმითაცა განიპატიევის».

29. «რომელიც ვაჟარი სხვაზე წადავებისას თავის თხოვით შეაკვრევენებდა მოსამართლეთ მოპასუხის საქონელს ანუ თეთრს, და ისი შემდგომ თავის სადაოს ვერ უსაბუთებდა და გამტყუნდებოდა, მაშინ იმ ტყუილს მოდავეს შეკრულისა საქონლისა და თეთრისათვის რასაც მოგებას და სარგებელს მოსცდებოდა, აზღვევენებდნენ».

213. «ოდესცა ვალი გამრავლებულ იქმნას, მაშინ ჩვეულებითსამებრ სოვდაგრისა, საქონელი შეკრულ იქმნებოდეს, რომლისთვისცა კელყოფად ნურავინ მოვალეთაგანი იკადრებს გახსნად, თვინიერ სამართლისა».

### სარისტა

| ჩვეულებითი სჯულის 28-ე მუხლში გვხვდება ტერმინი სარისტა. ეს სიტყვა მოცემულია ასეთ კონტექსტში: «შვილი მამის სიცოცხლეში სარისტაში და აღებ-მიცემაში ყოფნისას აიღებდა ვალს».

ალ. ნეიმანის «ქართულ სინონიმთა ლექსიკონი» განმარტავს: სარისტა—«მარიფათი, შნო, უნარი, ნიჭი. ხელმიმყოფლობა, თვგზიანობა, მოხერხება, ფხა». მაგრამ ეს განმარტება არ შეესაბამება ზემოთ მოტანილი წინადადების კონტექსტის შინაარსს. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი სრულიად არ გვხვდება ქართული სამართლის

საკანონმდებლო ძეგლებში.) ორიოდ შემთხვევა აღნიშნულია მხოლოდ გვიანფოდალური ხანის უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ საბუთებში, რომლებიც დაიბეჭდა «მასალებში საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის». ამ მასალების დანართ ლექსიკონში ეს ტერმინი ახსნილია ასე: ს ა რ ი შ ტ ი, ს ა რ ი ს შ ტ ა, ს ა რ ი ს ტ ა — «წესრიგი, თადარიგი; მოხერხება»<sup>1</sup>. შესაძლოა სარისტას თავდაპირველი მნიშვნელობა ასეთი იყო. მაგრამ ეს განმარტება ვერ გადმოგვცემს იმ შინაარსს, რომელიც ამ ტერმინმა მიიღო ქართულში XVIII საუკუნის ბოლოს.

1792 წლის 27 ივნისს სავაჭრო მოგზაურობაში მყოფი ვაჭარი სტეფანე ასლანოვი მანუჩარ თუმანოვისადმი გაგზავნილ წერილში წერს: «ახლა ჩვენი ს ა რ ი შ ტ ი ს ა მოგახსენო: მოზდოკს რომე გი-ახელი საქონელი, ექვსის თვის ვადით საქონელი გავყიდე. მოგესხენებოდა, რომე მაშინ ხალხს რა ზარალი მოუვიდა, რომე გზაზე მთელი ცალები დალბა, რომე ერთიც ყამაზანთ მუხადას შვილისა იყო. წყალ ჩავარდნილი საქონელი, წვიმისაგან წამხდარი, თუ ვადით არ მიმეცა, არ იქნებოდა. ვიფიქრე ექვსის თვით რომე გამიყიდნია, რვა თვე გასწევს. ეს რვა თვე რა უნდა ვქნათ? ე ხ ტ ი ბ ა რ ი ც ა მქონდა. მივყავ ხრიდს<sup>2</sup> ხელი. ხუთასი თუმნის ხრიდი დათუას ხელით გამოვისტუმრე ქალაქს აღასთან. ათას ექვსასი თუმნის ხრიდითაც კარაპიტა გავისტუმრე ბაქუს. მივეცი ვექსილები ხალხს და დავკე-ქი აქა»<sup>3</sup>.

ამ წერილში დაწვრილებით აღნიშნულია დაბრკოლებანი, რომლებიც სავაჭროდ გამგზავრებულ ვაჭარს შეხვედრია. აღწერილია პირობები, რომელშიაც იგი აღმოჩნდა. ყოველივე ეს მოთხრობილია იმ თანმიმდევრობით, როგორც ამას ადგილი ჰქონია სავაჭროდ გამგზავრების დღიდანვე. ამასთანავე ნაჩვენებია ვაჭრის მიერ ჩატარებული სავაჭრო ოპერაციები და კომერციული ხასიათის სხვადასხვა საქმიანობა. წერილის ფრაზა — «ახლა ჩვენი ს ა რ ი შ ტ ი ს ა მოგახსენო», აქ წესრიგს, თადარიგსა ან მოხერხებას არ ნიშნავს, მას აქ უფრო გარკვეული საქმიანობის შინაარსი აქვს.

1790 წლის აბტალის ოქროს გამოსავლისა და ხარჯის წიგნში კვითხულობთ: «დავით მუშრებიხ ნაწერი ზ ყაბზით რომ გ თითა

<sup>1</sup> მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, დანართი (ლექსიკონი), 1957 წ., გვ. 34.

<sup>2</sup> ხრიდი—სავაჭრო საქონელი.

<sup>3</sup> მასალები საქ. ეკ. ისტ. II, გვ. 283.

ყოფილა დაგირავებული, სალევკოთ გამოუერთმევეია, თითების მაგიერათ გირაოთ მიუცია და თითები გამოუტანია. ამისი სარიშტა დავით მუშრიბს უნდა ეკითხოს, რომ არის ორისავე ყაბზით გამორთმეული ოქროს ჯამი მისხალი»<sup>1</sup>.

«მუშრიბი» ეწოდება მწერალს, ანგარიშის დამკერს, «ყაბაზა» — ბარათს, ხელწერილს, «თითა» — თვალ-მარგალიტით მოოქვილ ქალთა გულის ან შუბლის მოსართავს, «ჯამი» — ჯამს, თანხას. მასასადამე, საბუთის შინაარსი ასეთი იქნება: დავით მწერლის ნაწერი 2 ბარათით რომ 3 შესამკობელი ნივთი ყოფილა დაგირავებული, სალევკოთ გამოუერთმევეია, შესამკობელი ნივთის მაგიერად გირაოდ მიუცია და შესამკობელი ნივთი გამოუტანია. ამისი სარიშტა დავით მწერალს უნდა ეკითხოს, რომ არის ორისავე ბარათით გამორთმეული ოქროს ჯამი მისხალი. ფრაზაში — «ამისი სარიშტა დავით მუშრიბს უნდა ეკითხოს» — ტერმინი სარიშტა წესრიგს ან თადარიგს არ უნდა ნიშნავდეს.

სარიშტის გაგებისათვის მეტად მნიშვნელოვან მასალას შეიცავს XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებული — «სამოქალაქოს ჰსჯულვილება»<sup>2</sup>. ამ ძეგლის ტექსტი ჯერჯერობით, გამოცემული არ არის. ახლახან გამოქვეყნდა ნარკვევი ძეგლის ხელნაწერის, მისი სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ<sup>3</sup>. «სამოქალაქოს სჯულვილება» რამდენიმე მანიფესტად იყოფა, ხოლო თვითელი მანიფესტი — მუხლებად. № 1 მანიფესტში ნათქვამია: «რომელნიც ჩვენს მეფობის დროს ანუ შემოსულან და ანუ შემოვლენ ჩვენ საფარველსა ქვეშე სამდგმურად... პოლიცამ ჰკითხოს სადიდგან ანუ რომლის ქვეყანიდგან არიან მოსულნი... ჰნებავს აქ ჩვენს ქვეყანაში დასახლებისა, რას საქმეზედ უნდათ დგომა, ანუ ვაჭრობაზედ, ანუ ხელოვნობაზედ, ანუ ხენა-თესვაზედ, და ანუ რამ სხვას სარიშტაზედ...» (მუხ. 1 და 2). სარიშტა აქ ვაჭრობის, ხელობის, ხენა-თესვის საქმის სინონიმად უნდა იყოს ნახმარი. ტექსტის სიტყვები — «რა საქმეზედ უნდათ დგომა», იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სარიშტა გულისხმობს ყოველგვარ მოსაქმეობას.

ამავე მანიფესტის მე-13 მუხლში ნათქვამია: «...რომელნიც ჩვენს ქვეყნიდგან ვინმენი იყენენ გასულნი უცხოს ქვეყნათ...»

<sup>1</sup> მასალები საქ. ეკ. ისტ., ტ. III, გვ. 89.

<sup>2</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა H—2162.

<sup>3</sup> დ. ფურცელაძე, სამოქალაქოს ჰსჯულვილება, თბილისი, 1960 წ. :

დიდს ხანს უცხოს ქვეყნად ანუ ვაჟრობით ანუ ხელოვნობით და ანუ სხვა რამ სარიშტით ეცხოვროსთ, და არ დასახლებულ იყუნენ... და რომელნიც თუ გინდ კიდევ დასახლებულან...». აქაც სარიშტა გამონატავს ვაჟრობას, ხელოსნობას ან სხვა საქმიანობას.

გარდაცვლილი კაცის ქონების შესახებ კანონპროექტი აღგენს: «როდესაც დამარბონ იმ წამსვე ქალაქის მოვრაჲი, ხსენებული ობოლთ მფარველნი და ორიოდეს მოქალაქით, ქურივის ტანისამოსისა და ზითვის გარდა, თუ სახლის ავეჯულობა, თუ ღუქნისა ანუ სხვაგან რამ საქონელი აქვს, თუ თამასუქები, თუ დავთრები, თუ სხვა სარიშტის წიგნები, თუ სახლები, თუ მამული, და თუ იმ გვარი რამე ჰქონდეს სადმე, სრულად აღსწერონ...» (მანიფესტი № 3, მუხ. 40). ამ კონტექსტში «სარიშტის წიგნები» ყოველგვარი აღებ-მიცემობის საბუთს უნდა ნიშნავდეს.

№ 4 მანიფესტის შესავალში ნათქვამია: «აქამომდე სამართალი იყო ჩვენს საბძანებელთა შინა, რომე მამის ვალი შეიღმან უნდა მისცესო... არამცა თუ მარტო თავიანთის მამისა, არამედ პაპეული და პაპის პაპეული, ტყვილი თუ მართალი, ... ამ ნაირის უსამართლობის მიზეზით დიად მრავალნი... პირველად, ბედოვლათნი გამოდიოდნენ ძალათ და ჯავრით, — მეორედ, გულიანათ თავიანთს საქმესა და სარიშტას ვერ ეჭიდებოდნენ, — მესამედ, თუ გინდ მოგების შნოც ჰქონოდათ შიშით ვერას იგებდნენ...». აქაც ეს ტერმინი «საქმის» სინონიმი უნდა იყოს.

№ 6 მანიფესტი გაუყრელი ძმების შესახებ ამბობს: «...მოხდებოდა ხოლმე რომე ორნი ანუ მეტნი ძმანი არიან, ზოგნი უცხოს ქვეყანაში გავიდოდნენ სავაჭროთ ანუ სხვას სარიშტისათვის...» (თავი 4, მუხ. 16). ამ შემთხვევაშიც სარიშტა ყოველგვარ აღებ-მიცემობას უნდა ნიშნავდეს.

დაბოლოს, დავიმოწმებთ აღნიშნული ძეგლის მე-6 მანიფესტიდან კიდევ ერთ მუხლს, სადაც ეს ტერმინი მოხსენებულია სამჯერ: «ყოველთვის მოვალეობა აქვსთ შვილთ, რომე თავიანთი მშობელნი პატივით და კარგათ შეინახონ, და მათს მორჩილობასა ქვეშე იყვნენ სახლსა შინა, მისი სარიშტასთან კი გასარევი არა აქვსთ რა, რადგანაც იმ მშობელთ არ იციან რა მის სარიშტისა. და თუ მამას ისევე ხელიდგან გამოზღდის რამე. მაშინ კი თავისის სარიშტის მორჩილიც უნდა იყვნენ თავიანთის მამისა. და კიდევ უნდა ჰკლანონ. თუ სრულ ჰკვაზედ არის მათი მამა...» (თავი 9, მუხ. 69). სამივე შემთხვევაში სიტყვა სარიშტა საქმიანობას უნდა გამოხატავდეს.

ზემოთ დამოწმებულ საბუთებში ტერმინი სარიშტა მოცემულია ასეთ კონტექსტში: «ახლა ჩვენი სარიშტისა მოგახსენო», «ამისი სარიშტა დავით მუშრიბს უნდა ეკითხოს». «რას საქმეზედ უნდათ დგომა, ანუ ვაქრობაზედ. ანუ ხელოვნობაზედ, ანუ ხვნა-თესვაზედ და ანუ რამ სხვას სარიშტაზედ», «უცხოს ქვეყნად ანუ ვაქრობით ანუ ხელოვნობით და ანუ სხვა რამ სარიშტით ეცხოვროსთ», «თუ რამ საქონელი აქვს, თუ თამასუქები, თუ დავთრები, თუ სხვა სარიშტის წიგნები», «გულიანათ თავიანთს საქმესა და სარიშტას ვერ ეკიდებოდნენ», «ზოგნი უცხოს ქვეყანაში გავიდოდნენ სავაქროთ ანუ სხვას სარიშტისათვის».

მოტანილი ტექსტებიდან ჩანს, რომ ტერმინი სარისტა ფართო მნიშვნელობის მქონე სიტყვაა. იგი ნიშნავს ვაქრობას, ხელობას, ხვნა-თესვას და სხვა საქმიანობას. მაშასადამე, სარისტა არის ყოველგვარი საქმიანობა, მოსაქმეობა, უმთავრესად კი იგი აღებ-მიციემოშის მნიშვნელობით იხმარება. სარისტის ზუსტ, ადეკვატურ მნიშვნელობას გადმოგვცემს თანამედროვე ტერმინი ბიზნესი; სარისტა ნიშნავს ყოველგვარ მოსაქმეობას, წამომწყებლობასა და ხელმძღვანელობას, რომელსაც ადამიანი მისდევს სარფისა და მოგებას მიღების მიზნით/ ასეთი მნიშვნელობით დამკვიდრდა ეს ტერმინი ქართული სამართლის ძეგლებში.

### გარდაცვლილ კაცთათვის

(მუხ. 30—38)

/ ჩვეულებითი სჯულის აღნიშნული მუხლები აწესრიგებენ მემკვიდრეობის საკითხებს. სჯული განსაზღვრავს კანონიერ მემკვიდრეთა წრეს. კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებიან შვილები. გაუყრელი ძმა. შმისწული. თუ აღნიშნული მემკვიდრეება არ არიან, იმ შემთხვევაში მემკვიდრეებად მოწვეულნი იქნებიან «მახლოპელი ნათესავები ოთხ თაობამდე». ასეთ მემკვიდრეთა გამოწვევა ხდება «ძიროვანი ჩვეულების» მიხედვით, როგორც «ბრძანებულ არს კანონსა შინა მეფის ვახტანგისა». ნათქვამია ჩვეულებითი სჯულის 31-ე მუხლში. «ვახტანგის კანონი» აქ გულისხმობს ვახტანგის კანონთა კრე-

ბულში შეტანილი სომხური სამართლის წიგნის 251 და 253 მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებენ მეპკვიდრეობის დაწვრილებით წესს.

სომხური სამართლის 251 მუხლის თანახმად დადგენილია მეპკვიდრეობის შემდეგი რიგი: «შვილთა მართებს დაპატრონება, თუ ყვანდეს, მაგრამ თუ არა ყვანდეს, ქალი დაპატრონდეს, ის რომ სახლში იყოს დაუქორწინებელი, და იმ დაქორწინებულთა ორმა დამ ერთი ძმის წილი უნდა გაიტანონ... და თუ არც ქალი დარჩეს, დაპატრონდეს ძმა. და თუ ასეთი ქალი დარჩეს, რომ დაქორწინებული იყოს და ქმარშვილიანი და მოინდომოს მამის საპატრონო და წავიდეს ქმრითა-შვილითა და მამის საპატრონოს დაჯდეს, მისი შეიქნას, და უარი ვერ უთხრას მამის ძმამა. და თუ მისულა არ ინდომოს, აიღოს თავისი წილი. და სხვა დარჩეს მამის ძმასა, მას ქალის ბიძას. და თუ არ დარჩეს წას კაცს ძმა, მის კაცის მამის ძმა დაპატრონდეს. და თუ არც იყოს მამის ძმა, სხვა. რომელიც ახლო ნათესავი იყოს მამეული, ის დაპატრონდეს, არათუ დედეული ქალისა. მარტოა პატრონობა არათუ ქალის ნათესაობით, მამის ძმის ნათესაობა რომ უბრძანა რიგმა. თუ ძმა ცოცხალი ყავს, უწინ ძმისაა მართებული, თუ არადა დედა-და ყვანდეს და ანუ ცოლი დარჩეს, ვერ დაპატრონდეს. და თავთავის წილის წესი აიღონ: ცოლსა ერთი დანგი და დასა დანგი და ნახევარი და დედასა სამი თასუ. და სხვა სახლში ნათესავი ვინც იყოს, რიგით დასთვალონ ოთხ ჰიპამდე, იმათ გარდაკუთვით წილი არ დაედვასთ. გამოჩენით ვინც საპატრონოს დაპატრონდეს, მან უნდა შეინახოს. და თუ ოთხ ჰიპამდი საპატრონო არა ჩნდეს, ამსუკან მოსამართლემ წილი ყაროს მათზე, როგორც რომ სწერია მოსამართლისა სამართალში».

მხითარ გოშის სომხური სამართლის წიგნით დადგენილი მეპკვიდრეობის ეს წესი მომდინარეობს ძველებრათული კანონმდებლობიდან—მოსეს სამართლიდან: «და იყოს შვილთა ისრაელთა შუა რიგი და სამართალი ესე, როგორც რომ უბრძანა მოსეს», ამბობს მხითარ გოში თავის სამართლის წიგნის ზემოთ მოტანილ მუხლში.

რაც შეეხება სომხური სამართლის 253-ე მუხლს, მასში ლაპარაკია გარდაცვლილი ქალის (დედა, ცოლი) ქონების დამემკვიდრებაზე. ამასთან კანონი მიუთითებს, რომ მეემკვიდრეობის მიღება იმავე წესით უნდა მოხდეს, როგორც ეს დადგენილია მამაკაცთა მიმართ ზემოთ მოტანილ მუხლში. «მსგავსად კაცთა თუ შვილი დარჩეს, ის დაპატრონდეს დედისა. და თუ ვაჟი არ დარჩეს, ქალი-

დაპატრონდეს. თუ არც ქალი და არც ვაჟი დარჩეს, ძმა, და თუ არც ძმა იყოს, მამის ძმა. და თუ არც ის იყოს, მამეული ნათესავი ოთხ ჯიბამდი დაპატრონდეს. და თუ ძმა ან მამა ცოცხალი ყუანდეს და მისი ნაშენი დარჩეს რამ, ყუელა რამ იმათია. თუ თავიდან უწვილო იყოს, მისის ქონების დაპატრონება ძმისა არის და უნდა მის ხელს მოაქმაროს და გაუცეს».

ასეთია კანონიერ მემკვიდრეთა წრე, რომელიც განსაზღვრულია მსითარ გოშის სამართლის წიგნით. ქართული ჩვეულებითი სამართლის ჩამწერნი ამ მუხლებიდან იმოწმებენ იმ ადგილს, რომელიც ეხება მემკვიდრეთა გამოწვევას ოთხ თაობამდე, ანუ როგორც თვით კანონი ამბობს «მამეული ნათესავი ოთხ კიპამდი დაპატრონდეს» სამკვიდროს დამტოვებლის ქონებასო. ჩვეულებათა შემკრებნი თანაც დასქენენ, რომ ოთხ თაობამდე მართლბელი ნათესავების მოწვევა სამკვიდრო ქონების მისაღებად და განსაგებლად მიღებული იყო ქართულ სამართალში «ძირთვანი ჩვეულები» მიხედვითო.

| სამკვიდრო ქონების მიმღებ ნათესავთა წრე სხვადასხვაგვარი იყო ძველ დროსა და შუა საუკუნეებში. რომის პრეტორული სამართლის მიხედვით მემკვიდრეთა გამოწვევა ხდებოდა მე-6 ხარისხის კოგნატების — სისხლითი ნათესავების ჩათვლით (მე-7 ხარისხიდან კი ბიძაშვილების შვილთა შვილები). იმპერატორ იუსტინიანეს Corpus Juris Civilis მიხედვით გამოსაწვევ მემკვიდრეთა წრე განუსაზღვრელია (ad infinitum).

ძველი გერმანელების სამართლის წიგნებიდან აღსანიშნავია რიპუარელ ფრანკთა კანონები (VI საუკ.), რომლებიც ითვალისწინებენ მემკვიდრეთა გამოწვევას მეხუთე თაობამდე: «უკეთუ ვინმე უშვილოდ მოკვდა, მაგრამ მისი დედ-მამა ცოცხალი დარჩა. დაე მათ მიიღონ მემკვიდრეობა. უკეთუ არც მამა იქნება და არც დედა, დაე ძმა და და დაემკვიდრონ. უკეთუ ისინიც არ იქნებიან, დაე დედისა და მამის დები დაემკვიდრონ. შემდეგ კი მეხუთე თაობამდე უახლოესმა ნათესავებმა მიიღონ მემკვიდრეობა. მაგრამ როცა არის მამრობითი სქესი, ქალი პაპისეულ მემკვიდრეობას ვერ მიიღებს»<sup>1</sup>.

1 ბავარიელთა სამართალი (Lex Baiuvariorum), რომელიც შედგენილია VIII საუკუნეში, მემკვიდრეთა გამოწვევას ითვალისწინებს მე-7 ხარისხამდე.

<sup>1</sup> Lex Ripuaria, § 1, 2, 3, 4; ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1950 წ., გვ. 56.

შუა საუკუნეების გერმანიის ფეოდალური სამართლის ძეგლის ე. წ. «საქსონის სარკის»—Sachsenspiegel—მიხედვით მემკვიდრეთა გამოწვევა წარმოებს «usque ad octavum gradum», ე. ი. «მერვე ხარისხამდე», რაც უდრის ოთხ თაობას. / «მახლობელ ნათესავთა ოთხ თაობამდე», გამოწვევა სამკვიდრო ქონების მისაღებად ცნობილი იყო აგრეთვე ძველ რუსულ სამართალშიც—«4 колено». იმპერიის პერიოდის რუსეთში კი მემკვიდრეთა წრე განუსაზღვრელი ხდება.

ჩვეულებითი სჯულის 38-ე მუხლის მიხედვით მამის გარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვანი შვილების სახლისა და მამულის მოვლა-პატრონობა ძმებს ან ბიძებს ეკისრებოდათ. მაგრამ თუ ისინი ქონების გამწიფებელნი და გამფუჭებელნი იქნებოდნენ, მაშინ მოსამართლე ან სხვა მოხელე მცირეწლოვანთა გაზრდამდე მათ მამულსა და შემოსავალს დასაცავად ზედამხედველს მიაბარებდა. ასეთივე წესს ითვალისწინებს დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნიც: «და ოდეს მოკუდეს კაცი და დაუშთეს წვრილნი ძენი, და ასაკრანიც, და მოსამართლეთა, რომელთაცა შვენის, რათამცა მიაბარონ მამული, რომელიცა არის უფროსი სახლსა მას შინა, და დაუდრგინონ მათ, მსგავსად ვეჟილთა, მაშინ მიმბარებელი იგი ძმა ანუ სახლისკაცი ნუ იკადრებს გასყიდვად ანუ დაგირავებად მამულისა საკუთრებისათვის ვალისა თვისისა, უკეთუ არა არს დანარჩენი ვალი მამა-დედათა მისთა» (მუხ. 60).

ჩვეულებრიტი სამართლის 37-ე მუხლის თანახმად გაუყრელ ძმათა მამულის შემოსავლის გამგებლობა ეკისრებოდა უფროს ძმას, თუ ის დაავადმყოფებული არ იქნებოდა. ასეთ წესს ითვალისწინებს დავით ბატონიშვილის სამართალიც: «ხოლო უკეთუ იყოს ძმა ერთი სნეულ, ნუ იკადრებენ მოსამართლენი გაყრად მისა, არამედ მისცენ მას საზრდო და საეჭიმო; და ოდესცა განთავისუფლდეს, მაშინ ძალ-უცს გაყრად ძმათა თვისთა» (მუხ. 29).

ჩვეულებითი სჯულის ის მუხლები, რომლებიც კანონიერ მემკვიდრეთა წრეს, სამკვიდრო ქონების შედგენილობას, მისი დამკვიდრებისა და გამგებლობის წესს განსაზღვრავს, მთელ რიგ მეტად მნიშვნელოვან ნორმებს შეიცავს. ეს ცნობები ავსებს ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლების ხარვეზებს მემკვიდრეობის დარგში.



/ ჩვეულებითი სჯული. როგორც ზემოთ ითქვა, გარკვეული აზრით წარმოადგენს ქალაქის ჩვეულებითი სამართლის კრებულს, მოქალაქეთა ადათ-ჩვეულებების ჩანაწერს. იგი უპირატესად შეიცავს ისეთ ჩვეულებებს, რომლებიც აწესრიგებენ ქალაქის მცხოვრებთა იურიდიულ ურთიერთობებს. თავები «საზოგადო ვალის გარდუმხდელთათვის» (მუხ. 13—22), «საზოგადო ვაჭრობისათვის» (მუხ. 23—29), აგრეთვე 32—37 მუხლები, რომლებიც მემკვიდრეობის საკითხებს აწესრიგებს და თავი «გაყრისათვის» (მუხ. 39—56) მიძღვნილია ქალაქის მცხოვრებთა კერძოუფლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისადმი. ამ დებულებას ადასტურებს თვით ჩვეულებითი სჯულის ზოგიერთ მუხლში დატული ცნობაც. სჯულის 39-ე მუხლში ნათქვამია: «კეთილშობილთა და გლეხთა გაყრისათვის მეფის ვახტანგის კანონის პირველს წიგნსა შინა საკმარებლად წერილ არს. რომელიცა მოხმარებულ არს და იხმარების კიდევ გარდა მოქალაქეთა, უამოქალაქეთა გაყრისათვის იხმარებოდანა შემდგომი ჩვეულებანი». ამრიგად, თვით ჩვეულებითი სჯულის შემდგენლები მიაუთითებენ, რომ ჩვენ მიერ ჩაწერილი წეს-ჩვეულებანი მხოლოდ მოქალაქეთა მიმართ გამოიყენებოდა. რაც შეეხება თავადაზნაურობას და გლეხობას, მათ მიმართ ვახტანგ მეფის სამართლის წიგნი მოქმედებდა.

დავით ბატონიშვილიც მის მიერ შედგენილ სამართლის წიგნში აცხადებს: «ხოლო გაყრისათვის ამაღ არ განვაგძობთ სიტყვასა. რომელ გაყრისათვის ქართუჭლთა აქუსთ წესი და კანონი წინაპართათვისთა, ვითარცა ცხად არს მეფის ვახტანგის სამართალში» (მუხ. 29).

| ჩვეულებითი სჯულის ზოგიერთი ნორმა, რომელიც გაყრას ეხება, ნათესაობას იჩენს ვახტანგის სამართლის წიგნთან, მხედველობაში ღებულობს მას. მისგან გამოდის. | სჯულის მე-41 მუხლი ადგენს: «გაუყრელ ძმათა, ბიძათა და ბიძაშვილთა ერთობასა შინა შემთხვეული ქირსა და ლხინში ხარჯი. ზარალი. მოგება. ვალა, ასაღებ-მისაცემი, ესე ყოველივე» საერთო არისო. ჩვეულებითი სამართლის ეს წესი დაკანონებულია ვახტანგის სამართლის წიგნშიც: «საქართველოს რიგით, ძმა თუ ძმისწული ან ბიძაშვილი ვა-

უყრელი დარჩა, იმ მკვიდრის წილი მამულიცა და საქონელიც მისი არის და ვალიც იმათ უნდა გარდინხადონ» (მუხ. 139).

### საუფროსო

საუფროსოს წარმოშობას ზოგიერთი მკვლევარი უკავშირებს საღამურო სამსახურის ვალდებულების შესრულებას; აბჯროსანი უფროსი ძმა გამორიცხავს უმცროსს, არასრულწლოვან ძმებს. აქედან წარმოდგება მისი უპირატესი უფლებები სამემკვიდრეო ქონებაში ზედმეტი წილის მიღებაზე.

ჩვეულებითი სჯული იყენებს ვანტანგის სამართლს იმ მუხლებს, რომლებიც ეხებიან ოჯახის გაყრისა და ქონების დაწესილების წესს. ჩვეულებითი სამართლის 43-ე მუხლი ეხება ე. წ. საუფროსოს, ე. ი. სამკვიდრო ქონებაში უფროსი ძმის ზედმეტი წილის საკითხს და ამბობს, რომ უფროს ძმას მამულისა და ქონების მიხედვით ერთ-ერთ მამულს საერთო ქონებიდან «საუფროსოდ მისცემდენო». საუფროსოს ინსტიტუტი ქართულ სამართალში ძველი დროიდანვე იყო ცნობილი. საუფროსო, ანუ «საუხუცესო» მოხსენებულია გიორგი მერჩულის გრიგოლ ხანჭთელის ცხოვრებაშიც.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი, რომელიც XI საუკუნეშია შედგენილი, აწესებს დიდებულთა, აზნაურთა და გლეხთა საუხუცესოს — უფროსი ძმის ზედმეტი წილს სამკვიდრო ქონებაში: «თუ დიდებულნი გაიყარნენ, ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ», თუ აზნაურნი გაიყარნენ, «უფროსსა ძმასა საუხუცესოდ ერთი გლეხი», ხოლო «თუ გლეხნი გაიყარნენ, უხუცესსა ძმასა ანუ თავი სახლი, ანუ ერთი ვენაჯი, ანუ უფროსნი ჰურნი საუხუცესოდ» (მუხ. 153, 154, 155). ამრიგად, სამართალი აწესებს საუხუცესოს წოდებათა მიხედვით და განსაზღვრავს დიდებულის, აზნაურისა და გლეხის საუხუცესოს.

საუხუცესო გათვალისწინებულია ბექა მანდატურთუხუცესის სამართალშიც: ჯაყრის დროს უფროს ძმას «ძმისაგან კიდე წესი ერთისა საუხუცესოსა მეტი არა მართებს... საუხუცესოსა ამად წესი არს, რომე თვით მოსეს პირითა დამბადებელი «დაბადებასა» შივან დასწერს. წესი რამე დადებული ძნელად მოიშლების. შუანი არ ემართლებიან» (მუხ. 49). მაშასადამე, ბექას სამართალს «საუხუცესო» ისეთ ჩვეულებად. «წესად» მიაჩნია, რომელიც მოსეს სამართლიდან მომდინარეობს და «ძნელად მოიშლების». შუა კაცებს,

ანუ მედიატორათა სასამართლოს არა აქვს უფლება უარი უთხრას უფროს ძმას საუხუცესოს გამოყოფაზე.

| ბექას სამართალი საუხუცესოს ოსაც იცნობს. «იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომე უმცროსსა მამულოვნებით გაიყვანებენ, თუ ცოლსა შეირთავს, იგი წესია, სამართალი არა». საუხუცესოსო ადგილობრივ და საგვარეულო ჩვეულებას წარმოადგენს — «ალაგისა და გვარის წესი» და არა საყოველთაო ჩვეულება. ზოგიერთ გვარში ეს წესი არ არსებობს, «აროდეს ქმნილა მათსა გვარსა შიგან». საუხუცესოსო ჩვეულებაა და არა კანონი, «წესია, სამართალი არა».

ქართულ სამართალში, ისე როგორც სხვა ხალხთა სამართალშიც, მიღებული იყო ძველი წესი, რომლის მიხედვითაც უფროს ვაჟიშვილს წინაპართა პატივისცემისა და სულის მოსახსენებლად საჭირო სამსახური უნდა გაეწია. ამ მიზნით უფროს ძმას ქონების კუთვნილი წილის გარდა უფროსობისათვის დამატებითი წილი უნდა მიეღო სამკვიდრო ქონებიდან. საუხუცესო ანუ საუფროსო, სწორედ ამ მიზნისათვის განკუთვნილ ქონების სამო წილს წარმოადგენდა.

| ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნმა, რომელიც შედგენილია 1705—1708 წლებში, დააკანონა საუფროსოს, საშუალოს და საუხუცესოს ინსტიტუტები. | ამასთანავე ვახტანგის სამართალი, ისე როგორც ბაგრატ კურაპალატის სამართალი, ამ ინსტიტუტებს წოდებათა მიხედვით ადგენს. სამართლის წიგნის 100—103 მუხლები თავად-აზნაურთა საუფროსოს, საშუალოსა და საუხუცესოს ადებენ წესს ითვალისწინებენ.

საუფროსოს შესახებ კანონი ადგენს: «საუფროსო ასრე არას და ასრე უნდა... რამდენიც კომლი დადგეს, ოც კომლზე ერთს უკეთესს. რომელიც უნდა, უფროსი გამოირჩევეს. და ერთს უარესს — სხვა ძმები» (მუხ. 100). ამრიგად მეზატონე-გლეხების ყოველ ოც კომლზე საუფროსოდ ღებულობს ერთ უკეთეს კომლს. «საშუალო, ასრე არის: თუ სამი და ოთხი შუათანა ძმები არიან, ამ გლეხების ოცისთავი იანგარიშონ, რამდენიც კომლი დადგეს ის შუათანას ძმებს გაუყონ ერთი მეორეზე, რომელიც უფრო მოჭირნახულე იყოს, ისრე გაუყონ» (მუხ. 102). უმცროსი ძმის წილის შესახებ კინათქვამია შემდეგი: «უმცროსი ძმისა — საუხუცესოსო სასახლე, რომელიც მამასა გინა ძმათა სასახლედ შემოუფარგლავთ, ანუ ფუხედ დაუჭირავთ, იმაში რაც შენობა უქნიათ, ყველა უმცროსისა არის» (მუხ. 103).

ვახტანგის სამართლის მიხედვით. როგორც წესი, ზერიდან და ხოდაბუნიდან საუფროსოს აღება არ შეიძლება. მაგრამ გამონაკლისის სახით ეს ძველი ჩვეულება ციციშვილების დიდებულთა გვარში შემორჩენილა. «ციციშვილების მეტში ზერისა და ხოდაბუნის საუფროსო არავისაში არ არის. იმათაც ძველობით ფიცით გაუტანიათ და მისთვის დარჩომილა» (მუხ. 103). ზემოთ აღინიშნა, რომ ბექას სამართალიც საუხუცესოს «გვარისა და ალაგის წესს», ე. ი. საგვარეულო და ადგილობრივ ჩვეულებას უწოდებს.

საუფროსოს, საშუალოს და საუმცროსოს აღების შემდეგ «სხვა რაც გასაყოფი გლეხი დარჩების, მისი ასრე უნდა: რამდენიც ძმანი არიან, იმდენი კომლი და კომლი უნდა შეაფარდონ, რომ ყველანი დასჯერდენ, რომ სწორი ფარდი არისო, და რომელიც მერგების, ვჯერვარო» (მუხ. 104).

ასეთია დიდებულთა და აზნაურთა გაყრის დროს საუფროსოს, საშუალოს და საუმცროსოს აღების წესი.

რაც შეეხება გლეხთა გაყრის წესს, მის შესახებ ლაპარაკია სამართლის წიგნის 204-ე მუხლში. «გლეხის გაყრა ასრე არის: დარბაზი დერეფნითა უფროსისა არის; კალო-საბძელი — უმცროსისა; ღვედი, სახნის-საკვეთი, გუთნის იარაღი — გუთნის დედისა; ცხვრის ქვაბი, ერკემელი, რაც არის, მეცხვარისა არის; კმალი, თოფი, ცხენი და იარაღი მსახურისა არის. სხვა მამული ძმაზე გაიყონ და რჩომა მწყემსზე».

ნიშანდობლივია, რომ ბავრატ კურაპალატის სამართლისა და ვახტანგის სამართლის მიხედვით თავად-აზნაურთა გაყრის დროს სახლი უმცროს ძმას რჩება, გლეხთა გაყრის დროს კი — უფროსს.

XVIII საუკუნის დასაწყისამდე ქართული სამართალი მხოლოდ საუფროსოსა და საუმცროსოს იცნობდა. რაც შეეხება საშუალოს, იგი შემოიღო მეფე გიორგი XI-მ. ვახტანგის სამართლის 102-ე მუხლში ნათქვამია: «საშუალო ასრე არის: აქამდის შუას ძმას არას მისცემდენ, თუ არ დიდად მოჰკირანახულესა, მაგრამ ახლა მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა, რომე შუათანას ძმებსაც ერთს რასხე მისცემენ». ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ საშუალო ძმის განსაკუთრებული წილი არ იყო დაკანონებული ვახტანგის სამართლის შედგენამდე.

XVIII საუკუნემდე სიტყვა საუფროსო იშვიათად გვხვდება საბუთებში. ჩვენ მხოლოდ ორიოდ საბუთში შევნიშნეთ ეს ტერმინი. 1684 წლის ერთ საბუთში ნათქვამია: «თქვენში საუფროსო და საუმცროსო აღარ იყოს, ჩემს საუფროსოს არავინ წა-

მოექიდოს, და ძმანი ხართ და ჩემს წილად საუფროსო ყველა სასწორიო იყოს, ისევ ტკბილად და საყვარლად იყავით და ერთობა ქენით»<sup>1</sup>.

XVIII საუკუნის გაყრისა და განჩინების წიგნებში. მათ შორის თვით ვახტანგ VI მიერ გაყრის თაობაზე შედგენილ განჩინებებსა და ბრძანებებში, საუფროსო ხშირად იხსენიება<sup>2</sup>.

1 დამახასიათებელია, რომ ქართული ფეოდალური სამართალი არ იწონებდა ოჯახის გაყრას. ვახტანგ მეფის სამართლის წიგნში ნათქვამია: თუ ერთსახლიანი და გაუყრელი ნათესავეები ერთად ველარ მოთავსდნენ, აიშალნენ და დამღურდნენ, «ბატონმა უნდა დაიბაროს, უფროსი სწვართოს და დაახედოს, უმცროსი დატუქსოს: თუ ყმანი სჩხუბევდენ, ავად მოეპყრან, ნუ მოიშლებით, ნუ გაიყრებით-თქო. ამგვარები დაახედონ, ურჩიონ თავის მოყვრით, კარის კაცით, გაუყრელობას ეცადნენ და, თუ არ იქნას და არ დაიშალონ», მხოლოდ მაშინ გაყარონო (მუხ. 98). მდივანბეგ ერასტისა და სარდლის შვალ მამუქასადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ვახტანგ მეფე არც საუფროსოს, ე. ი. უფროსი ძმის ზედმეტი წილის გამოყოფას იწონებდა: «მე ასე გითხარით, როგორც თქვენს ბიძას. კურთხეულს პაპუნას გაურიგებია თქვენში საუფროსოს აუღებლობა. მეც იმის გარიგებას არ მოვშლი... თავად ღთნუქნას თქვენის სახლის გაყრა, და თუ როდისმე მოხდეს, ან თქვენ და ან თქვენი შვილები გაიყარნენ, როგორც ერთმანეთში პირობა გაქვსთ დადებული და წერილები, ისე უნდა გაიყარნეთ. თქვენში საუფროსოს აღება არავისგან იქნება, არც ჩვენს დროში და არც შემდგომათ ჩვენსა»<sup>3</sup>.

მაგრამ საუფროსოს ინსტიტუტი ისე დამკვიდრებული იყო ცხოვრებითა და კანონმდებლობით, რომ იგივე ვახტანგ მეფე იძულებული გამხდარა სხვა შემთხვევაში ეთქვა: «ჩემი ბრძანება არის, მერმე გლურჯიძეზე... ვერ გაშველდენ იმ გაყოფაზედ. ხელახლა გაუყავ, რომელსაც სხვას მამულზე საუფროსო მისცემოდეს, იმას საუფროსო მიეცე, ვისაც აუშენებია იმას ჳირნახული მიეცე»<sup>4</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 36, იხ. აგრეთვე გვ. 239—240.

<sup>2</sup> იქვე ტ. I, 109, 186, 354, 363; ტ. II, 292, 327, 490; ტ. III, 150, 414 და სხვ.

<sup>3</sup> იქვე, ტ. II, გვ. 327.

<sup>4</sup> იქვე, ტ. II, გვ. 150: იხ. აგრეთვე: დოკუმენტები საქ. სოც. ისტ. I 1940, გვ. 125.

ვახტანგ მეფის ძმის, «მსაჯულად მდებარის» იესეს მიერ გამოტანილ გაყრილობის განჩინებაში ნათქვამია: «გოსტაშაბიშვილების ამიღლანბარისა და მათის ძმების ბეჟანისა და გოსტაშაბის ერთობა და მშობა აღარ მოკდა, გაიყარნენ, რომელიც საქართველოს წესი და რიგი იყო, ისრე გაგვიყრია, მამული გავვიყვია, ყველას ბარათი უჭირავს, უფროსსა უფროსო, საშუალს ბეჟანს საშუალო მივეციეთ; უმცროსსა სასახლის შენობა არა ჰქონდა რა და იმისთვინ წერაქვს ერთი კომლი ბეგთაშა მივეციეთ»<sup>1</sup>. გაყრილობის წიგნში მოტანილი სიტყვები «საქართველოს წესი და რიგი» გულისხმობს ვახტანგ მეფის სამართლის წიგნს, რომელმაც XVII საუკუნე დასაწყისში კვლავ დააკანონა საუფროსოს, საშუალოსა და საუმცროსოს ინსტიტუტი.

დავით ბატონიშვილი თავის სამართლის წიგნში საუფროსოს, საშუალოსა და საუმცროსოს ინსტიტუტის არსებობას ქართველი ერის გაუნათლებლობით ხსნის, მისი აზრით, იგი ეწინააღმდეგება «ბუნებით სჯულს», წარმოშობს შფოთსა და სიძულვილს და ამიტომ საჭიროა, რომ სამკვიდრო ქონება თანაბრად გაიყოს: «მაგრა საუფროსოსა და საუმცროსოსათჳს არა რამესა მივიხსენებთ, ვინაჲთგან განუნათლებელ არს ერი ჩუჴნი; და ოდესცა იწყებეს ყვაელი მეცნიერებისა აღყვავებად, მაშინ თავით თვისით იქმნებიან მსაჯულ ბუნებისამებრ, გინა ბუნებითისა ჰსჯულისა, რომლისთჳსცა უხამს არს საუფროსოსა, გინა საუმცროსოსა და საშუალისა გამოძიება და განყოფა, მით რომე ყოველივე შფოთი და სიძულილი ამის მიერ არს ერთა შორის ჩვენთა წარმოებულ, და რამცა წარმოშობს სიძულილსა, უხამს არს და ბუნებითისაგან სჯულისა გარეგან. და ვინაითგან ესრეთ არს, მაშა ჯერ-არს ყოვლისავე თანასწორ ზომათ განყოფაჲ» (მუხ. 29).

ჩანს, დავით ბატონიშვილს მხედველობიდან გამორჩენია ამ ინსტიტუტის არსებობა შუა საუკუნეების ევროპისა და რუსეთის ადათობრივ სამართალსა და საკანონმდებლო ძეგლებში. «საუფროსოსა» მარტო საქართველოში გამოგონილი ინსტიტუტი არ იყო და, მაშასადამე, «ერის გაუნათლებლობაც» აქ არაფერ შუაშია. ცნობილია, რომ საუზუცესოს ინსტიტუტს იცნობდა შუა საუკუნეების ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის სამოქალაქო სამართალი<sup>2</sup>. რუსეთის სამართალი თუმცა საუფროსოს არ იცნობდა, მაგრამ

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 109.

<sup>2</sup> Всеобщая история государства и права, ч. II, гв. 128, 162, 188.

«Русская Правда»-ს მიხედვით მამის სახლი უმცროს ძმას უნდა დარჩენოდა: «двор... меньшему сыновии»<sup>1</sup> (მუხ. 100). ვახტანგის სამართალიც ამბობს: «უ მ ც რ ო ს ი ძ მ ი ს ა — ს ა უ მ ც რ ო ს ო ს ა ს ა ხ ლ ე» (მუხ. 103). იესე მსაჯულის ზემოაღნიშნულ განჩინებაშიც ასეა ნათქვამი: «უმცროსს სასახლის შენობა არა ჰქონდა და ერთი კომლი მივეციით». როგორც ითქვა. აქ საქმე ეხება თავადაზნაურთა საუმცროსოს და არა გლეხთა წილს, რომელიც სხვაგვარად წესრიგდებოდა.

საუფროსო წარმოდგენს უძველეს იურიდიულ ინსტიტუტს, რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა სამართალში. უფროსი ძმის ზედმეტი წილი სამემკვიდრეო ქონებაში გათვალისწინებულია ძველბაბილონური და ასირიული კანონმდებლობით. ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონები (მუხ. 31, 32, 33), ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები (მუხ. 165, 166), შუა ასირიის კანონები (I, 1) და ძველებრაული კანონმდებლობა — მოსეს სამართალი აწესებს ძმის განსაკუთრებულ წილს გასაყოფ ქონებაში<sup>2</sup>.

ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის მეორე რუსული გამოცემის რედაქტორი, ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ვახტანგის სამართლის წიგნის მე-100 მუხლის შენიშვნაში საუფროსოს, საშუალოს და საუმცროსოს ჩვეულების შესახებ მიუთითებდა: «Как стар он в самой Грузии, трудно пока сказать за неизмением фактов; но существование его во всех осетинских обществах Владикавказского округа, конечно, показывает то, что он практиковался в Грузии гораздо ранее Вахтанга».

როგორც დავინახეთ, საუხუცესო ძველი ღრრიდანვეა ცნობილი ქართული სამართლისათვის.

ჩვეულებითი სჯულის 56-ე მუხლის თანახმად, თუ ოჯახის გაყრის შემდეგ გამოჩნდებოდა წინაპართაგან აღებული ვალი, შვილები ვალდებულნი იყვნენ გადაეხადათ ვალი გაყოფილი ქონების წილის მიხედვით. ანალოგიური შინაარსის დადგენილებას შეიცავს ვახტანგის სამართალიც: «და თუ გაყრილნი არიან და რაც ვალი ერთად ყოფაში აუღიათ, და გაყრაში რომელს რომელი გაკ-

<sup>1</sup> Памятники русского права т. I, 1952 წ., გვ. 113.

<sup>2</sup> ძველი აღმოსავლეთის სამართალი, გვ. 22, 47, 73.

<sup>3</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга, VI, 1887, გვ. 32.

ყოლია, ისრე უნდა გარდაიხადონ... აგრეთვე შვილი მამას თუ სი-  
ცოცხლეში გაყრია, ერთობის ვალში მიუდგების» (მუხ. 139).

აღათების ზოგიერთი მუხლი, რომლებიც გაყრის საკითხებისად-  
მია მიძღვნილი, ახლო ნათესაობას იჩენს დავით ბატონიშვილის სა-  
მართლის წიგნის შესაბამის მუხლებთან. შედარებისათვის მოვიყ-  
ვანთ რამდენიმე მუხლს.

### ჩვეულებრივი სჯული

### სამართალი ბატონიშვილის დავითისა

41. «როდესაც ძმანი, ბიძანი  
და ბიძაშვილნი თავიანთის კე-  
თილნებობით არ გაიყრებოდნენ  
და მოხდებოდა ჩივილი, მაშინ  
ტფილისის მოხელე ეცდებოდა,  
რომ მათ თავიანთ გასაყრელათ  
დაენიშნათ რამდენიმე მოქალაქე.  
თუ ისინი ამას არ მოინდომებ-  
დენ, დაუნიშნევდა თითონ რამ-  
დენსამე პატივცემულს მოქალა-  
ქეთაგანსა და მიანდობდა მათს  
გაყრას».

29. «ოდესცა გაყრისათვის ლა-  
პარაკი მონათესავეთა ანუ ძმათა  
შორის შემოვიდეს, ნურავინ  
იკადრებს მამულისა ანუ ყმათა  
ურვებად, რომელთაცა ესევეთარი  
საქმე მეფისაგან და ანუ მოკელე-  
თაგან მსგავსად ავაზაკთა მიეკით-  
ხებისთ...»

გარნა ემკაცრნენ მოსამართლე-  
ნი, რათა ფარდი წესიერითა კარ-  
გითა განფარდონ და განსწილონ,  
რათა არა უფარდობისა გამო  
წარმოიშუას შფოთი».

46. «რომელს ძმასაც, უფროსს  
თუ უმცროსს, თავის საკუთარის  
გარჯით თეთრი ანუ ქონება მო-  
პოვებული ექნებოდა და თავი-  
სის ღვაწლით შემატებული, იქი-  
დამ იმის გარჯის და მოგების მი-  
ხედვით საჭირნახულოს მისცემ-  
დენ და დანარჩომს ძმათ გაუ-  
ყოფდენ».

227. «და უკეთუ იშოვნონ  
წყალობაჲ და ერთი უმეტესობ-  
დეს ან კეთილკაცობით, ან ბატო-  
ნის კარგის ყმობით და ან მეტითა  
რაჲთამე, რომლისა მიზეზითა გა-  
მოიწყალობონ, მაშინ ნაშოვნისა  
მისგან აილოს საჭირნახულოჲ  
მშოვნელმან, მით რომე შრომა  
და ღვაწლი მოიზიდვენ განსვე-  
ნებასა, და სხვა მეგრ კანონისა  
განიყონ».

53. «რომელს ქვრივს რძალს  
ეყოლებოდა შვილი, ვაჟი ანუ

191. «უკეთუ ქვრივმა მოინდო-  
მოს გათხოვებაჲ მაშინ მებატო-



ქალი მცირეწლოვანი, იმათ და-  
 აგდებდა და გათხოვდებოდა, ნე მისი ნურარაამეს დაბრკო-  
 ამისთანას შემთხვევაში, თუ ექ- ლებასა ჰსცემს, ვინადგან ყოველ-  
 ნებოდა საკმაო მზითევი, მის- სა განუეუჭთელსა აქეს თავი-  
 ცემდნენ მხოლოდ იმას, თვინიერ თანაშეკვრიეს.  
 სამარხისა, და საკმაოს მზითე- გარნა ნურცა ნაქონებსა და  
 ვის უქონლობისას, გარნა მზით- ნურცა მამულსა რაამესა წარი-  
 ვისა სამკუდროსაც მისცემ- ლებს, მით რომე დანაშთომთა  
 დნენ». ძეთა არს იგი... გარნა მზითვისა-  
 გან თვისისა მისცეს მესამელი ძე-  
 თა თვისთა».

### პირის სანახავი

ქ ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს ჯ უ ლ ი ს 52-ე მუხლში ნათქვამია. რომ  
 «გაყრისას დედას ანუ დედის-ნაცვალს ზითვისა, ნიშნისა, პირის  
 სანახავისა ანუ ქმრისაგან ნაჩუქებისა, რაც რომ ექნებოდა,  
 ისინი მათვე მიეცემოდათ». ანალოგიური შინაარსისაა სჯულის მე-15  
 მუხლი, რომლის თანახმად ვალის ურჩ არგადამხდელს იძულებით  
 ახდევინებდნენ ვალს, მაგრამ ცოლის კუთვნილი საჩუქრისა და პი-  
 რადი ნივთების აღწერა არ შეიძლებოდა: «ცოლს მხოლოდ მზითევი,  
 ნიშანი და პირის სანახავი მიეცემოდა და სხვა ყოველივე  
 მოვალის ქონებად აღითვლებოდა შეკერილისა და მოსახმარებელს  
 ნივთს გარდა».

ქ ა ქ ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს ჯ უ ლ ი ვადმოგვეცემს ქართული სა-  
 ოჯახო სამართლის წესს, რომელიც იცავს ცოლის ქონებრივ უფ-  
 ლებებს, კრძალავს მზითევეზე და საქორწინო საჩუქარზე ვალის იძუ-  
 ლებითი გადახდევინების მიქცევას. 1

დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით ქალის  
 საქორწინო საჩუქარი გასაყოფ წილში არ შედის. «პირის ასახადი  
 და პირის სანახავი არს მტკიცე და უამსა გაყრისასა სახლის-  
 კაცთა თანა არ ჩავარდება წილში. ნება აქვს პატარძალსა გაყიდვაცა  
 მისი. ჩუქებაცა, და რომელთა შეილსა სურდეს, დაუტეოს. და უკე-  
 თუ მოკვდეს დედაკაცი იგი უშვილოდ და პირის სანახავი იგი იყოს  
 მთლად, მაშინ მონათესავეთა ქალისათა არა აქვს სამართალი, რომ  
 იჩივლონ, და იქმნებიან არა კმაყოფილ სამართლისაგან» (C 18: გვ.  
 185—186).

მზითვისა და საქორწილო საჩუქარი, როგორც ქალის პირადი კუთვნილებისა და მისი ქონებრივი დამოუკიდებლობის ინსტიტუტი, ცნობილია ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის ხალხთა სამართლის წიგნებში. შუამდინარეთის უძველესი კანონმდებლობის — ეშნუნის მეფის ბილაამის კანონები (მუხ. 17, 18, 25—26), ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის კანონები (მუხ. 29—32), ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონები (მუხ. 138—139, 150, 159—164, 166) და აგრეთვე შუა ასირიისა (III. 30, 31, 41, 43) და ხეთების კანონები (I, 28—30, 34, 36) ითვალისწინებენ მზითვის, საქორწილო გამოსასყიდისა და საქორწილო საჩუქრის ინსტიტუტებს<sup>1</sup>.

აღნიშნული ინსტიტუტები დაკანონებული იყო რომისა და ბიზანტიის სამართალში, შუა საუკუნეების ევროპისა და რუსეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობაში.

საქორწილო საჩუქარი ქართულ სამართალში ცნობილია უძველესი დროიდან. ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებიდან საქორწილო საჩუქარი გათვალისწინებულია ბექა მანდატურთუხუცესის სამართალში.

ასეთ საჩუქარს «სანიჰარი» ეწოდება. სამართლის წიგნის 34-ე მუხლში ნათქვამია: «ქორწილისა სანიჰარი ვალია კაცისაგან კაცსა ზედაო». სანიჰარი ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტია.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის მიხედვით სანიჰარი საქორწილო საჩუქარია, რომელსაც ქალისა და ვაჟის მშობლები და ნათესაეები მიუძღენიდნენ სასძლოსა და სასიძოს. სანიჰარი ქორწინების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მისი მიცემა სავალდებულოა. სანიჰარი შეიძლება სხვადასხვა სახის ყოფილიყო: შესამკობელი ნივთები, სამკაული, ქორწილის ხარჯებში შეწევნა და სხვ. საქორწილო საჩუქარი ცოლის კუთვნილებას შეადგენდა და მისი ქონებრივი დამოუკიდებლობის ობიექტი იყო. «სანიჰარი შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაში «საქორწილოს» სახით გვხვდება (ვახტ. სამ. მუხ. 224). |

აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნი აღდგენს: «ღიაცსა თუ ქმარი მოუკვდეს და შვილი არ დარჩეს, ზითევი თანა გაჰყვეს უკლებად, თუ დედაკაცი მოკუდეს უშვილოდ, ზითევი მისა სამშობლოსა მართებს დაუკლებლად. თუ შვილოსანი დაქვრივდეს, აბჯარი შვილსა მართებს და საქონელი — ღიაცსა, სადა გინდა იყოს» (მუხ. 81). ეს წესი თავადაზნაურულ ოჯახებზე ვრცელდება.

<sup>1</sup> ძველი აღმოსავლეთის სამართალი, გვ. 13 14, 21—22, 43—47, 84. 85, 88, 89, 105—106.

რაც შეეხება გლეხებს, მათი წესი განსხვავებულია: «გლეხთა ასრე იქმნას: თუ ღიაცი უშვილო მოკვდეს, ზითევის ნახევარი — მისსა სულსა, და ხახევარი სამშობლოსა მართებს. თუ ქალი დარჩეს, ვინცა გაზარდოს, მან გაათხოოს და მას გაატანოს. თუ ვაჟი დარჩეს, აბჯარი ვაჟისა და სასაქონლო ქალისა არის» (მუხ. 82).

ვანტანგის სამართლის წიგნის მიხედვით მზითევი და ნიშანი ქალის საკუთრებას შეადგენს. დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტიც ამ საკითხში აღბუღასა და ვანტანგის კანონდებლობიდან ამოღის. /

ამ მხრივ საინტერესოა ვანტანგის კანონებისა და დავით ბატონიშვილის სამართლის შესაბამისი მუხლების შედარება.

### ვანტანგის სამართალი

### სამართალი ბატონიშვილის დავითისა

223. «ნიშნის მიტანისა. ან ვაჟი მოკვდეს და ან ქალი, თუ რამ გასაცვეთი მისვლია და სიცოცხლეში გაუცვეთია, ვერას შეუა, რომე სიძესაც ბევრს მიეცემა. მას გარდა სულ უნდა მიეცეს ნიშნის პატრონსა».

119. «ვინცა ნიშანი მიუტანოს სასძლოსა და შემდგომად სასძლო ანუ სასიძო მოკუდეს, მაშინ ნივთი იგი მიეცეს პატრონსა... და უკეთუ გასაცვეთი რამე მიტანილი სიცოცხლესა სასიძოსასა გაუცვეთიეს სძალსა მას, ნურღარა იკადრებენ დაობადაც... ხოლო საქორწილოსაცა უკანვე მიუღებენ სასძლოსა».

224. «ზითვისათვის. ვინცა სახლში უშვილოდ ქალი მოკვდეს და ქმარი დარჩეს და მის სულს კარგად მოუაროს, თუ დიდიხნის ცოლქმარი არიან, არა ეთხოვოს რა; თუ ახალი შეყრილი არიან და შვილი. არა ყავს, ზითევი სამად გაიყოს: ერთი წილი სულისათვის, ერთი წილი ამისათვის, რომ საქორწილო მოუტანია, და მესამედი ქალის პატრონს მიეცეს. თუ

64. «ზითვისათვის. «...ზითვისაგან ქმარსა არარამე კელეყვის, უკეთუ არა არს ნება ცოლისა თვისისა, და უმეტეს მაშინ, ოდეს არა დაუშოთეს მას შვილი. რომელსაცა უკან უბრუნებს ყოველსავე მოტანილსა, გარდა მერვედისა წილისა, და არათუ მხოლოდ: მოძრავსა, არამედ უძრავსაცა, ზითეთა მოსყიდულსა, უკეთუ არა არს ნანდერძევე ქმრისა თვისისა... ხოლო ნამზით-

ქალს ქმარი მოუყვდეს, ქვრივი 'ვსა ყოველსავე უკანვე გამოარ-  
უშვილო მოკვდეს, თუ რამ სა-  
კაცო აქვს. სახლისა არის, სხვა  
მონაგები სულისა არის. და ზი-  
თევი რაც იქნება, თუ რამ სუ-  
ლისათვის დაიხარჯება, ის არის,  
სხვა ქალის სამშობლოს უნდა  
მიეცეს».

231. «ვინ მოკვდეს კაცი და  
დარჩეს ცოლი და შვილი, მას  
უკან შვილიც მოკვდეს და დარ-  
ჩეს დედაკაცი, მამულთან ხელი  
არა აქვს. ბატონისა არის. იმ დე-  
დაკაცმა თავისი ზითევი და ნი-  
შანი წაიღოს».

ხოლო უკეთუ დედაკაცმან გა-  
ნამრავლოს ზითეთა ნიეთი და  
ასარგებლოს და არა დაშეთს შვი-  
ლი, რაგვარადცა უსარგებლიეს,  
სარგებლითურთ წაიღონ პატ-  
რონთა მისთა, მათ რომე ყოველ-  
სა თავნსა სარგებელიცა შედგო-  
მილად აქუს.

და ოდესცა არა უყვის პატრო-  
ნი, მაშინ მზითევსა და ნაქონებსა  
დაპატრონდების ქმარი. და  
მსგავსისავე სახითა ცოლიცა».

ვახტანგის სამართლის წიგნი მზითვის საკითხს სხვა მუხლებ-  
შიც ეხება. 67-ე მუხლის თანახმად თუ კაცი მრუმე ქალს გაუშვებს,  
«რაც ზითევი მოჰყოლია, ისიცა და ბოზობით შექმნილი შვილიცა  
თან უნდა გაატანოს». ხოლო 107-ე მუხლით ძმების გაყრის შემთხ-  
ვევაში რძლების «ზითევი თავთავისი არის». ჩვეულებითი  
სჯულის მე-15 და 52-ე მუხლების ზემოთ მოტანილი დადგენი-  
ლებანი მზითვისა და ნიშნის შესახებ ქართული სამართლის დასახე-  
ლებული საკანონმდებლო ძეგლებიდან მომდინარეობს.

1 რაც შეეხება «პირის სანახავს», ქართული სამართლის  
საკანონმდებლო ძეგლები მას არ იხსენიებენ. პირის სანახავი გათვა-  
ლისწინებულა დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის ზემოთ  
დამოწმებულ მუხლში. მას იცნობს აგრეთვე იოანე ბაგრატიონის  
«სჯულდების» პროექტი, სადაც ნათქვამია: «ხოლო სამეფოს სახლი-  
დამ რაც ნიეთი პირის სანახავად, ნიშნად, ანუ თავის ქმარს  
უჩუქებია სამკაული, ესენი ისევ სამეფოს სახლში უნდა მივიდეს,  
რადგან უშვილოდ დარჩება, თავის ნათესავეებს აქედგან ვერას უზი-

არებს»<sup>1</sup> (მუხ. 80). სჯულდების პროექტიდან დამოწმებული ზემოთ მოტანილი ადგილი ეხება მეფის გარდაცვლილ რძალს, რომელიც უშვილოდ დარჩა, ამიტომ პროექტის მიხედვით პირის სანახავი, ნიშანი და სხვა საჩუქარი «ისევ სამეფოს სახლში უნდა მივიდეს».

| დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტის ზემოაღნიშნული მუხლი პირის სანახავთან ერთად იხსენიებს «პირის ასახადს»<sup>2</sup> საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის თხოულებაში, «ისტორიებრი აღწერა», ასეთი საჩუქარის დედოფლისადმი მირთმევის ჩვეულება აღწერილია შემდეგნაირად: «შუადგებოდეს ეჯიბი მეფისა ორისა შიშვლისა კლმითა და მდივანმან ანუ მწიგნობარმან ვინმე წარუკითხის ნუსხა ქალსა მას ქრმისა თვისისაგან მიცემულთა სოფელთა ნუსხა პირბადის ასახდელად. შუადვიდის ეჯიბი, დაუჩოქოს კრმლებითა და აკხადის პირბადე სძალსა მას. შუად წარმოდგებოდის საშუალ მდივანი ანუ მწიგნობარი ვინმე და წარიკითხოს. რასცა ქალს მას გაატანდიან ზითევაღ. მეორე დღეს განემზადებოდეს სიძე სძლითურთ შინ წარსასულელად, გამოესალმოდინ ქალის მამას და დედას. ძმათა. დათა და ყოველთა მუნებურთა... და მიახლოვდიან სახლსა სიძისასა... მოხსნიდიან სძალსა საცხენოსნოსა სამკაულსა და მოკაზმიდიან სასძლოსა სამკაულითა და დახურიან ისევ პირბადე და დადგიან გვირგვინი და ეგრეთვე სიძესაცა დაადგიან გვირგვინი... ხოლო აქა პირბადის ახდაში მიართვიან სძალსა კიდევ ორი ყულუხჩი და იქ ზითვის წიგნის წამკითხავნი გაშლიდიან ფერხთა ქვეშე ფარჩასა ჩინებულსა და მისციან იგი მას... დღესა მეორესა... რა დადამდის დღე იგი, მოკაზმიდიან ქალსა მას ყოვლისა სასძლოსა სამკაულითა, გარნა არღარა აფარიან პირბადე და დაადგმიან გვირგვინსა ორთავე, სიძესა და სძალსა...»<sup>2</sup>. ვახტანგ ბატონიშვილს ამ ჩვეულების აღწერა ამოღებული აქვს თეიმურაზ მეორის თხოულებიდან «დღისა და ღამის გაბაასება» (სტროფები 463, 509—512, 547—548).

/ ასეთი ჩვეულებით ხდებოდა სასძლოსათვის (დედოფლისათვის) პირის ასახადისა და პირის სანახავის საჩუქრე-

<sup>1</sup> იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, ივ. სურგულაძის გამოცემა, 1957, გვ. 30—31.

<sup>2</sup> ისტორიებრი აღწერა, თხოული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ. გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, 1914 წ., გვ. 15—17.

ბის მიერთებვა. ცნობილი ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინაშვილი განმარტავს: «პირის სანახავი საჩუქარი საქმროსაგან, როდესაც სასძლო პირბადეს აიხდის». |

იოანე ბაგრატიონის «სჯულდების» გამომცემელს, პროფ. ივ. სურგულაძეს პირის სანახავი განმარტებული აქვს ასე: «საჩუქარი საქმროსაგან საცოლეს»<sup>1</sup>. წიგნის რეცენზენტმა გ. ნადარეიშვილმა ეს განმარტება არაზუსტად მიიჩნია და აღნიშნა: არა ჩანს, რომ «პირისსანახავი უთუოდ საქმროსაგან საცოლესთვის მიერთებული საჩუქარი იყოს. ფეოდალურ საქართველოში პირისსანახავის მიერთებვად გამოდიოდნენ უმთავრესად მაზლები, დედამთილი და სხვა»<sup>2</sup>. ამ აზრის დასადასტურებლად რეცენზენტი იმოწმებს პირის სანახავის ზოგიერთ საბუთებს. 1796 წელს ისე მდივნის შეილდების მიერ თავის რძლისადმი მიცემულ პირის სანახავის საბუთში ნათქვამია: «ღვთის ძალითა და შეწვენითა ჩვენ ერთობრივ ისე მდივნის შეილდებმა ზაზამ, გიორგიმ, დიმიტრიმ და მინამ ჩვენის ძმის დავითისათვის ბებურ-შვილსა გურგენის ქალი ვითხოვეთ ქეთევან და მივართვით ჩვენს რძალს ნიშნათა და პირის სანახავათ ჩუენი სამკვიდრო მამული სეიდაბათის ბალი და ამ ბაღს გარდა ოქროან-შვილი ბეჟანა»<sup>3</sup>. XIX საუკუნის დასაწყისის საბუთის მიხედვით კენინა ბარბარე ფაღვანდისშვილისა თავის რძალს სოფიოს პირის სანახავად აძლევს «ურია ელიკაშვილს და ტატა კრიხელს უმამულოთ თავის საცხოვრებლით», მეორე რძალს კი პირის სანახავად აძლევს «...გლეს ბაბალაშვილს, დათუა კრიხელს თავისი ცოლშვილით, საცხოვრებლით...»<sup>4</sup>. რეცენზენტის აზრით პირის სანახავს არა მარტო ქმარი, არამედ ქმრის ნათესავებიც აძლევდნენ პატარძალს.

უძველესი საბუთი, რომელშიც პირის სანახავი შევნიშნეთ, 1634 წელს მიეკუთვნება. ახლად გათხოვილი დედოფალი მარიამ დადიანის ასული წერს: «ახლა თბილელი და სათბილელი ყმა პირის სანახავად მოგვართვეს»<sup>5</sup>. 1735 წლის პირის სანახავად ყმის მიერთების წიგნში ნათქვამია: «ჩვენ, ერისთვის-შვილმა ივანემ მოგეცით ეს წიგნი შენ, ბატონს მილახორს მერაბს; — ასე რომ

<sup>1</sup> იოანე ბაგრატიონი, სჯულდებუ. გვ. 93.

<sup>2</sup> ჟურნ. საქართველოს ეკონომისტი, № 6, 1958, გვ. 92.

<sup>3</sup> საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1924, გვ. 195.

<sup>4</sup> ისტ. ეთნ. მუხ. შრომები, ტ. III, 1945, გვ. 313—314.

<sup>5</sup> ქრონიკები, II, 450.

ბატონმა ჩემმა სიძემ ალიხანმა ჩემს დას პირის სანახავად მოგართვა და წამოსვლის დროს ბატონი მამა ჩემი აქ არა ბძანდებოდა და შენც დიალ გულით მოინდომე და მოგეცით ჩვენი ყმა ბენტერის-შვილი გიორგი მეკურჭლე ცხოტელი»<sup>1</sup>. 1811 წლის პირველ თებერვალს კნენინა ანა აბაშიძისა და მისი შვილის ქაიხოსროს მიერ ჯვრის მამის ვენედიქტესადმი მიცემულ თამასუქში ჩაწერილია: «ავიღე მე, ამილახორის ასულმა ანნამ, და ჩემმა შვილმა ქაიხოსრომა, თქვენ, ჯვარის მამის ვენედიქტესაგან, ოთხი თუმანი ქალაქის თეთრი. რომ იქს ამის ნახევარი ზ (2 თუმანი) და მოგეც ამის გირაოთ ჩემი მკვიდრი ყმა და პირის სანახავი ბერი გამგებელი თავის მამულით»<sup>2</sup>.

პირის სანახავის შესახებ საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები აქვს მოცემული ისტორიკოს პლატონ იოსელიანს თავის ნაშრომში «ცხოვრება გიორგი მეცამეტისა». ბატონიშვილის გიორგის ცოლისათვის ერეკლე მეფისა და მისი მეუღლის დარეჯანის მიერ მირობული პირის სანახავის შესახებ შემდეგია ნათქვამი: «დღესა მესამესა შემდგომად შერთვისა მეფის მარიამ გიორგი ციციშვილის ქალისა, წარვიდა მეფე ირაკლი და ნახა რძალი თვისი სავსე მშვენიერებითა, ჯერეთ ყმაწვილი 14 წლისა. მეფემან მიართვა პირის სანახავად ხატი ღვთისმშობლისა, ამბარჯა ძვირფასი, თვალებითა მარგარიტითა და იაგუნდებითა მორთული, რომელიცა ფასობდა. იტყვიან ას თუმანათა, ქარხანა ზეთის სახდელი მტკერის ხიდის გაღალმა, მეტეხისა ძირში ავლაბრისა გზისა მარჯვნითა. მასვე დღესა. მეფისავე მუნ ყოფნასა, მიბრძანდა დედინაცვალი და დედოფალი დარეჯან. და ამანაც პირის სანახავად უბოძა რძალსა თვისსა ძეწკვი ოქროსი და გულსაკიდი ამბარჯა, საკაბე მძიმისა ფარჩისა, შალი ინდოეთისა, კრიანოსული 70 მარგარიტისა და 30 იაგუნდისა თვალი»<sup>3</sup>.

თავის მხრით გიორგი მეფემაც, როცა მისი ძე დავით ბატონიშვილი დაქორწინდა, მიართვა თავის რძალს პირის სანახავი: «დღესა მესამესა შემდგომად ქორწილისა მეფემან... ნახა რძალი თვისა, ამბორს უყო, და აკურთხა და უბოძა პირის სანახავად ქარვასლა სახასო ქ. თფილისის, ძველად როსტომ მეფისაგან აშენებულა,

<sup>1</sup> დოკუმენტები საქ. სოც. ისტ. I, 1940, გვ. 245.

<sup>2</sup> მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, II, 1953, გვ. 194.

<sup>3</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ავ. გაწერელიას რედაქციით. 1936, გვ. 79-80.

და სოფელი გურჯაანი სახასო ყმებითა და მამულითა და ოქმისა ბოძებითა. მასვე დღესა მეფისაგან დამტკიცებულითა»<sup>1</sup>.

ასეთია საისტორიო წყაროებსა და საბუთებში დაცული ზოგიერთი ცნობა პირის სანახავის შესახებ. ზემოთ დამოწმებული საბუთებიდან ჩანს, რომ პატარძალს პირის სანახავს აძლევდნენ დედამთილი, მამამთილი, მასლები, სიძეები და საქმროს სხვა ნათესავები. მაგრამ არსად არა ჩანს, რომ პირის სანახავს თვითონ სასიძო, ანუ საქმრო აძლევდეს პატარძალს. მაშასადამე, პირის სანახავი არ არის «საჩუქარი საქმროსაგან საცოლეს». საქმრო საცოლეს პირის სანახავს საერთოდ არ აძლევდა, რადგან ეს მოვალეობა ჩვეულების მიხედვით საქმროს ნათესავებს ეკისრებოდა. პირის სანახავი არის საქმროს ნათესავების მიერ პატარძლისათვის მირთმეული საქორწინო საჩუქარი.)

ჩვეულებითი სჯულის 52-ე მუხლის შენიშვნაში ნათქვამია, რომ «მეფის ვახტანგის კანონის ბერძულის მეორე წიგნის რპე მუხლი არ მოხმარებულ არსო». ბერძნული სამართლის ზემოაღნიშნული მუხლი ადგენს: «დედაკაცი თავის ზითევს სხვას ვერავის მისცემს თავის მუახლის მეტსა» (მუხ. 185). ქართული სამართალი, შიზანტიური სამართლისაგან განსხვავებით, ამ წესს არ სცნობდა.

## ახალის სახლის და ვინაგის შენობისათვის

(მუხ. 57—58)

(ჩვეულებითი სჯულის 57-ე მუხლი მეზობელთა ახალი სახლების აშენების წესს გადმოგვცემს და მიუთითებს, რომ აკრძალულია მეზობლის სახლის მხრისაკენ თავის სახლში ფანჯრის გაკეთება. თუ შუაზე ქუჩა არ გადის. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი აწესრიგებს სერვიტუტის ანუ სხვისი ნივთით სარგებლობის უფლებას.) თავისი შინაარსით ეს მუხლი ლიახლოვეს იჩენს დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის შესაბამის მუხლთან.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 138.



57. «არ არის შესაძლებელი, რომ მეზობელმან მეზობლის სახლის მხრისაკენ თავის სახლს ფანჯარა გაუკეთოს, რომ შიგ ჩაყურებდეს; და თუ შუაზე ქუჩა არის, თავის სახლს ფანჯარას დაატანს, საცა უნდა ქუჩის მხრისაკენ. და გარდა ამისა არცა ვის ძალუცს, რომ თოვლი ანუ წყალი მეზობლის სახლის ეზოსა და ბანზედ მიჰყაროს და მიუვდოს. და თუ ძველთაგან ჰქონია გზათა. მაშინ ველარას ეტყვის მეზობელი მეზობელს.

107. «ყოველნი ემკაცრნენ მეზობელთა თვისთა შემქირვებასა, და უმეტეს ნაგვითა ანუ წყლის ღვრითა შეწუხებასა, ანუ სახლითა ჭურეტასა, ანუ ფანჯრისა დახვეასა, რომელიცა მოხელისა თვისისა მიერ განიპატიეების. მდგმობისამებრ საქმისა, ჭურუმითა ანუ დატუქსვითა ანუ ყამ რაოდენმე პყრობილებითა».

/ რაც შეეხება სჯულის 58-ე მუხლს, იგი გადმოგვცემს ქართული ადათობრივი სამართლის ძველ წესს, რომლის მიხედვითაც ხდებოდა დაუმუშავებელ, ცარიელ მიწაზე ვენახის გაშენება: «უკეთუ ვინმე მისცემდა ვისმე ცარიელს მიწას, ვენახად რომ აეშენებონა, მათ შუა ამისათვის პირობა, როგორც იქნებოდა. წერილით, იმას ვერ გარდასცილდებოდნენ, და როდესაც ვადა შესრულდებოდა, შუა გაიყოფდნენ მიწის პატრონი და ამშენებელი ანუ გააკეთებდნენ საერთოდ და მოსავალს შუა გაიყოფდნენ. და თუ ვენახის გამკეთებელი კაცი მოსული იქნებოდა და იმას თავის ბატონი აყრიდა. ისი ნაშენობა დაფასდებოდა და ნახევარ ფასს მამულის პატრონი ამშენებელს მისცემდა, მაგრამ რაც პირველივე წერილით პირობა დაიდებოდა: ისე გარდასწყდებოდა. და უკეთუ მამულის პატრონი იმ მამულის გასყიდვას მოინდომებდა. იმის სყიდვა გამკეთებელს შეხედებოდა და, თუ ის არ იყიდდა, შემდგომ მამულის პატრონს ეძლო, ვისთვისაც სდომიყო, მიეყიდნა».

ი აკად. ივ. ჯავახიშვილს გამორკვეული და დადგენილი აქვს, რომ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში «მიწის აღება საშენებლად» ჩვეულებრივ ნიშნადა ვენახის ახლად გაშენების მიზნით დადებულ ხელშეკრულებას. სხვის მიწაზე ვენახის გამშენებელს გაშენებული ვენახის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა. მას ამ თა-

ვისი კუთვნილი ნახევრის მაგიერ მიწის პატრონისაგან მისი ღირებულების საფასური შეეძლო აეღო. გამშენებელი კი ვალდებული იყო ვენახის გაშენებასთან დაკავშირებული ხარჯები თვითონ გაეღო და მიწის პატრონისათვის გაშენებული ვენახი ჩაებარებინა<sup>1</sup>. |

შიომღვიმის სიგელში, რომელიც XIII საუკუნის 50-იან წლებს მიეკუთვნება და მიცემულია ზოსიმე ბერისათვის, ნათქვამია: «შენისა გამზრდელისა იოანეს მამას მუბერს კვირიკაული მიწა აეღოსა შენებლად ხელ-გიორგისა ძისა ვენაჯის გუერდით დღოსა ერთისა და, რა აღეშენა, ორად გაეყოს, ნახევარი იოანეს მამასა და ემკირა, მუბერს, — ნახევარი მიწის პატრონსა»<sup>2</sup>.

ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი, რომელიც შედგენილია XIII საუკუნის მიწურულს ან XIV საუკუნის დასაწყისში, დაუშუშავებელი მიწის გაშენებისათვის შემდეგ წესს ითვალისწინებს: «თუ კაცმან კაცისა მიწა გააკაცრიელოს რგვთა ახუ ნაგებითა ობლობისა და გარდახუეწისათვის რომე მამული მან მოიკლოს, დაკირვასა არას ემართლები, ნახევარი ფასი მისცეს და ადგილი მემამულეს» (მუხ. 54). | მაგრამ მეორე მხრით, თუ გამშენებელმა გაშენებული «ადგილი მემამულისა გამოითხოოს, არ ემართლები არცა სასყიდლად ბატონისაგან» (მუხ. 55).

ქართულ სამართალში ძველად არსებული წესის თანახმად სხვის მიწაზე ბალის ან ვენახის გაშენებელს გაშენებული მიწის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა. თავისი ნახევრის მაგიერ მას, რასაკვირველია, მისი ღირებულების აღება ფულადაც შეეძლო, მაგრამ, თუ ის თვით გაშენებული ნახევრის მიღებას ირჩევდა, მიწის მესაკუთრეს მისი დაქვრა არ შეეძლო, უეჭველად უნდა მიეცა..

ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის ზემოთ მოტანილი მუხლიდან ჩანს, რომ გამშენებლის ეს უფლება იმ დროისათვის საცილობლად გამხდარა. დამოწმებული მუხლების მიხედვით მიწის მესაკუთრე ინარჩუნებს უკაცრიელ მიწაზე გაშენებული მამულის საკუთრებას. როცა მიწის მესაკუთრისათვის ხელსაყრელი იყო გაშენებული მიწა მთლიანად ხელში ჩაეგდო, ის გამშენებელს ნახევრის ფასს აძლევდა, ხოლო როცა მესაკუთრისათვის უმჯობესი

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, 1929, გვ. 439—440.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა 1896, გვ. 60.

იყო გაშენებულის ნახევრის მიცემა, მაშინ გამშენებელს ფასის მიცემაზე უარს ეუბნებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სასყიდლის მიღების არჩევანი, რომელიც კანონით გამშენებელს ჰქონდა უპირატესად მინიჭებული, მიწის მესაკუთრეს სურდა მისთვის წაერთმია და თვითონ დაესაკუთრებია<sup>1</sup>. მიწის გამშენებელსა და მესაკუთრეს შორის აღნიშნულ უფლებათა შესახებ დავამ, რასაც ადგილი ჰქონდა პრაქტიკაში, განსაზღვრა სამართლის წიგნში ზემოაღნიშნული წესის შემოღება.

ვახტანგის სამართლის წიგნი ამ ძველ ჩვეულებას თავისებური და საკმაოდ განსხვავებული რედაქციით გადმოგვცემს: «რასაც მიზეზით კაცს მიწა სჭეროდეს და ან ბალი ან ვენახი აეშენებინოს და სხვას დარჩეს, თუ წადავებით და მდივნით მიეცემა, რაც იმ მიწაში ჰქონახული უქნია, მისი პასუხი უნდა მიეცეს. თუ, ვინ იცის, სიტყვა არ დაუკლოს, რომე «ჩემს მიწაში ნუ აშენებო» და არა დაეჭვებინოს, ჰქონახული ნახევარი მიეცეს; და თუ პატრონი წაართომს და მისცემს, არას საჰქონახულოს უსამართლებენ» (მუხ. 246).

დაბოლოს, დავიმოწმებთ დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნს: «ვინცა ტყე გასტეხოს ნებითა მემამულისათა, სამართალი მისი პირობისამებრ განიწესოს. ხოლო უკეთუ არა იცოდეს მამული თვისი მებატრონემან და შემდგომად გატეხისა იცნას პატრონმან მისმან ადგილი იგი და დამტკიცდეს ესე მოწამეთაგან, მაშინ გაჰყონ შუა და ნახევარი მიეცეს პატრონსა მამულისასა, ხოლო ნახევარი მუშაკსა ღირსად ნამუშავევისა თვისისა» (მუხ. 176).

ჩვეულებითი სჯულის 58-ე მუხლით გათვალისწინებული წესი თავის დადასტურებას პოულობს ადგილ-მამულის სყიდვისა და გაშენების კერძოუფლებრივ აქტებშიც.

### მოსამართლეთ და ბჭით განჩინებისათვის

(მუხ. 59—60)

ჩვეულებითი სჯულის მე-60 მუხლში გადმოცემულია მოსამართლეთა მიერ საქმის გარჩევისა და გადაწყვეტილების გამოტანის წესი; აღნიშნულია მოსამართლეთა სხვადასხვა კატეგორია: მედიატორე, ბჭე, მოსამართლე. მედიატორების ამორჩევა ხდებ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, 1941, გვ. 165—166.

ბა მოდავე მხარეთა მიერ. მოსამართლეთა დანიშვნა კი ხდება «მეფის ბრძანებით ანუ მუნებურის მოხელის ბრძანებით». სადავო საქმის განხილვის შემდეგ მოსამართლენი «დაუწერდენ გარდაწყვეტილობის განაჩენს». რომლის გასაჩივრება შეიძლებოდა «მეფეთა ანუ მოხელეთა თანა». თუ გადაწყვეტილება უკანონო აღმოჩნდებოდა, მას გააუქმებდნენ, საქმეს ხელახლა განიხილავდნენ და მომჩივანს «კანონიერ კმაყოფას მისცემდნენ». მაგრამ, თუ გადაწყვეტილება კანონიერი იქნებოდა, მას დაამტკიცებდნენ და ცრუ მომჩივანს ჭარიმის გადახდევინებით დასჯიდნენ. †

სჯულის შემდგენლები აღნიშნული მუხლის შენიშვნაში მიუთითებენ: «მეფის ვახტანგის კანონის პირველის წიგნის სიე, მეორის წიგნის ბერძულის რღვ და აღბუღას მეექვსესე წიგნის უ, უთ და რ მუხლნი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არს, და ბერძულის მეორეს წიგნის, რღვ და რღვ მუხლი სრულს ძალაზედ მაშინ მოიყვანებოდა. ოდესაც ბჳენი ჳეშმარტობით განსჯიდნენ».

ჯერ განვიხილოთ ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლების ზემოთ მითითებული მუხლები, ხოლო შემდეგ — ბერძნული სამართლის ნორმები. აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნის 90-ე მუხლში, ნათქვამია შემდეგი: «ესე წმიდათა მამათა სიტყუა არს, თუ: სიხარბე გონებითაცა ჩად არს და ყოველი ავი საქმე, ღმრთისა და კაცთა გამარისხებელი მას ზედა დამოეკიდების. გულის სიხარბითა სარჩელსა ნუ დაუმტკიცებხ ბრჳე». ხოლო ბაგრატ კურაპალატის სამართალი, რომელიც შეცდომითაა დართული ბეჳა-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოს, ადგენს: «ვინცა საბჳოდ სჯდებოდეთ და მართსა საჩივარს მართლად მოიქსენებდეთ, თქუენთა გულთა შიგან ღმრთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნიოთ — არა მამასა და დედასა, არა პატრონსა, არა ძმათა და მეყუსთა, არას ქრთამის ქადებისათჳს. არად არა! მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ! (მუხ. 99). მომდევნო მე-100 მუხლი კი ამბობს: «ვინცა მოძღუარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ანუ კარგი დიდ-ვაჳარი, ანუ კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი იყოს, ის დასვი ბჳედ, ჳკუთანი იქნების, და კარგად ეცოდინების ბჳობაჲ და უსამართლოს არა იტყუს»<sup>1</sup>.

ვახტანგ მეფის სამართლის წიგნის 215-ე მუხლი, რომლის სათაურია «ბჳის დადგინებისათვის», მოსამართლეთა დანიშვნის შემდეგ წესს ადგენს: «კელმწიფემ ასეთს კაცს უნდა უბრძანოს, რომე

<sup>1</sup> ძველი ქართული სამართალი, 1953. გვ. 330, 335. —

ორმოცს წელიწადს იქით იყოს და არც დიალ სიღარიბე აწუხებდეს, თორემ მოტყუვდება: ღრთის მოშიში იყოს. ორი ბჭე არა ჯერ არს, ამაღ რომე ერთმან ერთისაკენ თქვას, ერთმან მეორისაკენ, უსამართლო მოკვდების. და ბჭესა ესეც უნდა სჯირდეს, რომ რაც მოჩივარმა შესჩივლოს, ასე დაისწავლოს, ასე უამბოს, როგორც შეჩივლოს, რომ «შენ ასე არ იჩივლეო», თუ სწორედ დაუსწავლია და ან ორთავეს საჩივარი ახსოვს. უსამართლოს ნუ იტყვის».

ასეთი იყო ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებით— ბაგრატ კურაპალატის, აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარისა და ვახტანგ VI სამართლის წიგნებით— გათვალისწინებული წესი მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის შესახებ.

რაც შეეხება ბერძნული სამართლის ზემოაღნიშნულ მუხლებს, რომლებიც ადათების შემკრებთა სიტყვით ქართულ სამართალში «მოხმარებულ არს», ისინი ადგენენ ასეთ წესს: «უკეთუ ორსა კაცსა საჩივარი ქონდეს მოსამართლესთანა, და არც კელმწიფისა, არც პატრიარქისა, არც მიტროპოლიტისა, არც მოსამართლის საჩივარი და სამართალი არ მოინდომონ და იმ ორთა ერთი კაცი გამოირჩიონ და იმასთან მივიდნენ, მოახსენონ, რომე ერთი საჩივარი გვაქუსო და რომელსაც თქუენ სამართალს გუიზამ. იმას ვჯერვართო, იმ მოსამართლეს ეწოდების ბჭე. ოთხმოცდამეათექუსმეტე კანონი კართაგენისა კრებისა ბრძანებს: რაცა ბჭემან მან უთხრას სამართალი მართალი, იმას ვერავინ მოშლის. ვერც კელმწიფე და ვერც პატრიარქი, არამედ. თუ ის ბჭე მტყუეენად გამოჩნდეს, რომ ის სამართალი ფერობითა ან მოყურობითა ანუ ბტერობით ექნას, მაშინ უნდა ის სამართალი მოშალოს მოსამართლემ და მართალი სამართალი ქნას» (მუხ. 136).

ბერძნული სამართლის 137-ე მუხლი მიუთითებს კართაგენის კრების ასოცდამეორე კანონზე, რომლის თანახმად, ის ვინც ბჭეთა გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება პატრიარქისაგან შეჩვენებული იქნება და მეფის მიერ დასჯილი. «მსგავსად ამისა ასოცდამეორე კანონი კართაგენისა კრებისა ბრძანებს: რომელმანცა ბჭის სამართალი არ ირწმუნოს, პატრიარქისაგან შეიჩვენოს და მეფისაგან იტანჯოს». ხოლო 138-ე მუხლი ადგენს: «ბჭის სამართალი კელმწიფის სამართალს მიემგზავსების. ესრეთ ჯერა არს, რათა სამართალი მისი არ მოიშალოს და რომელმაც ბჭის სამართალი არ დაიჯეროს, მეფისაგან იტანჯოს და ჯურუმე გამოერთვას».

ჩვეულებითი სჯულის შემდგენელთა სიტყვით ბერძნული სამართლის ზემოაღნიშნული ორი მუხლი (137 და 138)

«სრულს ძალაზედ მაშინ მოიყვანებოდა, ოდესაც ბჭენი კეშმარტობით განსჯიდნენო». მაშასადამე. ბერძნული კანონების მითითებული მუხლები შეეფარდებოდა ჰირვეულ მომჩივანს, რომელიც ბჭეთა სასამართლოს მიერ გამოტანილ კანონიერ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებოდა და საქმეს უსაფუძვლოდ გაასაჩივრებდა. «ჰეშმარტი განსჯა», ანუ კანონიერი გადაწყვეტილება აუცილებელი პირობა იყო მომჩივანის მიმართ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის შეფარდებისათვის.

ჩვეულებითი სჯულის 59-ე და მე-60 მუხლებით გათვალისწინებული წესი «მოსამართლეთ და ბჭეთ განჩინებისათვის» ზოგიერთი ცვლილებით გადმოცემულია დავით ბატონიშვილის საზართლის პროექტშიც, რომლის შესაბამისი მუხლები მოგვყავს ადათების ხსენებულ მუხლებთან შესადარებლად.

#### ჩვეულებითი სჯული

59. «განჩინება მდივანბეგთა, ბჭეთა და ადგილობით დადგინებულ მოსამართლეთა სადაო საქმისათვის ქმნილი დარჩებოდა სრულს ძალასა ზედა მეფისაგან დაუმტკიცებელიცა, უკეთუ მეფე იმ განჩინების წინააღმდეგს წერილობითს საბუთს არ უბოძებდა და ანუ თვით მეფე არ ინებებდა იმის მოშლას და გარჩევას».

60. «ორთა მოდავეთაგან საქართველოსა შინა არა აღმორჩეულ არს შეკრულების კელწერილით ბჭენი, არამედ უწერილოდ. ესრეთ ორი მოდავენი, ვინც იქნებოდნენ, ურთიერთის თანხმობით გამოირჩევდნენ ორს, სამს, ექვსაც ბჭეს და მეტს კი აღარ, ანუ მეფის ბრძანებით

#### სამართალი ბატონიშვილის დავითისა

18. «ხოლო შემდგომად ქმნისა ამის (განჩინებისა) მოერთოს მსაჯულთა და დამტკიცდეს მსაჯულთაგან და შემდგომად მეფისაგანაცა, გარნა არა ყოველი განაჩენი».

9. «ყოველს წელიწადსა ჰხამს გამორჩევა ბჭისა, ნებითა მეფისათა, რომლისა მიერცა ისჯებოდენ მსოფლიურნი სამართალნი, და რომელიცა ვერ ძალედვას, მაშინ მოახსენოს უპირველესსა სამსაჯულოსა. და უკეთუ გამოირჩიონ მოდავეთაცა ბჭეჲ, აქუსთ სამართალი».

ანუ სადაჟურნიც იქნებოდნენ მო-  
დავენი, მუნებურის მოხელის  
ბრძანებით, და ისე გარდას-  
წყვეტდენ მათს სადაოს, დაუ-  
წერდნენ გარდაწყვეტილობის  
განაჩენს ორსავე მხარეს.

და თუ ვინ იცის რომელიმე  
მათგანი მოჩივარი იჩივლებდა  
მეფეთა ანუ მოხელეთა თანა,  
ასე რომ მედიატორთაგან უსა-  
მართლო დამემართაო, გაშინჯე-  
ვდნენ მათს გადაწყვეტილების  
განაჩენს. უკეთუ მართლად  
ამოჩნდებოდა მოჩივარი, მათს  
გარდაწყვეტილებას მოშლიდნენ  
და მოჩივარს კანონიერს კმაყო-  
ფას მისცემდნენ. და თუ კანო-  
ნიერად იქნებოდა გადაწყვეტი-  
ლი, განაჩენსაც დაუმტკიცებ-  
დნენ და მის ტყუილს მოჩივარ-  
საც ჯარიმის გარდახდევინებით  
დასჯიდნენ».

18. «...ოდეს დამტკიცდეს პაზ-  
რი და გარდასწყდეს სამართალი,  
მაშინ ჯერ-არს განჩინებისა დაწე-  
რად და ყოველთა მიზეზთა კმა-  
ყოფით მოქსენებათ, თუ ვითარი  
სარჩელი ანუ ვითარი მიგება და  
ან ვითარი მოწმობა მოხმულ არს,  
რომლისაცა დასასრულსა წარუ-  
კითხვენ მოჩივართა პაზრისა გან-  
სვენებისათჳს, რათამცა არარაგ-  
მე მოჩივართა დასდვან ბრალი...

...უკეთუ მოჩივარნი იგი არა  
კმა-იყუნენ სამართლისა მის. მა-  
შინ დაბძანდეს მეფე და იახლოს  
მსაჯულნი, და უკეთუ მოჩივარნი  
იგი აღმოჩნდეს მაშინცა ცრუდ,  
მაშინ მიეღოს დასჯა ჯურუმითა  
შესაფერითა... და უკეთუ მსა-  
ჯულნი აღმოჩნდენ უსამართლო-  
სა დამამტკიცებლად, მაშინ ჯერ-  
არს დასჯადცა მათი...» (შდრ. მუხ.  
108).

ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს ჯ უ ლ ი ასახავს XVIII—XIX საუკ. მიჯ-  
ნის სამართლებრივ სინამდვილეს და სავარაუდებელია, რომ ამ სი-  
ნამდვილის სურათი უნდა უახლოვდებოდეს იმას, რაც წარმოდგე-  
ნილია იმავე დროის კანონგანზრახულებებში, ეგრეთ წოდებულ  
«სამოქალაქოს კსჯუღვილებამი», მეტადრე მისი კანონპროექტების  
შესავალ, საკონსტატაციო ნაწილებში. ეს ვარაუდი მართლდება კი-  
დეც. მეტ-ნაკლები პარალელები თუ სიახლოვე აღსანიშნავია, კერ-  
ძოდ, საოჯახო ქონებრივ ურთიერთობათა დახასიათებასა და, ნაწი-  
ლობრივ, მოწესრიგებაშიც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახე-  
ლოთ: «კსჯუღვილების» № 3 მანიფესტის მე-15 და მე-16 მუხლები  
და № 6 მანიფესტის 50—67 მუხ. მუხლები და ს ჯ უ ლ ი ს 37—38  
მუხლები (მეურვეობის საკითხი); № 4 მანიფესტის შესავალი —  
ს ჯ უ ლ ი ს მუხ. 13, 20, 37, 40, 47, 50 და 56 (მამა-პაპეული ვალა,  
მემკვიდრეობის მიღება, მემკვიდრეთა ურთიერთობა); იმავე მანი-

ფესტის მე-5 მუხლი — ს ჯ უ ლ ი ს მუხ. 20 (მცირეწლოვანი ობლი-  
სათვის ვალის დროვება): № 6 მანიფესტის მე-6 და 21—26 მუხ-  
ლები — ს ჯ უ ლ ი ს 38, 47 მუხლები (ბედოვლათობის საკითხები);  
№ 3 მანიფესტის 48 მუხლი — ს ჯ უ ლ ი ს მე-20 მუხ. (მემკვიდრე-  
თა ქონების აღწერა-გაყიდვის დროს დასატოვებელი ნივთები) და  
სხვ. შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე დაბრუნებული ტყვის თავისუფ-  
ლების საკითხი (ჰსჯულვილება, № 1, მუხ. 18 — ს ჯ უ ლ ი, მუხ.  
62), ვალის პროპორციული გადახდის წესი (ჰსჯულვილება, № 4,  
მუხ. 3, 6, 7, 10; № 5, მუხ. 18 და სხვ. — ს ჯ უ ლ ი, მუხ. 19)  
და სხვ.

ამ ორი ძეგლის პარალელები თუ სიახლოვე აიხსნება იმით,  
რომ როგორც ერთის, ისე მეორის მთავარ წყაროს ქართული ჩვეუ-  
ლებითი სამართალი შეადგენს. ამასთანავე შესაძლოა, რომ თბილი-  
სის ყოფილი მელიქ-მამასახლისი დ ა რ ჩ ო ბ ე ბ უ თ ა შ ვ ი ლ ი,  
რომელიც ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს ჯ უ ლ ი ს შედგენაში მონაწილეობ-  
და, იყოს ავტორი «სამოქალაქოს ჰსჯულვილებისა»<sup>1</sup>.

## მეგობრობითა და შავთათვის

(მუხ. 61—74)

/ ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს ჯ უ ლ ი ს უკანასკნელი მუხლები ბატონ-  
ყმური ურთიერთობის საკითხებს ეხება. ძეგლის მომპოვებლისა და  
პირველი გამომცემლის პროფ. პ. გუგუშვილის აზრით «ადათების  
აღმწესხველ თუ შემთხვეულ თავადობას, როგორც ამას ადათების  
ვახტანგის კანონებთან შედარება გვარწმუნებს, შესამჩნევი ნაბიჯი  
გადაუდგამს წინ კერძოდ ბატონყმური ურთიერთობის შემდგომი  
განმტკიცება-გამკაცრებისათვის... ტყუილად როდი ხდებოდა გაცხა-  
რებული შეხლა-შემოსლა და უთანხმოებანი ადათების დამდვენ  
ქართველ თავადებს შორის. თუმცა... ყოველივე ეს სპეციალისტის  
მიერ წარმოებული კვლევა-ძიებით უნდა იქნას საბოლოოდ დად-  
გენილი»<sup>2</sup>.

თავის შრომაში დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის შე-  
სახებ აპ. როგავა, ადარებს რა ერთმანეთს ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს ჯ უ-  
ლ ი ს ა და დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის რუსული ხელ-

<sup>1</sup> დ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, სამოქალაქოს ჰსჯულვილება, 1960 წ. გვ. 17—18.

<sup>2</sup> მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1938, ნაყ. III,  
გვ. 72—73.



ნაწერის მუხლებს, წერს შემდეგს: «ეს ორი ნაწარმოები შინაარსობრივ მართლაც ძლიერ ავსებენ და ეთანხმებიან ერთმანეთს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამა თუ იმ საკითხში. როგორც ერთ, ისე მეორე ნაწარმოებში ჩაწერილია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფო მართლმსაჯულებისათვის ანგარიშგასაწევი ხალხური ჩვეულებები და ადათები და, აგრეთვე, ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში შესული წეს-კანონები»<sup>1</sup>. წმასთანავე ავტორი ფიქრობს, რომ ადათების შემკრები და ჩამწერი თავადები. თავიანთი ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისით, ადათების ზოგიერთ მუხლში (მუხ. 65, 71 და სხვ.) არასწორად გადმოგვცემენ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ ჩვეულებებს. «თავისთავად ცხადია, ეს თავადთაგანნი. რომლებშიაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს დროინდელი მდივანბეგებიც უთუოდ არაერთი შედიოდა, რუსეთის მთავრობას წარმოუდგენდნენ ქართველ მეფეთა მიერ დაკანონებულ ჩვეულებათა ისეთ ტექსტს, რომელიც მაშინ თავიანთი ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისით იყო მისაღები და ყოველი ქართული სამეფოს სინამდვილეს ნაწილობრივ მაინც განანსხვავებდა, — ზოგ რამეს ჩქმალავდა და ზოგ რამესაც აზვიადებდა»<sup>2</sup>.)

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დასკვნისათვის არ არსებობს საკმაო საფუძველი. ექვი არ არის, რომ ჩვეულებითი სჯულის შემდგენლები ახალი ვითარების შესაბამისად გაითვალისწინებდნენ ზოგიერთ ახალ მომენტს ადათების შეკრების დროს, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ჩვეულებების განზრახ დამახინჯებულად წარმოდგენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დასაბუთებულად.

/ ჩვეულებითი სჯულის მთელი რიგი მუხლები შინაარსის მიხედვით ახლო ნათესაობას იჩენს დავით ბატონიშვილის სამართალთან. მაგრამ ამავე დროს ეს ორი ძველი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტი სამართლის ყველა დარგის კრებულს წარმოადგენს, მასში შეტანილია სისხლის, სამოქალაქო, სახელმწიფო, საპროცესო და სამართლის სხვა დარგების ნორმები. რაც შეეხება ჩვეულებით სჯულს, იგი სამოქალაქო სამართლის ადათ-ჩვეულებების

<sup>1</sup> დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდონების მიმოხილვა, აბ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, 1959, გვ. 157.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 158—159.

ჩანაწერს წარმოდგენს და ისიც უმთავრესად ქალაქის ადათობრივი სამართლისას. / გარდა ბატონყმური ურთიერთობის შემცველი ნორმებისა, მასში წარმოდგენილი ჩვეულებები ქალაქისა და მოქალაქეთა ყოფა-ცხოვრებას ასახავს. ამიტომ სწორი არ არის ის აზრი, თითქოს ეს ორი ძეგლი ძლიერ ავსებენ და ერთანმებიან ერთმანეთს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

არაზუსტია აგრეთვე ის აზრიც, თითქოს ორივე ამ ძეგლში ჩაწერილია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ჩვეულებები და ადათები, ან ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში შესული წეს-კანონები. ჩვეულებით სჯულში შეტანილი ადათები, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, წარმოდგენდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე დიდხინით ადრე დამკვიდრებულ წესს, ხოლო ზოგიერთი ადათი ძველი დროიდანვე იყო შემოსული. ეს კარგად ჩანს ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებისა და ძველი ადათობრივი სამართლის შესაბამისი ნორმების ანალიზიდან. იგივე უნდა ითქვას «ჩვეულებითი სამართლისაგან სამეფოს სამართალში შესული წეს-კანონების» შესახებ. ამ რიგის ადათ-ჩვეულებები საკანონმდებლო წესით ფორმდებოდა არა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, არამედ ქართული სამართლის ისტორიის მთელ მანძილზე.

რაც შეეხება პროფ. პ. გუგუშვილის მიერ ფრთხილად გამოთქმულ აზრს ჩვეულებით სჯულში «ბატონყმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება-გამკაცრების» შესახებ, იგი, როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, «ადათობრივი კანონებისა და ვახტანგის კანონების საფუძვლიანმა შესწავლამ და შედარებამ უნდა გადასჭრას»<sup>1</sup>.

გვიანფეოდალური საქართველოს ბატონყმური ურთიერთობის ამსახველ ყველაზე უფრო სრულყოფილ იურიდიულ ძეგლებს ვახტანგის სამართლის წიგნი და «დასტურლამალი» წარმოდგენენ. კანონმდებლობის აღნიშნული კრებულები შეიცავენ ქართული ბატონყმური სამართლის ყველა ინსტიტუტს, რომელთა შესწავლა წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი ყმაგლეხის უფლებრავ მდგომარეობაზე.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ვახტანგის სამართლის ზოგიერთი ნორმა, რომელიც გამოხატავს ყმისა და ბატონის დამოკი-

<sup>1</sup> მასალები... III, 1938, გვ. 70.

დებულებას. სამართლის წიგნის 42-ე მუხლი ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მესამე პუნქტში ნათქვამია: «მიმხდომის კაცის სისხლი არ არის, რომ დამხდურმან მოკლას. მაგრამ ბატონი რომ თვის ყმას მიუჭდეს, იმისი არა გვითქვამს». ამრიგად, კანონი ადგენს, რომ თავდამსხმელის მოკვლისათვის მკვლეელი პასუგს არ აგებს. მაგრამ თუ ბატონი თავის ყმას დაესხა თავს, კანონი ყმას თავდაცვის უფლებას არ აძლევს. სამართლის წიგნის 95-ე მუხლი ადგენს, რომ ხელმწიფის გარდა «თავისის ყმის სიკვდილი და გახეიბრება არავის კელეწიფების», მაგრამ მებატონეს «თუ მოუჭდეს და ქნას, ყმავერას შეუყვას». მაშასადამე, ყმის სიკვდილი და დასახიჩრება მეფის კომპენტენციას შეადგენს, მაგრამ, თუ მებატონეს ასეთი საქმე შეემთხვას, დაზარალებულის ოჯახი სისხლის საზღაურს ვერ მოითხოვსო. 258-ე მუხლი ადგენს: «თუ ბატონმა ყმა არ დაინდოს, მოკლას ან გაახეიბროს, მოსამართლემ მისი სახლი გაათავისუფლოს», იგულისხმება დაზარალებულის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლება. სამართლის წიგნის 160-ე მუხლი ნასყიდობის საკითხს ეხება და მიუთითებს, რომ ყმას ბატონის მეტი ნასყიდობას ვერავენ ვერ მოუშლის, მაგრამ «თუ ბატონი, გაუწყრების, სულს გარდა ყველაზე კელი მიუწვდებდა». ამავე დებულებას იმეორებს 258-ე მუხლიც, სადაც ნათქვამია: «ყმისა ყველა ბატონისა არის». თუ ყმამ ბატონს ხელი შემოკრას, «კელი მოეკვეთოს», ხოლო თუ შეაგინოს «ენა მოეჭრას ან ენის ფასი წაერთვას», ადგენს კანონთა 259-ე მუხლი. ამავე მუხლის მიხედვით ყმამ რომ «ბატონი ცოლზე დაიჭიროს... თუ ყმას არ შეეკადრებინოს რა, მოსამართლემ ან კარგად დააურვებინოს და ან გაათავისუფლოს». მაშასადამე, ყმის ცოლის მიმართ სქესობრივი ძალადობისა და გაუპატიურებისათვის მებატონე შეურაცხყოფილ ყმას საზღაურს აძლევდა ან ყმობიდან ათავისუფლებდა. მაგრამ, «განთავისუფლებული» უფრო სწორად, გაგდებული ყმა იძულებული იყო სხვა მებატონის უღელში შებმულიყო.

42-ე მუხლის მერვე პუნქტში კი ნათქვამია: ყმამ რომ თავისი ცოლის გაუპატიურებისათვის ბატონი მოკლას, «სისხლი არ გაუჩინდებისო». მაგრამ 259-ე მუხლით ეს ნორმა ძალდაკარგულად ითვლებოდა.

ასეთია ყმის უფლებრივი მდგომარეობა, უფრო სწორად. უუყ-  
ლებობა ვახტანგის სამართლის წიგნის ზოგიერთი დადგენილების  
მიხედვით.

1 რაც შეეხება ჩვეულებით სჯულს, ყმის უფლებრივი  
მდგომარეობის გათვალისწინების თვალსაზრისით დამახასიათებე-  
ლია 62, 66, 71 და 72 მუხლები./66-ე მუხლის თანახმად მებატონეთ  
«აქუნდათ ძათ სოფლებთა შინა თავიანთ სახელო კაცთა ზედა ნება  
ჯოხით გალახვისა და ჯარიმის გარდახდევინე-  
ბისა». ჩვეულებითი სჯულის სხვა მუხლებიდან ბატონ-  
ყმური ერთიერთობის სიმკაცრის მიხედვით ყველაზე უფრო ნიშან-  
დობლივია 71 მუხლი, სადაც ნათქვამია: «მებატონე თავად-აზნაურნი  
ოდესაც შეცოდებისათვის თავიანთ ყმათ გაუწყებოდნენ, გარდა-  
ახდევინებენ ჯარიმით და ჯოხის ცემითაც; თვინიერ  
ნასადისა. ამისათვის მეფე არც უსაყვედურებდა ასეთი საქმისა-  
თვის, რადგან მებატონეთ ყმათა ზედა სრული უფლე-  
ბა აქვს და ვერც სადმე უჩივლებდა ყმა ბატონსა  
თვისსა».

1 ჩვეულებითი სამართლის დამოწმებული მუხლის ნორმები თა-  
ვისი შინაარსით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იქ-  
ნეს ვახტანგის კანონთა ზემომოყვანილ მუხლებზე უფრო მკაცრ  
დადგენილებად. ჩვეულებითი სჯულის შემდგენლები ამ  
შემთხვევაში ვახტანგის სამართლის ნორმებს ეყრდნობიან, მისგან  
გამოდიან. |

ადათების შემკრებნი ამ საკითხზე ვახტანგის კანონმდებლობის  
დედააზრს გადმოსცემენ და ზოგჯერ თვით ვახტანგის სამართალში  
ხმარებული სიტყვებითაც. ჩვეულებითი სჯულის 71 მუხლი სესხუ-  
ლობს ვახტანგის სამართლის 160-ე მუხლის იმ ადგილს, სადაც  
ნათქვამია: ყმას «თუ ბატონი გაუწყრების, სულს გარდა, ყველაზე  
კელი მიუწვდება».

მთავარი ძაინც ის არის, რომ არა მარტო ცალკეული მუხლები  
და ნორმები, არამედ ვახტანგის კანონმდებლობის მთელი ის მასა,  
რომელიც ბატონყმურ ურთიერთობას შეეხება, უფრო ულმობელი,  
მკაცრი და სასტიკია, ვიდრე ჩვეულებითი სჯული.

ადათების მიხედვით მებატონე თავად-აზნაურებს უფლება  
ჰქონდათ თავიანთი ყმები ჯოხით ეცემათ, მაგრამ, თუ ადათებს და-  
ვუჯერებთ, არ შეეძლოთ მათთვის შეეფარდებინათ ასოთა მოკვეთა,  
ანუ «ნასადი». ჩვეულებითი სჯულის ამ ნორმას საფუძე-  
ლად უდევს ვახტანგის სამართლის 95-ე მუხლი, რომლის თანახმად

ბელმწიფის თანხმობის გარეშე ბატონს არ შეუძლია მოკლას ან დასახიჩროს თავისი ყმა — «უკელმწიფოს კაცს თავისის ყმის სიკვდილი და გახეიბრება არავის კელეწიფების». გახეიბრება აქ იმავე მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორცაც ნასალი — ჩვეულებით სჯულში.

ვახტანგის სამართლის მე-13 და 97-ე მუხლების თანახმად დანაშაულის მიმართ ნასალის შეფარდება პირადად მეფის ან მეფის მოსამართლის სასამართლო კომპეტენციას შეადგენს. მე-13 მუხლის მიხედვით მეფის სასამართლომ ტყუილი მოწმობისა და ცრუ დასმენისათვის დამნაშავეს «დღი ნასალი უნდა უყოს, რომე სხვამ აღარავინ მოინდომოს». რაც შეეხება 97-ე მუხლს, იგი ასეთ სასჯელს უწესებს იმ დამნაშავეს, რომელმაც კაცის შვილი, ქალი ან ძმა გაყიდა ურჯულოზე. ასეთ შემთხვევაში დამნაშავემ დაზარალებულს «ორი სისხლი უნდა მისცეს: ერთი კორცისა და ერთი სული-სა». მაგრამ, რაკი ადამიანის ურჯულოზე გაყიდვა ამავე დროს სახელმწიფო დანაშაულიც არის. ამიტომ «მეფისაგან ტყვის გასყიდვაზე დღი გამოკიდება და ნასალი უნდაო». ამრიგად, ვახტანგის სამართლის და ჩვეულებითი სჯულის მიხედვით ყმების მიმართ ნასალის შეფარდება მეფის ან მისი სასამართლოს უფლებამოსილებას შეადგენდა. ფეოდალებს ამისი უფლება არ ჰქონდათ. მაგრამ ეს საკითხის უფრო ფორმალური მხარე იყო. ფაქტიურად 95-ე მუხლი არაპირდაპირ ამის ნებასაც აძლევდა ფეოდალებს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, როგორც ითქვა, მებატონეებს ყმის მოკვლისა ან გახეიბრების უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ «თუ მოუხდეს და ქნას, ყმა ვერას შეუა». მებატონის მიმართ ასეთი გამონაკლისის დაშვება ყმის მკვლელობისათვის სინამდვილეში ყმის მკვლელობისა და დასახიჩრების სანქციას ნიშნავდა..

! დამახასიათებელია, რომ ჩვეულებითი სჯულის 66-ე მუხლში გათვალისწინებული მებატონეთა უფლებამოსილებანი ყმის მიმართ დაახლოებით იმავე რედაქციისაა, როგორცაც დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტის დადგენილებაა. როგორც ჩანს, ორივე ძეგლი ვახტანგის სამართლიდან გამოდის. †

ჩვეულებითი სჯული

სამართალი ბატონიშვილის  
დავითისა

66. «და აქუნდათ მათ სოფ- 30. «მოურავთა თანამდებობა  
ლებთა შინა თავიანთ სახელო არს, რათა გულსმოდგინეთ ამუ-

კაცთა ზედა ნება ჯოხით გალახ- შაოს სამუშაოანი მეფისანი, და  
ვისა და ჯარიმის გარდახდევინე- ეგრეთვე საზოგადო სამუშაო  
ბისა, და რაიცა იქნებოდა გამ- სოფლისანი..., ხოლო ურჩინი ამას  
გებლობა სოფლისა, ყოველივე ზედან დასაჯონ პატიმრობითა,  
იქნებოდა მოურავთაგან». ჯოხითა და ჯურუმითაცა, მდგმო-  
ობისამებრ საქმისა».

ჩვეულებითი სჯულის 62-ე მუხლი ტყვედ ჩავარდნი-  
ლი ყმის დახსნას ეხება. ადათების მიხედვით, თუ ყმას მებატონე  
დაიხსნიდა, ყმა მისი იქნებოდა. თუნდაც რომ ყმას თვითონ დაეხსნა  
თავისი თავი, თუ იგი თავის ნაქონ მამულში ერთ კვირასაც კი და-  
ყოფდა, თავის მებატონეს ვეღარ წაუვიდოდა. მაგრამ იმ შემთხვევა-  
ში, როცა თავის ნაქონ მამულში აღარ შევიდოდა, მებატონის ყმო-  
ბიდან თავისუფალი იყო თავისი ცოლით, შვილები კი მებატონეს  
რჩებოდა. ამავე საკითხს ეხება ადათების 73 მუხლიც, რომლის თა-  
ნახმად ტყვეობიდან გამოსყიდული ყმის განთავისუფლება «გამომ-  
სახურების შემდგომ», ე. ი. მას შემდგომ, რაც ყმა თავისი შრომით  
დაიხსნიდა თავს, მაინც «დამხსნელის ნებასა ზედა დამოკიდებულ  
იყო, და თუ დამხსნელი დასახლებდა თავის ყმად, მაშინ არავის ეძ-  
ლო იძულებით გაეთავისუფლებინათ ისი».

ვახტანგის სამართლის წიგნის 254-ე მუხლი ადგენს, რომ ომში  
ტყვედ ჩავარდნილი უცხო, სხვა რჯულის კაცი, თუ მას ხელმწიფე არ  
წაიყვანს, «ნასყიდისაგან უფრო ყმა არისო». მაგრამ,  
თუ ტყვე მეზობელი და ერთმორწმუნეა, ის ხელმწიფეს უნდა მისცენ  
და სანაცვლო გასამრჯელო აიღონ, ან ტყვეს თავი დაახსნევიონო.

ჩვეულებითი სჯულის 73-ე მუხლის შენიშვნაში ნათ-  
ქვამია: «მეფის ვახტანგის კანონის ბერძულის მეორეს წიგნის ზ და მ,  
სომხურის მესამე წიგნის სდ და მოსეს მეშვიდე წიგნის ვ მუხლნი  
არ მოხმარებულ არს». მიუხედავად სჯულის შემდგენელთა ამ გან-  
ცხადებისა, არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ტყვის გამოსყიდვის  
ქვემოთ აღნიშნული წესი, რომელიც უძველესი კანონმდებლობიდან  
მომდინარეობს, ნაწილობრივ ინარჩუნებდა ძალას საქართველოშიც.

მოსეს სამართლის მე-6 მუხლი ადგენს: «უკეთუ იყიდო ვინმე  
შენ ძმათა შენთაგანი ებრაელი, მამაკაცი ანუ დედაკაცი, ექუს წელ-  
გმსახუროს და წელსა მეშვიდესა გამოავლინო იგი შენგან განთავი-  
სუფლებული... არა ფიცხელ გიჩნდეს წინაშე შენსა, რაჟამს გამოავ-

ლინებდე შენგან განთავისუფლებულსა. რამეთუ წელიწადეულად სასყიდლითა მორეწისაგთა გამსახურებდა ექუს წელ...»<sup>1</sup>.

ბერძნული სამართლის წიგნი ამ საკითხის თაობაზე ითვალისწინებს შემდეგს წესს: «უკეთუ ქრისტიანემან ვინმე ტყუე იყიდოს ქრისტიანეთაგან და ანუ სხვათაგან, თუ შეეძლოს ტყუესა მას. რომე რაც იმაში გაღებულია ის მისცეს და თავისი თავი დაიხსნას. უნდა დაახსნევიოს. თუ მიცემა ვერ შეიძლოს, სამს წელიწადს იმსახუროს და სამს წელს უკან განათავისუფლოს» (მუხ. 7). მეორე ადგილის იგივე კანონები ადგენენ: «გავიგონეთ. რომე ქრისტიანე ვინმე დეტყუევდომ და ტყუე იგი მორჩა ტყუეობისაგან. მერმე სხვათა ქრისტიანეთა დაიჭირეს იგი და ყმათ ყავთ. ესრეთ იმსახურებენ მას ნასყიდს ტყუესა. ისმინე, უკეთუ გინდეს მსახური, თათრის კელისაგან გამოიხსენ ტყუე და სამს წელიწადს იმსახურე იგი და მასუკან განთავისუფლენ იგი, თუ ამისგან უფროს ხანს დაიჭერ, იქმნები უსჯულო და ურწმუნო» (მუხ. 40).

რაც შეეხება სომხური სამართლის 204-ე მუხლს, იგი ადგენს: «ქრისტიანმა, რომ ქრისტიანი ტყუე დაიხსნას. ასე მართებთ: შეიღოს წელიწადს უნდა იმსახუროს და შეიღოს წელიწადს უკან აზატი უნდა უყოს. თუ მართო ეყიდოს, მართო უნდა გავიდეს. და თუ ცოლი მიჰყოლოდეს, ცოლით უნდა გავიდეს. და თუ მსყიდველის კელში დაცოლშვილიანებულა, ცოლშვილი პატრონს დარჩეს და თვითან როგორც მართო მოსულა, ისევ მართო უნდა გავიდეს. მაგრამ თუ მან კაცმან ეს პასუხი თქუას: მიყუარს პატრონი ჩემიო და ვერ ველევიო ჩემს ცოლშვილსაო და არც გავალ აზატადაო, წაიყუანოს პატრონმა საყდარსა ღთისასა და მღღელთა და ერთა მოწმობითა და წიგნით დაიჭიროს ყმად, და აღარ უნდა ჰქონდეს აზატობის ფიქრი. მოციქულთაგან არის პატრონობის დაჰახება, ყმისა აზატობა ღთისაგან».

ჩვეულებითი სჯულის 62-ე მუხლი თავისი შინაარსით მნიშვნელოვნად ენათესავება დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტის შესაბამის მუხლს. შედარებისათვის მოვიტანთ ამ ორი ძეგლის სათანადო ადგილებს.

ჩვეულებითი სჯული

სამართალი ბატონიშვილის  
დავითისა

62. «უკეთუ გლენნი თავის 49. «ოდეს წაყვანილ იქმნეს მებატონისაგან იქნებოდნენ წარ- მტერთა მიერ კაცი, მაშინ შუშნის

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი S—3683.

გზავნილი სადმე საქიროს საქმი-  
სათვის და იგი წარგზავნილი კა-  
ცი დაიკარგებოდა, თუ მებატო-  
ნეს შეეძლო თავისის მნებებე-  
ლობით დაიხსნიდა და ისევ მისი  
წყმა იქნებოდა: და თუ თავისის  
ნაქონნის მამულიდამ დაიხსნი-  
და. მაინც მებატონისა იყო.

და თუ იგი დაკარგული კაცი.  
თავისთავად მოვიდოდა თავისაც  
ნაქონს მამულზედ და ხანს რას-  
მე დაყოფდა. ერთს კვირასაც  
არის, მებატონეს ველარ წაუვი-  
დოდა ყმობილამ.

და თუ... კაცი თავისი მეცა-  
დინეობით მოვიდოდა ტყვეობი-  
დამ და თავის ნაქონებს მამულ-  
ში აღარ შევიდოდა, მებატონის  
ყმობილამ თავისუფალი იყო,  
მხოლოდ თვით ცოლით თვისით,  
და შვილნი მისნი პირველის ბა-  
ტონის იყვნენ და არ გამოერთ-  
მევოდათ ისინი პირველს მის  
მებატონეს».

მეპატრონესა მისსა, რათამცა და-  
იხსნას იგი. ხოლო უკეთუ ვერ  
ძალ-ედვას ნაქონებისაგან თვისი-  
სა მოძრავისა, გინა უძრავისა, და  
არც იგულსმოდგინოს მეპატრო-  
ნემან მისთვის, მაშინ, ვისაცა  
სწადდეს, ნება აქუს დახსნად მი-  
სა, რომელიცა შეიქმნების ნამ-  
დვილი ყმაჲ მომსყიდველისა  
მის...

ხოლო უკეთუ ეყმოს ნატყვე-  
ვარი იგი მებატონესავე თვისსა,  
ნურარაამქმესა დააკლებს მიღებუ-  
ლისა ნივთისაგან თვისისა მება-  
ტონე იგი.

და როდესაც მოვიდეს კაცი იგი  
და არღარა ეყმოს მებატონესა  
თვისსა, მაშინ არღარა უკუნ-  
სცემს მიღებულსა ნივთსა მება-  
ტონე იგი, მით რომე მეპატრონი-  
საგან მამულისა მოგებული ნივ-  
თი ნახევარი არს მებატონისა  
მის...» (შდრ. აგრეთვე მუხ. 35).

1 ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს ჯ უ ლ ი ს 63-ე მუხლი ამბობს, რომ როდე-  
საც ხელმწიფე, დედოფალი, უფლისწულები ან თავადები ახალი  
სოფლის აშენებას დაამთავრებდნენ, იმ სოფლის გლეხებს აზატობას  
მისცემდნენ «არა ნაკლებ. ექვსი წლისა». ეს შეეხებოდა  
როგორც სახელმწიფო, ისე სათავადო ყმებსაც. /

1 ა დათების 64-ე მუხლი ადგენს, რომ მებატონეთა «ტყისა,  
წყლისა და ბალახის» სარგებლობის უფლება აქვთ იმ სოფ-  
ლისა და უახლოესი სოფლის ყმებს — «მუნებური და უახლოესნი  
სოფლის ხალხნი გამოიტანდნენ შეშას და ხე-ტყეის სახლისათვის და  
არა გასასყიდლად. და აგრეთვე ბალახსაც ვერ დაუჭერენ საქონლის  
საძოვრად». რაც შეეხება სხვა საბატონოს მცხოვრებლებს, მათ ამ  
ობიექტებით სარგებლობისათვის დაწესებული საზღაური უნდა გა-



დაეხადათ. მებატონის ნებართვის გარეშე «მამულში არაეის შეუშვებდნენ თვინიერ თავის ყმისა».

ჩვეულებითი სამართლის ამ დადგენილებებს საფუძვლად უდევს ვახტანგის კანონების 169—172 მუხლები. «ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა... წყალი, შეშა და ბალახი». ნათქვამია სამართლის წიგნის 169-ე მუხლში.

მებატონეთა და ყმათა დამოკიდებულების უფრო სრული სურათის წარმოდგენის მიზნით აქვე მოვიტანთ ვახტანგის სამართლის ზოგიერთ დადგენილებას, რომლებიც ბატონყმური ურთიერთობის საკითხებს აწესრიგებს.

თუ ერთი საბატონოს ყმა გაიქცევა და მეორე საბატონოს პატრონს ეყმობა, შემდეგ მას სხვაგან წასვლა აღარ შეუძლია, იგი ამ ბატონის მფლობელობაში უნდა დარჩეს.

სამართლის წიგნის 199-ე მუხლი ადგენს: თუ ერთი და იმავე საბატონოს ყმა ამავე საბატონოში მეორე ბატონთან მივა, მასთან ერთხანს დარჩება, ძველი ბატონი მას არ მოიკითხავს და ყმა აღწერის დროს ხელმწიფის დავთარში ახალი ბატონის ყმად ჩაეწერება, მაშინ, თუ ყმას არ სურს, უწინდელი ბატონი მას ახალ აღწერამდე ძალით ვერ წაიყვანს. თუ შემდეგი აღწერის დროსაც ყმა ახალ ბატონთან დაეწერა და ამრიგად მასთან 30 წელიწადი დაყო, პირველ ბატონს არ შეუძლია მოითხოვოს მისი დაბრუნება.

202-ე მუხლიც ამავე საკითხს ეხება. თუ ერთი საბატონოს ყმა მეორე საბატონოში წავა და 30 წელიწადს იქ დაყოფს, შემდეგ მოვა და სხვა კაცს ეყმობა, იგი ამ კაცს ეკუთვნის. მაგრამ თუ 30 წელზე ნაკლებს დაყოფს. ისევ ძველ ბატონს უნდა მიეცეს. გამოწაკლისი დაშვებულია მხოლოდ იმ ყმის მიმართ, რომელიც თრიალეთში გაიქცა. თუ გაქცეულმა ყმამ თრიალეთის სამეფო მამულში 12 წელი დაყო, ძველ ბატონს აღარ შეუძლია მოითხოვოს მისი დაბრუნება.

მკვიდრი ყმის ძებნისა და დაბრუნების 30-წლიანი ხანდაზმულობა ვახტანგის სამართალში ბეჭასა და აღბუღას სამართლიდან არის შემოსული. აღბუღას კანონების 77-ე მუხლი ადგენს, რომ გაქცეული მკვიდრი ყმის მიმართ ხანდაზმულობა «პირველად ვე დაწესებული ოცდაათი წელიწადი არს შეკუთვითილი». ეს წესი ბიზანტიური სამართლიდან უნდა იყოს შემოსული ქართულ სამართალში. 30 წლიანი ხანდაზმულობა შემოიღეს ბიზანტიაში იმპერატორ თეოდოსი II-ის დროს.

რაც შეეხება ნასყიდ ან შიმშილობაში გამოკვებულ ყმას ან იმ ყმას, რომლის ვალი მებატონემ გადაიხადა. თუ ძველი ბატონი მოითხოვს ასეთი ყმის დაბრუნებას, მან ახალ ბატონს ყმაზე გაწეული ხარჯი უნდა აუნაზღაუროს და აგრეთვე იმ ქონების ნახევარი უნდა მისცეს; რაც ყმამ ახალ ბატონთან ყოფნის დროს შეიძინა. ამის შემდეგ ძველ ბატონს შეუძლია თავისი ყმა წაიყვანოს.

თუ ყმა გლეხი სხვა საბატონოში გაიქცევა, ექვს წელიწადს იქ დაყოფს, შემდეგ დაბრუნდება და ხელმწიფეს ეყმობა, ხელმწიფის ნებაზეა დამოკიდებული: თუ უნდა, მისცემს ძველ ბატონს თავის ყმას, ხოლო თუ უნდა. თვითონვე დაიტყუებს თავის ყმად.

ნასყიდი, ნაწყალობევი ან პატრონის მიერ მინაცემი ყმის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას ვაჟიშვილი არ დარჩებოდა, მთელი მისი ქონება ბატონის განკარგულებაში გადადიოდა. თუ გარდაცვლილს ცოლი და ქალიშვილი დარჩებოდა. მათთვის ბატონს ხარჯი და სამარხი უნდა მიეცა. თუ არც ცოლი და ქალიშვილი დარჩებოდა, მაშინ დაკრძალვის ხარჯებს გარდა, გარდაცვლილის მთელი ქონება მებატონეს ეკუთვნოდა.

თუ გლეხი ბატონის მოახლეს შეირთავს და ბატონის ყმად დაეწერება, ხოლო შემდეგ აღმოჩნდება, რომ იგი სხვა მებატონის კუთვნილი ყმა ყოფილა, ყმა ძველ ბატონს უნდა მისცენ. ყმას ცოლი არ უნდა წაართვან, მაგრამ ყმამ მოახლის ბატონს თავისი ცოლის სასაცლოდ «ერთი მართებული გოგო» უნდა მისცეს.

მებატონის ნებართვის გარეშე ყმას არ შეუძლია თავდებად დაუდგეს ვინმეს «და თუ უბატონოთ დაიყენოს, ყაბული არ არის».

ასეთია ვახტანგის სამართლის ზოგიერთი დამახასიათებელი მუხლის შინაარსი. ჩვე უღებითი სჯულის მუხლებთან ამ ნორმების შედარება ცხადყოფს, რომ ადათების კრებულში ბატონყმური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და გამკაცრებას არა აქვს ადვილი. ბატონყმური ურთიერთობის სიმკაცრის თვალსაზრისით ვახტანგის კანონები ყველაზე უფრო მეტად დამახასიათებელი ძეგლია ქართული სამართლის სხვა საკანონმდებლო ძეგლებს შორის.

### საჩიპე და საჰვიპო

ჩვე უღებითი სჯულის 65-ე მუხლში ნათქვამია: «არის ადგილობითი ჩვეულება, რომ ოდესაც გათხოვდება პირველად ქალი, მაშინ მუნებური მებატონე ანუ მოხელე, ვისიც გლეხის ქალი იქნებოდა, ვინც წაიყვანდა, წამყვანს გამოართმევდნენ ექვს

აბაზს, ორს მინალთუნს და ანუ სამს მინალ<sup>1</sup>თუნს, და ეს ჩვეულება არის თავადაზნაურთა ყმათა ზედა. და თუ სახელმწიფო ყმა წაიყვანს, მასაც გამოართმევენ.

მაგრამ გარდა ამისა არის ჩვეულება, — უკეთუ თავადისა და აზნაურის ყმის ცოლი დაქვრივდება და ითხოვდა ვინმე, იმ ქვრივის ვინც წაიყვანს, საქვრივოს გამოართმევენ ღირსებისამებრ ქვრივისა ხუთის მინალთუნნიდამ ვიდრე ხუთს თუმნამდე».

ფეოდალური საქართველოს საქორწინო სამართლის მიხედვით პირველ ჩვეულებას საჩექქმე, ხოლო მეორეს საქვრივო ეწოდებოდა. ბატონყმური სამართლის ეს ორი ინსტიტუტი საფუძვლიანად არის შესწავლილი სპეციალურ ლიტერატურაში<sup>1</sup>.

ქვრივნი და საქვრივო ხშირად გვხვდება XVIII საუკუნის ცნობილ საკანონმდებლო ძეგლში დასტურლამალი<sup>2</sup>. მაგრამ დასტურლამალი არ იძლევა ამ ინსტიტუტების შინაარსის აღწერას. საჩექქმის შესახებ მხოლოდ ორ მუხლშია გადმოცემული შედარებით უფრო დაწვრილებითი ცნობა. დასტურლამალი ამბობს: «საჩექქმე. თუ იმ ქვეყანას გათხოვდეს, მოურავს ექვსი შაური, მამასახლისს აბასი, თუ სხუას ქუეყანას წაიყვანონ, მოურავს ხუთი აბასი, მამასახლისს აბასი» (მუხ. 24); მეორე ადგილას ნათქვამია: «საჩექქმე, თუ იმავალაგის კაცმან ქალი წაიყუანოს ექვსი შაური მოურავს და ორი შაური ნაცუალსა. და თუ სხვის ალაგის კაცმან წაიყვანოს, სამს აბაზს მოურავს მისცემდეს და ორს შაურს ნაცუალს» (მუხ. 201). საჩექქმე იხსენიება სხვა მუხლებშიც, მაგრამ ყოველგვარი განმარტების გარეშე.

ჩვეულებითი სჯული აღნიშნავს, რომ საჩექქმის გადასახადს იღებენ არა მარტო «თავადაზნაურთა ყმათა ზედა», არამედ სამეფო გლეხებიდანაც. გადასახადს იღებს «მებატონე ანუ მოხელე», ე. ი. თვით მემამულე ან მეფის მოხელე. დასტურლამალი ჩამოთვლის იმ მოხელეებს. რომლებიც ამ გადასახადებს ლეზულობენ სამეფო მამულების გლეხებიდან. ესენი არიან მოურავი,

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე შემთხვევებთან დაკავშირებული გადასახდელები გვიანფეოდალურ საქართველოში: ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1953 გვ. 390—417.

<sup>2</sup> დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოცემა. 1886. გვ. 7, 8, 10—12, 18, 25, 31, 35, 36, 45, 76, 83, 87, 93, 94, 98, 99, 116—122.

მამასახლისი და ნაცუალი. ცალკეული საფეოდალოს გლეხებიდან კი საჩექმეს თვით მემამულე. მებატონე იღებდა. მოურავს, მამასახლისსა და ნაცვალს თავთავისი წვლილი აქვთ საჩექმეში. თვითეული მათგანი ღებულობს კანონით გათვალისწინებულ საჩექმის ოდენობას.

დასტურლამალის დამოწმებული მუხლებიდან ჩანს, რომ საჩექმის ოდენობა ზუსტად განსაზღვრული არ იყო. მისი მეტნაკლებობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ სად თხოვდება ქალი. თუ ქალი თავისივე საბატონოში თხოვდება, ე. ი. მისი საქმრო იმავე ბატონის სამფლობელოში ცხოვრობს, საჩექმის ოდენობა შემდეგნაირად განისაზღვრება: ექვსი შაური მოურავს, აბაზი მამასახლისს, ორი შაური ნაცულს. მაგრამ თუ ქალი სხვა საბატონოს კაცს მიჰყვება ცოლად. მაშინ საჩექმის ოდენობა ერთიორად და ზოგჯერ მეტადაც იზრდება. დასტურლამალის მიხედვით მოურავის საჩექმის მაქსიმუმი ხუთ აბაზს შეადგენდა. ჩვეულებითი სჯულის მიხედვით კი საჩექმის მაქსიმუმი განსაზღვრულია სამი მონალთუნით, ანუ სამი მანეთით, ხოლო მინიმუმი — ექვსი აბაზით. თუ ამ ცნობას სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ XVIII საუკუნის ბოლოს ამ გადასახადის ოდენობა ფულის კურსის დაცემის შესაბამისად საგრძნობლად გაზრდილა.

საჩექმე მხოლოდ ფულადი გადასახადია, რომელიც დაწესებულია ყმა გლეხთა ყველა კატეგორიისათვის. ჩვეულებითი სჯულის მიხედვით ამ გადასახადელს იღებენ სასიძო ყმა გლეხისაგან, მაშინ «ოდესცა გათხოვდება პირველად ქალი». პირველად გათხოვება არის საჩექმის, როგორც გადასახადის, ძირითადი ნიშანი და აუცილებელი პირობა. ყმა გლეხის ქალიშვილის მხოლოდ პირველად გათხოვების შემთხვევაში იღებენ საჩექმეს. თუ იგი დაქვრივდება და მეორედ გათხოვდება, მაშინ მისმა მეორე საქმრომ სხვა გადასახადი, ე. წ. საქვრივო უნდა გადაიხადოს. ამიტომ საჩექმის ცნების განსაზღვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველად გათხოვებას.

ამრიგად, საჩექმე არის ფულადი გადასახადელი, რომელიც უნდა გადაიხადოს სასიძომ ყმა გლეხის ქალის მებატონის ან მეფის მოხელეთა სასარგებლოდ ყმა ქალიშვილზე პირველად დაქორწინებისათვის.

რაც შეეხება ბატონყმური სამართლის მეორე ჩვეულებას, ე. წ. საქვრივოს, ჩვეულებითი სჯულის მიხედვით ეს გადასახადი

მებატონის ან მეფის მოხელის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა იპას, ვინც დაქვრივებულ ყმა ქალს წაიყვანდა ცოლად: «ქვრივს ვინც წაიყვანს. საქვრივოს გამოართმევენ ღირსებისამებრ ქვრივისაო». საქვრივოს გადახდა ხდებოდა ქვრივის ღირსების მიხედვით. ჩანს, რომ ქვრივი ყმა ქალები თავიანთი ღირსების მიხედვით რაძდენადმე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ღირსება გულისხმობს ქვრივის არა მარტო პირად თვისებებს. უნარს. დაბელოვნებას, არამედ მის ქონებრივ მდგომარეობასაც. ჩვეულებით ისჯული ამბობს, რომ ქვრივის ღირსების მიხედვით საქვრივოს ოდენობა განისაზღვრებოდა «ხუთის მინალთუნიდამ ვიდრე ხუთს. თუმნამდე». საქვრივოს ოდენობის ასეთი გაზრდა აიხსნება არა ბატონყმობის გამკაცრებით ან ადათების შემკრებთა «ვიწრო კლასობრივი თვალსაზრისით». არამედ ფულის კურსის მნიშვნელოვანი დაცემითა და გაუფასურებით XVIII—XIX საუკ. მიჯნაზე ქართლ-კახეთში. როგორც სჯულიდან ჩანს, ქვრივის ღირსება შეფასებულია დიდი განსხვავებით. საქვრივოს მინიმუმი ხუთ მანეთს. ხოლო მაქსიმუმი ხუთ თუმანს შეადგენს. ასეთი მეტნაკლებობა ქვრივის უნარიანობა და ქონებრივი მდგომარეობით უნდა აიხსნას.

საქვრივოს, როგორც გადასახადის. ცნების განსაზღვრისათვის რომ გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქვრივის ღირსებას, ე. ი. უნარსა და ქონებრივ მდგომარეობას, ეს კარგად ჩანს თვით ვახტანგის სამართლის წიგნიდანაც, სადაც ლაპარაკია «ავს ქვრივსა და კარგს ქვრივზედ». ცხადია, რომ «ავი და კარგი» აქ ქალის პირად თვისებებს გარდა, მის ქონებრივ მდგომარეობასაც გულისხმობს.

საქვრივოს შესახებ ვახტანგის სამართლის 203-ე მუხლი აღგენს: «გლეხის კაცის ქვრივი რომ დაქვრივდეს, მისი მებატონე ქვრივს ძალად ნუ გაათხოვებს; ვინც ქვრივს უნდოდეს, ის შეირთოს, და თუ არ უნდოდეს, თავის ობლებთან იყოს. და თუ ნებით შეირთოს ვინმე თავისი მონდომებული, იმ ქვრივის წამყვანმა ანს ქვრივსა და კარგს ქვრივზედაც კარი და მარჩილი მისცეს. მეტს ნურც ის მებატონე და ნურც მოურავი ნულარასა სთხოვს». ვახტანგის სამართლის ეს დადგენილება მრავალმხრივ არის საყურადღებო. როგორც ჩანს, მებატონეთა თვითნებობის შედეგად იმ დროს გავრცელებული ყოფილა ქვრივი ყმა ქალის ძალად გათხოვება, რაც მებატონისათვის საქვრივოს სახით შემოსავლის გარკვეულ წყაროს წარმოადგენდა. კანონი კრძალავს მებატონეთა მხრივ ქვრივი ქალის მიმართ ასეთ ძალდატანებას და ქვრივს თავისუფალი არჩევანის უფ-

ლებას ანიჭებს. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე საქვრივოს მაქსიმუმს ერთი ხარით და ერთი მარჩილით, ანუ სამი აბაზით: ხარი ეძღვევა ბატონს, ხოლო მარჩილი — მოურავს.

დასტურლამალის მიხედვით კი საქვრივოს მაქსიმუმზე ერთ ხარსა და ხუთ აბაზს შეადგენს. როგორც ითქვა, საქვრივო აღნიშნულია დასტურლამალის მთელ რიგ მუხლში. ბევრ ადგილას ტერმინი მოტანილია ყოველგვარი განმარტების გარეშე. ორიოდ მუხლში კი გადმოცემულია უფრო ვრცელი ცნობა ამ ინსტიტუტის შესახებ. სამეფო დასტურლამალი ადგენს: «საქურიო კარი ბატონსა, სამი აბაზი მოურავს, აბასი ნაცუალსა, აბასი მამასახლისსა» (მუხ. 24), სადედოფლო კი ამბობს: «საქურიო კარი ბატონს, მარჩილი მოურავს, აბასი მამასახლისს, ნაცუალს» (მუხ. 25). საქვრივოს ეს ოდენობა განსაზღვრულია იმ შემთხვევისათვის, როცა ქვრივი ქალი სწვა საბატონოში თხოვდება. ხოლო თუ იმავე სოფელში თხოვდება, მაშინ საქმრო არ აძლევს ხარს ქვრივი ქალის ბატონს: «სოდლის კაცმან რომ ქვრივი წაიყვანოს, კარი არა სძეს, და თუ გარეშემ წაიყვანოს, კარი სძეს» (მუხ. 35), ნათქვამია სამეფო დასტურლამალში. ასეთი წესი კარგად ჩანს აგრეთვე სადედოფლო დასტურლამალის იმ მუხლიდან, რომელიც წინწყაროს გარიგებას ეხება: «ვინც გარეშე კაცმან ქურივი გაიყუანოს, კარი ბატონისა არის, მოურავისა... საქურიოდ მარჩილი..., მამასახლისსა ქვრივზედ აბაზი ერთი, ქვრივს ვინც გარეშე კაცი წაიყუანს, ქალზედ ერთი აბაზი» (მუხ. 17). ორიოდ მუხლში ხარის ნაცვლად საქვრივოს საზღაურად გათვალისწინებულია ძროხა ან ცხვარი.

ამრიგად, საქვრივოს სახით ბატონი ღებულობს ხარს, მოურავი — მარჩილს, ანუ სამ აბაზს, მამასახლისი და ნაცვალი კი — თითო აბაზს. მოურავი, მამასახლისი და ნაცვალი საქვრივოს იღებენ ფულადი გადასახადის სახით, ხოლო მებატონე — ნატურის სახით. ჩვეულებითი სჯული, როგორც ზემოთ ითქვა, საქვრივოს მაქსიმუმს ხუთი თუმნით განსაზღვრავს. საინტერესოა, გავარკვიოთ რას უდრიდა ფულად გამოხატულებაში მებატონისათვის საქვრივოს სახით გათვალისწინებული ხარი. დასტურლამალში არაა მოხსენებული ხარის ფასი. მაგრამ აქ ჩვენ გვეხმარება ვახტანგის სამართალი, რომელიც შედგენილია ერთდროულად დასტურლამალთან (1704—1709 წწ.). ორივე ძეგლი შედგენილია ვახტანგ VI-ის მიერ. ვახტანგის სამართლის 33-ე მუხლის თანახმად გლეხის სისხლი თორმეტ თუმანს უდრის, ხოლო იმავე კანონების

მე-18 მუხლი ამბობს, რომ თეთრის უქონლობის გამო გლეხის სისხლის გადახდა დაზარალებული პირის ოჯახებისათვის ძროხების მიცემით ხდება. ამასთანავე გლეხის სრული სისხლი შეფასებულია 60 ძროხად. ე. ი. გამოდის, რომ ერთი ძროხის ფასი 2 მინალთუნს (მანეთს) შეადგენდა. სამეფო დასტურლამალის მიხედვით, როგორც ეს მე-15 და 201-ე მუხლებიდან ჩანს, ძროხა ხარის თანახმად ფასობდა და ბატონისათვის საქვრივოს გადახდა ზოგჯერ ძროხის მიცემით ხდებოდა. მაშასადამე, ხარის ფასიც 2 მინალთუნს შეადგენდა. საქმროს შეეძლო გადაეხადა საქვრივო ბატონისათვის ერთი ხარით ან ორი მინალთუნით.

საქვრივო ეკლესიისათვის გათვალისწინებული გადასახადიც იყო. საეკლესიო ყმა-ქალი როცა დაქვრივდებოდა, მეორედ გათხოვების შემთხვევაში მის საქმროს ეკლესიისათვის საქვრივო უნდა გადაეხადა. ეს კარგად ჩანს დასტურლამალის 46-ე მუხლიდან, რომლის სათაურია «ეკლესიის გამოსაღებისათვის». ამ მუხლის თანახმად საქმრომ ქვრივი ქალის ბატონს. — ეკლესიას — «საქურთო კარა» უნდა გადაუხადოს. ამრიგად, საქვრივო საყოველთაო გადასახადი იყო, რომელიც ვრცელდებოდა სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო ყმებზე.

იოანე ბაგრატიონის სჯულდების გამომცემლის პროფ. ივ. სურგულაძის განსაზღვრით საქვრივო ეწოდებოდა იმ გადასახადს, რომელიც დაწესებული იყო ბატონის სასარგებლოდ ქვრივი გლეხი ქალის გათხოვების შემთხვევაში და რომელსაც იხდიდა საქმრო. წიგნის რეცენზენტის გ. ნადარეიშვილის აზრით ეს განმარტება არ არის ზუსტი. ისტორიულად ცნობილია, ამბობს რეცენზენტი, რომ საქვრივოს ღებულობდნენ არა მარტო ბატონები. არამედ ქვრივის ქმრის და ზოგჯერ კი თვით ქვრივის ნათესავებიც. ეს გადასახდელი გათვალისწინებული იყო სალიკური სამართლის XLIV მუხლში და შუა საუკუნეების მანძილზე ცნობილი იყო ევროპაშიც. საქართველოშიც საქვრივოს მხოლოდ ბატონები როდი იღებდნენ: ჩვენამდე მოღწეულია საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ საქვრივოს იღებდნენ ქვრივის ქმრის ნათესავებიც<sup>1</sup>. რეცენზენტი იძოწმებს საქვრივოს გამორთმევის წიგნს, რომელიც 1737—1757 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. ამ საბუთში ნათქვამია: «ესე წიგნი მოვეცი მე. გიორგიმ თურქისტანის-შვილმა, შენ, ჩინჩალაძეს გიორგის, და შეილსა შენსა ნიკოლოზს; — ასე რომე ჩემი ბიძაშვილის გიუას ნაცოლარი

<sup>1</sup> ეურნ. საგ. ეკონომისტი, № 6, 1958, გვ. 92.

ქვრივი მაინდომე შესართავათ და მეც მოვინდომე და ჩემის რაზიოა მოგათხოვე და საქვრიოც გამოგართვი, რაც ჩემი გული შეგჯერდე-ბოდა. და შენთან არას კაცს კელი არა ქონდეს მლთის მეტს»<sup>1</sup>.

მარტო ამ, თვით გამომცემლის მიერ საეკვოდ მიჩნეულ საბუ-თზე დაყრდნობით ძნელია დავეთანხმით რეცენზენტის აზრს საქვ-რივოს შესახებ. საბუთის გამომცემელი აკად. ნ. ბერძენიშვილი ფიქ-რობს, რომ «ჩემი ბიძაშვილის» ნაცვლად საბუთში ალბათ იყო «შენი ბიძაშვილი», რითაც ცხადი ხდება, რომ საქვრივოს იღებს ყმა ჩინჩალაძის ბატონი თურქისტანიშვილი და არა ქვრივის ქმრის ნათესავი. რაც შეეხება რეცენზენტის მიერ ამ საკითხზე სა-ლიკურო სამართლის XLIV ტიტულის დამოწმებას, იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამაჯერებლად. სალიკურო სამართლის აღნიშნულ მუხლში ლაპარაკია სპეციალური საზღაურის ე. წ. Reipus-ის შესა-ხებ. რომელსაც ქვრივის გათხოვების შემთხვევაში იღებენ ქვრივის ძახლობელი ნათესავები «თვით მეექვსე თაობამდე»<sup>2</sup>. როგორც სა-ლიკურო სამართლიდანაც ჩანს, ეს წესი წარმოადგენს სალიელი ფრანკების ძველ საგვარეულო-ტომობრივ ჩვეულებას და არავითარ შემთხვევაში არ განეკუთვნება ბატონყმური ურთიერთობის ინსტი-ტუტს. საქართველოში კი ეს ადამ-ჩვეულება ბატონყმური ურთი-ერთობის ნიადაგზე წარმოიშვა და მისთვის დამახასიათებელ წესს წარმოადგენდა.

საქვრივოს რომ ქვრივი ყმა-ქალის მებატონე ლებულობდა. ეს კარგად ჩანს არა მარტო დასტურლამალიდან და ვახტანგის კანონებიდან, არამედ აგრეთვე საქვრივოს გადახდის ჩვენამდე მოლ-წეული სხვა საბუთებიდანაც. აბაშიძის ქვრივი თავის საჩივარში, რომელიც 1802 წლის ახლო ხანებშია შედგენილი, თავისი მახლე-ბის სვიმონ და გიორგი აბაშიძეების წინააღმდეგ, მამულის თაობაზე წერს: «რაც ვიცი, რომ სამქვრიო აულიათ, და რაც შორს არიან და არ შემიტყვია, ის მოხელეებს ეცოდინებათ, რამეთუ აულიათ. ვი-ორგი აბაშიძემ გამოართვა საქვრიო ღონღაძის ქვრივსა ორი თუმანი. სვიმონ აბაშიძეს აულია სამქვრიო ღამბაშიძისა, ორ თუმანზედ ნაკ-ლები არ იქნება. სვიმონს აულია კიდევ ბუზალაძისა სამქვრიო თუთხ-

<sup>1</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენი-შვილის რედაქციით, 1940, გვ. 273.

<sup>2</sup> აღრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1950, გვ. 34.



მეტი მინალთუნი»<sup>1</sup>. 1745 წელს დაწერილ გადასახადების ნუსხაში თუმანიშვილებისა აღნიშნულია: «ჩალაბასშვილის ბერას ცოლის საქერიო ჭ (ხუთი) მინალთუნი»<sup>2</sup>, ე. ი. თუმანიშვილს, როგორც ბატონს, მიუღია საქერივო გადასახდელი ხუთი მანეთის ოდენობით.

დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის რუსულად შედგენილი პროექტიც ადასტურებს, რომ საქერივო საბატონო გადასახადი იყო. პროექტში ნათქვამია: «Вдовы имеют совершенную свободу по произволению и выбору своему вступать во второй брак, почему помещики запрещать им того не вправе, однакож жених обязан заплатить помещику сакврию, т. е. вдовья деньги. Количество сих денег располагается навсегда в одиноковом числе, но зависит от обыкновения каждого селения, однакож не превышает 25 рублей» (მუხ. 889)<sup>3</sup>.

ზემოთ მოტანილი მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ სამართლის წიგნის პროექტი ამ საკითხში ეყრდნობა ვახტანგის კანონების 203-ე მუხლს, სადაც მოცემულია საქერივოს ინსტიტუტის ანალოგიური აღწერა. სამართლის წიგნის პროექტით საქერივოს მაქსიმუმი შეადგენს 25 მანეთს, ხოლო ჩვეულებითი სჯულის მიხედვით — 50 მანეთს.

ამრიგად, ჩვეულებითი სჯულის 65-ე მუხლით გათვალისწინებული ბატონყმური სამართლის ორი ჩვეულება — საჩექმე და საქერივო თავის დადასტურებას პოულობს ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებსა და კერძოუფლებრივ საბუთებში.

---

<sup>1</sup> მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, III, 1955, გვ. 371—372.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 52.

<sup>3</sup> დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, ა. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, 1959, გვ. 370.



## ლ ე ქ ს ი ქ მ ნ ი

ა

- ადგილი:** სასამართლო ადგილი 3 სასამართლო დაწესებულება.
- ადგილობითი:** ადგილობითი ჩვეულება 65 ადგილობრივი ადათი.
- ადგომა:** უკეთუ ვერ აუდგებოდა 16 უკეთუ ვერ აუვიდოდა, თუ არ ეყოფოდა; თუ მოძრავის ქონებით არ აუდგებოდა 16 თუ მოძრავი ქონებით ვერ აუვიდოდა, თუ მოძრავი ქონება არ ეყოფოდა.
- აზატობა:** გლესს აზატობას მისცემდნენ 63 გლესს თავისუფლებას მიანიჭებდნენ.
- აზნაური 13, 64-67:** თავადის შესახვედრი აზნაური 72 თავადის კუთვნილი აზნაური, თავადის ვასალი აზნაური.
- ათისთავი:** აქუნდათ ათისთავი სამეფოს შემოსავლიდამ 66 ლებულობდნენ მეათედ ნაწილს სამეფო გადასახადიდან.
- ალაგი მიწა, მამული, სახსარი:** ექნებოდათ ალაგი გარდახდისა 13 ექნებოდათ გადახდის საშუალება (უძრავი ქონებიდან); ალაგი ტყისა, წყლისა და ბალახისა მთით და ბარით 54. ადგილ-მამული მთასა და ბარში ტყისა, წყლისა და ბალახისათვის.
- ამლები იხ. ვალის ამლები.**
- ამხანაგობა:** ამხანაგობის წერილი 23 ამხანაგობის ხელშეკრულება, შდრ. წერილი.
- ანგარიში:** ვისაც ექნებოდა ვისთანმე ანგარიშით დავა 27 ვისაც ვინმესთან ექნებოდა ანგარიშზე, სათვალავის ოდენობაზე დავა.
- ანდერძი 33.** სამკვიდროს დამტოვებლის სიტყვიერი ან წერილობითი განკარგულება.
- აპელაცია:** თვინიერ ყოვლისა აპელაციისა 3 ყოველგვარი გასაჩივრების გარეშე.
- აღთვლა:** სხვა ყოველივე მოვალის ქონებად აღითვლებოდა 15 სხვა ყველაფერი მოვალის ქონებად აღირიცხებოდა; ყოველივე საერთოდ აღეთვლებოდათ 40 ყველაფერი საერთო ქონებად აღირიცხებოდათ.
- აღთქმა:** პირობა. დასდებენ წერილთ აღთქმას მოსავლის წაუხ-

დენლობისათვის 70 დადებენ წერილობით პირობას მოსავლის წაუხდენლობის შესახებ.

ბ

**ბათილამა:** ბათილობის წიგნი, თამასუქის გაუქმების ხელწერილი, გამაბათილებელი, გამაუქმებელი საბუთი, გადახდის ხელწერილი.

**ბარათი:** უკეთუ მოვალეს ექნებოდა ბ ა რ ა თ ი 3 უკეთუ მოვალეს ექნებოდა ხელწერილი. ბ ა რ ა თ ი თ ემართებოდა ვისიმე თეთრი 6 ხელწერილით ემართებოდა ვისიმე ფული.

**ბატონი 16, 62:** პირველი ბ ა ტ ო ნ ი 62 ბატონი, რომელიც პირველად ჰყავდა.

**ბედოვლათი 38, 47** გამნიავებელი, განმანეველი, წარმგებელი: უკეთუ უფროსნი იქნებოდნენ ბ ე დ ო ვ ლ ა თ ნ ი 38 თუ უფროსი (ძმები) გამნიავებელი იქნებოდნენ; ბ ე დ ო ვ ლ ა თ ი ძმა 47 გამნიავებელი, უყაირათო ძმა.

**ბედოვლათობა** გამნიავებლობა, უყაირათობა: თუ ვალის ამღებს ძმას ბ ე თ ო ვ ლ ა თ ო ბ ა ზ ე დ გაეფუჭებინა 47 თუ ვალის ამღებ ძმას განიავებით გაეფლანგა (ქონება).

**ბერძული:** ბ ე რ ძ უ ლ ი ს მეორე წიგნი 7, 52, 73 ბერძული სამართლის წიგნი, რომელიც შეტანილია ვახტანგის კანონთა კრებულში მეორე წიგნად.

**ბეუშათი 11** გირაო, დაგირავება, უკან გამოსყიდვის პირობით.

**ბეჯითობა:** არც მეორე ძმები უ ბ ე ჯ ი თ ე ბ დ ე ნ 50 არც სხვა ძმები დაეხმარებოდნენ, ხელს შეუწყობდნენ.

**ბჰე 27, 59, 60** მსაჯული. არ მოინდომებდნენ ბ ჰ ი ს აღმორჩევას 27 არ მოისურვებდნენ მოსამართლის, მსაჯულის ამორჩევას.

ბ

**გადასვლა იხ. გარდასვლა.**

**გამწითება:** ქალს შეძლებისამებრ გა ა მ მ ზ ი თ ე ბ დ ნ ე ნ 30 ქალს შეძლებისამებრ მწითევს მისცემდნენ.

**გამგებლობა:** და რაიცა იქნებოდა გა მ გ ე ბ ლ ო ბ ა სოფლისა, ყოველივე იქნებოდა მოურავთაგან 66 სოფლის ყოველგვარი მართვა-გამგეობა მოურავს ეკუთვნოდა.

**გამკეთებელი:** ვენახის გა მ კ ე თ ე ბ ე ლ ი კაცი 58 ვენახის გამშენებელი კაცი; სყიდვა გა მ კ ე თ ე ბ ე ლ ს შეხვდებოდა 58 შესყიდვა გამშენებელს ერგებოდა.

**გამოსაღები:** აღარას გამოართმევდნენ გა მ ო ს ა ღ ე ბ ს 68 არავითარ გადასახადს არ გამოართმევდნენ; განათავისუფლებ-

დენ ყოვლის გამოსადებიდამ 69 ყოველგვარი გადასახადიდან გაათავისუფლებდნენ.

**გამომსახურება:** გამომსახურების შემდგომ განათავისუფლონ 73 თავის დახსნის შემდგომ გაათავისუფლონ.

**გამოხსნა:** გამოხსნა ყმისა და მამულისა 1 ყმისა და მამულის დახსნა, გამოსყიდვა.

**განაჩენი:** გარდაწყვეტილობის განაჩენი 60 გადაწყვეტილების დადგენილება.

**განგება:** მისი განგებით იქნებოდა მოხმარებული 37 მისი განკარგულებით იქნებოდა მოხმარებული.

**განსჯა:** რდესაც ბჰენი ჭეშმარიტობით განსჯიდნენ 60 როცა მოსამართლენი მართლად გადაწყვეტდნენ.

**განწესება:** განაწესებენ გარდასახადსა 70 დაადგენენ, შემოღებენ გადასახადს (ურთიერთდაზღვევა).

**განჩინება:** მოსამართლეთ და ბჰეთ განჩინებისათვის 59 მოსამართლეებისა და მსაჯულთა გადაწყვეტილების შესახებ: განჩინება მდივანბეგთა, ბჰეთა და ადგილობით დადგინებულ მოსამართლეთა 59 მდივანბეგების, მსაჯულთა და ადგილობრივ მოსამართლეთა გადაწყვეტილება.

**განწესებული:** განწესებულ სარგებლობას მისცემდნენ 64 დაწესებულ ფასს, საზღაურს მისცემდნენ.

**გარდასვლა, გადასვლა:** თუ პირობის გარდასვლით დაზიანება შეემთხვევოდათ 23 თუ პირობის დარღვევით ზარალს ნახავდნენ; ვინც პირობას გადავიდოდა 70 ვინც პირობას დაარღვევდა.

**გარდაწყვეტა:** გარდააწყვეტინებდნენ ვალს 16 გადაახდვინებდნენ სესხს.

**გარდაწყვეტილობა:** მისცემდნენ გარდაწყვეტილობას 27 გამოიტანდნენ გადაწყვეტილებას; გარდაწყვეტილობის განაჩენი 60 გადაწყვეტილების დადგენილება.

**გარევა:** თვინიერ მართებულობის გარევითა 60 მთავრობის ჩარევის გარეშე.

**გარდუმხდელი:** ვალის გარდუმხდელი 13 ვალის არგადამხდელი.

**გარნა, 1, 11, 13 მაგრამ, მაინც, გარეშე.**

**გაუზითავი:** დარჩომილი ქალი გაუზითავი 30 დარჩენოდა ქალი მზითვემიუცემელი.

**გაყრა:** გაყრის წერილი 54, 55 გაყოფის საბუთი.

**გაცოდვილება:** თუ გააცოდვილებდა და ალაპარაკებდა 7 საქმეს გაუქირებდა, გარჯას მიაყენებდა (გააჩანჯლებდა) და აჩივლებდა. თეთრის პატრონის გაცოდვილები სათვის 11 ფულის პატრონის, კრედიტორის გარჯისათვის.

**გაჩენა:** თუმანზე თვეში ორ შაურს გაუჩენდენ 3 თუმანზე თვეში ორ შაურს განუსაზღვრავდნენ, დაუდგენდნენ.

**გაწილვა:** გაყოფა, განაწილება. გაწილვა არ შეიძლებოდა 49 გაყოფა არ შეიძლებოდა; ქონება ექნებოდათ გაწილული 56 ქონება ექნებოდათ გაყოფილი; ვის რაერთი შესვდებოდა. გაუწილევდენ 19 გაუნაწილებდნენ კრედიტორებს, რამდენიც მათ თავ-თავისი სესხის პროპორციულად შეხვდებოდათ; მასესხებელთ გაუწილევდნენ თავნისა და სარგებლის მიხედვით 21 გამსესხებლებს გაუწილევდნენ მათი კუთვნილი თავნისა და სარგებლის პროპორციულად; გაუწილევდა გარდაცვლილის კაცის მონათესავეთ 33 გარდაცვლილის ნათესავეებს. გაუყოფდა: მონაღვაწი ქონება გაეწილვოდათ 33 მონაგარი ქონება გაეყოფოდათ; დანაშთომსა ქონებას გასწილევდნენ სამსწილად 34 დარჩენილ ქონებას გაყოფდნენ სამსწილად. საერთო ქონება თანასწორ გაეწილვოდათ 40 ოჯახის საერთო ქონება თანაბრად გაეყოფოდათ.

**გაწყრომა:** მებატონე თავად-აზნაურნი თავიანთ ყმათ გაუწყრებოდნენ 71 თავად-აზნაურები თავიანთ ყმებს გაურისნდებოდნენ, პასუხს მოსთხოვდნენ.

**გააჩანჯლება:** გააჩანჯლებდნენ თეთრის გარდახდას 3 გააქიანურებდნენ, (გაუქირებდნენ) ფულის გადახდას.

**გვამი:** პირი. დამნდურთ ღირს გვამთ 1 დამსწრე საპატიო პირთ; სამღვდელთ გვამთ, დასწრებით 33 სამღვდელთ პირთა დასწრებით; ორისა და სამის გვამისათვის დაეგირავებინა 9 ორი და სამი პირისათვის დაეგირავებინა.

**გირაო:** გირაოთ აღებულის ვალისათვის 7 საწინდრით აღებული ვალისათვის; გირაოდამ კელს აიღებდა 7 საწინდარზე უარს იტყოდა; უნდა თავის გირაოს დასაქვრებიყო 7 თავისი საწინდრით უნდა დაკმაყოფილებულიყო; გირაო საკმარ არ ყოფილიყო 7 საწინდარი საკმაო არ იქნებოდა; გირაოდამ არ შესრულებულიყო 7 საწინდრიდან არ შესრულებოდა; არც გირაოს მოაკლებდნენ 7 არც საწინდარს ჩამოართმევდნენ; უკეთესი გი-

რ ა ო იქნებოდა სხვასთანაც დაგირავებული 8 თუ საწინდრად მიცემული ქონება სხვასთანაც იქნებოდა დაგირავებული; უკეთუ უსიგლოდ იქნებოდა გ ი რ ა ო დ 8 თუ საწინდარი უსაბუთოდ იქნებოდა; გ ი რ ა ო ს წიგნში დაწერილ იქნებოდა 10 საწინდრის საბუთში დაწერილი იქნებოდა; გ ი რ ა ო ს მქონებელი გირაოსა თვისსა არ მოაკლდებოდა 19 მოგირავენე თავის საწინდარს არ კარგავდა; გ ი რ ა ო ს შემოსავლიდამ ესარგებლა 10 საწინდრის შემოსავლიდან ესარგებლა; სკერიყო გ ი რ ა ო 10 საწინდარი ეკავა, ექირა.

**გრანიცა:** გ რ ა ნ ი ც ა ს გარეთ გავიდოდნენ 35 საზღვარს გარეთ გავიდოდნენ.

## დ

**დაგირავება:** და გ ი რ ა ვ ე ბ ა მოძრავისა და უძრავის ქონებისა 3 მოძრავი და უძრავი ქონების საწინდრად მიცემა (დაწინდება).

**დადება:** ქონება მისი სამეფოდ და ი დ ე ბ ო და 35 მისი ქონება მეფეს გადაეცემოდა (კონფისკაცია); და ი დ ე ბ და მოგებიდამ წილს 24 მიიღებდა მოგებიდან წილს.

**დავთარი** სავაჭრო შემოსავალ-გასავლის წიგნი; დავთრით დავა 27 დავა დავთრის ჩანაწერებზე..

**დაზიანება:** მოულოდნელი და ზ ი ა ნ ე ბ ა 19 უეცარი ზარალი; აღებული ვალი ვაჭრობით არსად და ზ ი ა ნ ე ბ ი ა 47 აღებული სესხის ვაჭრობაში ზარალი არ უნახავს.

**დამაყენებელი:** და მ ა ყ ე ნ ე ბ ე ლ ი წერილი 25 გამაუქმებელი, გამაბათილებელი საბუთი.

**დამგირავებელი:** თუ და მ გ ი რ ა ვ ე ბ ე ლ ი გირაოდამ კელს აღებდა 7 თუ დამწინდველი საწინდარზე უარს იტყოდა, საწინდარს დათმობდა; და მ გ ი რ ა ვ ე ბ ე ლ ს თეთრი, მიაცემინა მასესხებლისათვის 12 დამწინდველს ფული მიაცემინა გამსესხებლისათვის.

**დამოწმინება:** და ა მ ო წ მ ი ნ ე ბ ე ნ სასამართლოს 60 დამოწმებინებენ სასამართლოში.

**დამხდური:** და მ ხ დ უ რ თ ლირსთ გვამთ 1 დამწრე საპატიო პირთ.

**დამხსნელი:** და მ ხ ს ნ ე ლ ი ს ნებასა ზედა დამოკიდებულყო 73 გამომსყიდველს ნებაზე იყო დამოკიდებული; და მ ხ ს ნ ე ლ ი დაასახლებდა თავის ყმად 73 გამომსყიდველი დაასახლებდა თავის ყმად.

დანაშთომი: დ ა ნ ა შ თ ო მ ი ქონება 34 სამკვიდრო ქონება.

დანახვა: უკეთუ გამოძიებით დ ა ი ნ ა ხ ე ვ ე ბ ო ლ ა 20 თუ გამოძიებით გამოირკვევოდა. გამყრელნიც ექვს დ ა ი ნ ა ხ ე ვ დ ნ ე ნ მართლად 41 გამყრელნი, ექვს სინამდვილედ ჩასთვლიდნენ.

დაპატრონება: ქპრის ქონებაზედ დ ა ე პ ა ტ რ ო ნ ე ბ ი ნ ა 32 ქპრის ქონების პატრონად, მფლობელად გახდიდა.

დასხნილი: დ ა ს ხ ნ ი ლ ი ტყვე 73 გამოსყიდული ტყვე.

დაშთომილი: წინაპართავან დ ა შ თ ო მ ი ლ ს ქონებას 33 სამკვიდრო ქონებას.

## 2

ერთობა: ე რ თ ო ბ ა ს ა შ ი ნ ა შემთხვევეული ხარჯი 40 ერთ სახლად ცხოვრების დროს გაწეული ხარჯი; ე რ თ ო ბ ა შ ი მ ი ც ე მ უ ლ ი თამასუქი 50 ერთ სახლად ცხოვრების დროს მიცემული თამასუქი.

ესტიბარი ნდობა, რწმუნება: დასაცველად საზოგადო ე ' ს ტ ი ბ რ ი ს ა 3 საზოგადო ნდობის დასაცავად.

## 3

ვალს 3 სესხი: გარდააწყვეტილებდენ ვ ა ლ ს 16 გადაახდევინებდნენ. სესხს.

ვაჭარი: პატივცემული ვ ა ჭ ა რ ი 26 საპატიო ვაჭარი; საანგარიშების შესაფერი ვ ა ჭ ა რ ი 27 ექსპერტი ვაჭარი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ანგარიშის, რაოდენობის განსაზღვრა.

ვექილი: 23, 24, 25, 26 რწმუნებული, მაგიერი მოსაქმე.

ვნებული: უკეთუ ისი ვ ნ ე ბ უ ლ ა რ ი ქნებოდა 37 უკეთუ იგი ქმედუნარიანი არ იქნებოდა.

## 4

ზედსიძე: ქალის ქმარს ზ ე დ ს ი ძ ე დ შეიყვანდნენ 32 ქმარს ქალის ოჯახში მიიყვანდნენ.



**ზედამხედველი:** დაუყენებდენ კაცს ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ა დ 38 და-  
უნიშნავდნენ მზრუნველს.

თ

**თავადი** 13, 63, 64, 65, 66. 67 მსხილი მემამულე, ფეოდალი.

**თავი:** თუმნის თ ა ვ ს ორის შაურის სარგებლით გამოართმევდა 24  
თუმანზე ორს შაურს სარგებელს გამოართმევდა.

**თავნი** ძირითადი თანხა: თ ა ვ ნ ი ისევე დარჩომილ ყოფილიყო 5 ძი-  
რითადი თანხა ისევე დარჩენილი ყოფილიყო; თ ა ვ ნ ს  
სარგებელი შესწორებულიყო 5 ძირითად თანხას პროცენ-  
ტი გათანასწოებოდა, სარგებელი თავნისოდენა დაგრო-  
ვილიყო; თ ა ვ ნ ს ერთიორად გამოართმევდნენ 5 ძირითად  
თანხას ორმაგად გადაახდევინებდნენ; თ ა ვ ნ ს ა თვისსა  
სარგებლით გამოართმევდა 24 ძირითად თანხას პროცენ-  
ტით გამოართმევდა; თ ა ვ ნ ი ს ა და სარგებლის მიხედვით  
19 ძირითადი თანხისა და პროცენტის მიხედვით.

**თამასუქი** სესხის და ვალის ხელწერილი: თ ა მ ა ს უ ქ ი და ხელწე-  
რილი 3 სესხის საბუთი და ხელწერილი; თ ა მ ა ს უ ქ ი თ  
ვალისათვის 3 ხელწერილით სესხისათვის; თ ა მ ა ს უ ქ ი ს  
რიცხვში მიცემულისათვის 3 ხელწერილის ანგარიშში მ ა -  
ცემულისათვის; თ ა მ ა ს უ ქ შ ი სარგებელი წერებულიყო  
4 ხელწერილში პროცენტი წერებულიყო.

**თანამდები:** მიმწერი თ ა ნ ა მ დ ე ბ ი ყ ო უცვალებელის მიცემისა  
25 მიმწერი ვალდებული იყო უცილობლად მიეცა; თ ა -  
ნ ა მ დ ე ბ ი ყ ო მოქცევად 31 ვალდებული იყო მოქცეუ-  
ლიყო.

**თეთრი** ფული, თანხა: თ ე თ რ ი ს პატრონი 5 ფულის პატრონი,  
კრედიტორი; შენს თ ე თ რ შ ი მამული დაგიგირავეო 11  
შენს ფულში (ვალში) მამული დაგიგირავეო; მართებს  
ესოდენ რიცხვი თ ე თ რ ი 25 მართებს ამ რაოდენობის  
თანხა; საქორწილოსაც თ ე თ რ ა დ გაუჩენდნენ 45 სა-  
ქორწინო თანხასაც განუსაზღვრავდნენ.

**თვინიერ** 71 გარდა, გარეშე.

**თვის ყოფა:** შემოსავლის მოხმარება თ ა ვ ს ე ყ ო და უფროს ძმას  
37 შემოსავლის მოხმარება შეეფერებოდა. ეკუთვნოდა  
უფროს ძმას.

**თირქაშიკი** 23, 24, 25, 26 ნოქარი.

**თქმულება:** თ ქ მ უ ლ ე ბ ი ს თანახმად 34 პირობის თანახმად.

**კანონი:** მეფის ვახტანგის კანონი 1, 4, 5, 7, 10, 14, 15, 20, 22, 31, 52, 60, 73, ვახტანგ მეფის მიერ შედგენილი კანონთა კრებული (და არა ვახტანგ მეფის სამართლის წიგნი); სჯულიერი კანონი 34 საეკლესიო კანონი.

**კეთილმზნებელობა:** არ მოინდომებდნენ კეთილმზნებელობით ბჭის აღმორჩევას 27 არ მოინდომებდნენ ურთიერთ-თანხმობით მსაჯულის ამორჩევას.

**კეთილნებობა:** კეთილნებობით არ გაიყრებოდნენ 41 შეთანხმებით არ გაიყრებოდნენ; აღმორჩევა წარმოებს მედიატორთა მოჩივართ კეთილნებობით 60 მედიატორთა ამორჩევა წარმოებს მომჩივართა ურთიერთთანხმობით.

**კეთილშობილი 30 წარჩინებული (თავადი, აზნაური).**

**კმაყოფა დაკმაყოფილება:** მასესხებელს კანონისამებრ კმაყოფა მიეცემოდა 11 გამსესხებელი დაკმაყოფილებული იქნებოდა კანონის მიხედვით; მიაცემინებდნენ თეთრის პატრონისათვის კმაყოფას 13 დააკმაყოფილებდნენ კრედიტორს; რაც ქონება ექნებოდა, იქიდან მისცემდენ კმაყოფას 18 რა ქონებაც ექნებოდა, იქედან დააკმაყოფილებდნენ; კანონიერს კმაყოფას მისცემდნენ 60 კანონის მიხედვით დააკმაყოფილებდნენ.

ლ

**ლაპარაკი:** ლაპარაკი შეიქმნებოდა 7 დავა ჩამოვარდებოდა.

**ლაპარაკება:** გააცოდვილებდა და ალაპარაკებდა 7 გარჯას მი-  
აყენებდა და აჩივლებდა.

მ

**მამეულ-დედეული:** მამეულ-დედეული ახლო მონათესავენი-  
34 ახლო ნათესავეები დედ-მამის ზაზით.

**მამული:** 1 შეხვედრილი მამული 38 მამული, რომელიც ერგო, შეხვდა; თუ თავისის ნაქონების მამულიდამ დაიხსნებოდა 62 თავისი ნაქონები მამულით გამოისყიდდა თავს; მოვიდოდა თავისავ ნაქონს მამულზედ 62 დაბრუნდებოდა თავის ნაქონ მამულში; თავის ნაქონებს მამულში

ალარ შვეიდოდა 62 არ დაბრუნდებოდა თავის ნაქონებ მა-  
მულში.

2. მ ა მ უ ლ ი თოფი 48 მამაპაპისეული თოფი.

მარიფათი ცოდნა, ძალა, უნარი, საშუალება, შუამავლობა: მოყვა-  
რების მ ა რ ი ფ ა თ ი თ 32 მოყვრების რჩევით, შუამდგომ-  
ლობით.

მასესხებელი: მ ა ს ე ს ხ ე ბ ე ლ ს მიცემდნენ 5 გამსესხებელს მიცე-  
მდნენ; მიაცემინა მოვალეს მ ა ს ე ს ხ ე ბ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს  
12 მიაცემინა მსესხებელს გამსესხებლისათვის.

მღივანბეგი 59 მსაჯულთუხუცესი, მოსამართლე, სასამართლოს  
წევრი.

მებატონე: პირველი მ ე ბ ა ტ ო ნ ე 62, 72 უწინდელი მებატონე;  
მ ე ბ ა ტ ო ნ ე თავად-აზნაურნი 71.

მელიატორე შუა კაცი: მ ე დ ი ა ტ ო რ ე თ ა გ ა ნ უსამართლო დამე-  
მართაო 60 შუა კაცებმა უჟანონოდ გადამიწყვიტესო.

მელიქი თავი, გამგებელი, მმართველი: ტფილისის მ ე ლ ი ქ ი 1, 54  
ქალაქ ტფილისის მმართველი მოქალაქეთა მხრიდან.

მემკვიდრე 1 სამკვიდროს მიმღები.

მემკვიდრეობა: მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი ს უარყოფა 13 მემკვიდრეო-  
ბაზე ხელის აღება, უარისთქმა.

მეუფროსე: იქაურ მ ე უ ფ რ ო ს ე ს მიწერდნენ 18 იქაურ ხელი-  
სუფალს მიწერდნენ; უკეთუ მათის მ ე უ ფ რ ო ს ი ს თან-  
ხმობით იქმოდნენ 70 უკეთუ მოხელის თანხმობით გააკე-  
თებდნენ.

მიმსყიდველი: 1 გამყიდველი.

მინალთუნი ერთი მანეთი: გამოართმევდნენ ორს ანუ სამს მ ი ნ ა ლ-  
თ უ ნ ს 65 გამოართმევდნენ ორ ან სამ მანეთს.

მინდობა: დაყრდნობა, მითითება. მეფის ვახტანგის კანონის რ ლ თ  
მუხლს. მ ი ნ დ ო ბ ი ყ ო 20 ვახტანგის სამართლის წიგნის  
139 მუხლზე მიეთითებინა.

მმართველობა: რუსეთის მ მ ა რ თ ე ბ ე ლ ო ბ ა 60 რუსეთის მთავ-  
რობა; თვინიერ მ ა რ თ ე ბ ე ლ ო ბ ი ს გარევეითა 60 მთავ-  
რობის ჩარევის გარეშე.

მნებებებელიობა. მ მ ნ ე ბ ე ბ ე ლ ო ბ ი თ ა თვისითა არა ებო-  
ძებინოს 31 თავისი ნება-სურვილით არ ებოძებინოს;  
თავისის მ ნ ე ბ ე ბ ე ლ ო ბ ი თ დაიხსნიდა 62 თავისი  
ნება-სურვილით გამოისყიდდა; უკეთუ არა მ ნ ე ბ ე ბ ე-  
ლ ო ბ ი თ ა მათითა 64 თუ არა მათი ნება-სურვილით.

- მოგება:** მოგებას მოსცდებოდა 29 სარგებლობას მოსცდებოდა, ვერ მიიღებდა. რომ მოეგო და გარდაეხადა 16 რომ შეეძინა და ვადაეხადა; გარჯის და მოგებიის მიხედვით 46 ნაშრომისა და შენაძენის, მონაგარის მიხედვით.
- მოგირავე:** საწინდრის მიმღები, მკერი. მოგირავენეს მიეცემოდა თეთრი 8 საწინდრის მიმღებს მიეცემოდა თანხა, ვალი; პირველი მოგირავენე 9 საწინდრის პირველი მიმღები; უკანასკნელი მოგირავენე 9 საწინდრის უკანასკნელი მიმღები; სახლისა და დუქნის მოგირავენენი 12 სახლისა და დუქნის საწინდრად მიმღებნი; მოგირავენეს ააშენებინა 12 საწინდრის მიმღებს ააშენებინა; თუ ორნი, სამნი მოგირავენენი იყვნენ 12 თუ ორნი, სამნი იყვნენ საწინდრის მიმღებნი.
- მოკლება:** არც გირაოს მოაკლებდენ 7, 8, 19 არც საწინდარს წაართმევდნენ, დააკარგვინებდნენ.
- მომიჯნავე:** გამსყიდავის მომიჯნავე 2 გამყიდველის მოსაზღვრე.
- მონათესავე:** გამსყიდავის მონათესავე 1 გამყიდველის ნათესავი; გარდაცვლილი კაცის მონათესავე 33 გარდაცვლილის ნათესავი; მამულ-დედეული ახლო მონათესავე 34 დედ-მამის ხაზით ახლო ნათესავი.
- მონალვაწი:** მონალვაწი ქონება 3 მონაგარი, შრომით ნაშოვნის ქონება.
- მოსამართლე 13, 14, 59:** ადგილობით დადგინებული მოსამართლე 59 ადგილობრივ განწყობილი, გამოყოფილი მოსამართლე.
- მოსამსახურე:** მებატონეთ მოსამსახურენი არ ჩაეწერათ 74 მებატონეთა მსახურნი არ შეეტანათ აღწერაში.
- მოსახმარებელი:** მოსახმარებელი ნიეთი 15 სანიადაგოდ სახმარებელი, სახმარი, გამოსაყენებელი ნიეთი.
- მოსახმარისი:** სულის მოსახმარისადაც გარდასდებდენ 33 სულის მოსახსენებლად გადადებდნენ.
- მოსვლა:** თავისავ მდგომარეობად მოვიდოდნენ 69 თავის მდგომარეობას აღიდგენდნენ.
- მოულოდინებელი:** მოულოდინებელი დაზიანება 19 დაზარალება მოულოდნელი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზით.
- მოუშლელად:** ექნებოდა მოუშლელად წყალობა იგი 66 ექნებოდა ურღვევად, შეუცვლელად ის წყალობა.

- მოქალაქე 1, 13:** ღირსად რწმუნებული მოქალაქე 1 სანდოდ ცნობილი მოქალაქე; პატივცემული მოქალაქე 41 სა-პატიო მოქალაქე.
- მოქონიება:** ოდესაც მოვალის ობოლი მოიქონიებდა 21 ოდესაც მოვალის ობოლი ქონებას. შეიძენდა.
- მოყვარე:** მოყვარე ვერ დაიმკვიდრებდა 34 ცოლის ნათესავი ვერ დაიმკვიდრებდა; მოყვარების მარიფათით 32 ცოლის ნათესავების შუამდგომლობით.
- მოყვრობა:** სჯულიერის კანონით მოყვრობა მოხდებოდა 34 საეკლესიო კანონით დამოყვრება მოხდებოდა.
- მოშლა:** არ მოიშლებოდა 1 არ დაირღვევოდა; არ ინებებდა იმის მოშლას 59 არ ისურვებდა იმის დარღვევას; მათს გარდაწყვეტილობას მოშლიდნენ 60 მათ გადაწყვეტილებას დაარღვევდნენ.
- მოცდენა:** რასაც მოგებას და სარგებელს მოსცდებოდა, აზღვევინებდნენ 29 რასაც მოგებას და სარგებლობას ვერ მიიღებდა, გადაახდევინებდნენ.
- მოძღვარი:** გარდაცვლილი კაცის მოძღვარი 34 გარდაცვლილის სულიერი მამა.
- მოჭირნახულე** ამაგდარი, მოამაგე: უბოძებდნენ მოჭირნახულეს საუკუნოდ და საშვილისშვილოდ 66 უბოძებდნენ ამაგდარს, მოამაგეს, სამარადისოდ და მეგვიდრეობით.
- მოხელე:** ტფილისის მოხელე 34. 41 ტფილისის თანამდებობის პირი; სოფლის მოხელე 74 სოფლის თანამდებობის პირი (მამასახლისი, ნაცვალი).
- მოხმარება:** არ მოხმარებულა 1 არ გამოყენებულა; მოხმარებულ არს 1, 5, 10 გამოყენებული არის; ამ ჩვეულებისამებრ იხმარებოდა 7 ამ ჩვეულების მიხედვით გამოიყენებოდა.
- მსახურება:** უბოძებდნენ სოფლებს სახელოდ, რომელნიც იმსახურებოდნენ სისხლით 66 უწყალობებდნენ სოფლებს განსაგებლად მათ, რომლებიც თავიანთი სისხლით (ომში) იმსახურებდნენ.
- მსყიდველი 1 მყიდველი.**
- მტკიცე:** უფრო მტკიცე იქნებოდა 70 განმტკიცებული, უცვლელი, მოუშლელი იქნებოდა.
- მქონებელი:** გირაოს მქონებელი 19 მოგირავნე, გირაოს მიმღები.

**მძღველი:** შეიქმნებოდა სამეფო ხარჯის მძღველი 32 გახდებოდა სამეფო გადასახადის გადამხდელი.

**მხარე:** წავიდოდა სხვას მხარეს 18 წავიდოდა სხვა კუთხეში, მხარეში.

## 6

**ნათესავი:** მახლობელი ნათესავი 31 ახლო ნათესავი.

**ნასალი:** დამასახიჩრებელი სასჯელი; ასოთმილება, ასოთა მოკვეთა; გარდაახდევინებენ ჯარიმით და ჯოხის ცემითაც, თვინიერ ნასალი 71 დასჯიან ჯარიმითა და ჯოხის ცემით, გარდა ასოთმილებისა.

**ნასყიდობა:** ნასყიდობის სიგელი 1 ყიდვა-გაყიდვის საბუთი.

**ნაქონები:** ნაქონები მამული 62 მამული, რომელიც ჰქონდა ვისმე, რომელსაც ფლობდა ვინმე.

**ნაშენობა:** ნაშენობა დაფასდებოდა და ნახევარ ფასს მამულის პატრონი აშენებელს მისცემდა 58 გაშენებულს (ვენახს) შეაფასებდნენ და ნახევარ ფასს მამულის პატრონი გამშენებელს მისცემდა.

**ნივთი:** ღირსეული ნივთი 52 კუთვნილი საგანი.

**ნიშანი** წინასაქორწინო საჩუქარი, წინდი: რაც უფროსის ძმის ცოლისათვის ნიშნად გაგზავნილა, უმცროსებსაც იმ ფასის, ნიშანს მისცემდნენ საერთოდამ 45 რაც უფროსი ძმის ცოლისათვის საქორწინო საჩუქრად გაგზავნილა, უმცროსებსაც იმ ფასის საჩუქარს მისცემდნენ საერთო ქონებიდან; მზითევი და ნიშანი 52 მზითევი და საქორწინო საჩუქარი, წინდი.

**ნუსხა:** ნუსხით ემართებოდა ვისიმე თეთრი 6 სიით, დავთრის ჩანაწერით ემართებოდა ვისიმე ფული.

## 3

**პატრონი** მესაკუთრე. თეთრის პატრონი 5 ფულის გამსესხებელი, კრედიტორი; მამულის პატრონი 32 მამულის მესაკუთრე.

**პირის სანახავი:** პირის სანახავი 15, 52 საქმროს ნათესავების მიერ პატარძლისათვის მირთმეული საქორწინო საჩუქარი.

**პირობა:** დათქმულობა. შეკრულ არ იქნებოდა პირობით 7 ვალდებული არ იქნებოდა დადებული პირობით (ხელშეკრულებით); პირობის წერილი 23 წერილობითი ხელშეკრულება; პირობა წერილით 58 პირობა წერილობითი ხელშეკრულებით; ვინც პირობას გადავიდოდა 70 ვინც პირობას დაარღვევდა.

**პოშლინა:** პოშლინა არ ედვათ 1 ბაჟი არ ეკისრებოდათ; რუბლზედ ერთი შაური პოშლინა 1 მანეთზე ერთი შაური ბაჟი.

6

**რიგი:** ჰკითხავდნენ იმგვარის შემთხვევისათვის მოხმარებულს რიგს და ისე მოექცეოდნენ 26 ჰკითხავდნენ ისეთი შემთხვევისათვის გამოყენებულ წესს და ისე მოექცეოდნენ.

**რიცხვი:** თამასუქის რიცხვი 3 თამასუქის ანგარიში; თამასუქის რიცხვი 3 მიცემულისათვის 3 თამასუქის ანგარიში მიცემულისათვის; რიცხვი გამოეანგარიშებოდა 3 რაოდენობა გამოეანგარიშებოდა; მართებს ესოდენ რიცხვი თეთრი 25 მართებს ამდენი ოდენობის ფული; თვისდა შეხვედრილ რიცხვს არ მიიღებდა 21 თავის კუთვნილ ოდენობას არ მიიღებდა.

**რუბლი:** რუბლზედ ერთი შაური პოშლინა 1 მანეთზედ ერთი შაური ბაჟი.

6

**საბრძანებელი:** იმ ქვეყნის საბრძანებელში იქნებოდა 18 იმ ქვეყნის ფარგლებში, იმ სამფლობელოში იქნებოდა.

**სადაო:** თავის სადაოს ვერ უსაბუთებდა 29 თავის სარჩელს, დავას ვერ უმტკიცებდა.

**საერთო:** ერთ-ერთ მამულს საერთოდ ამ საუფროსოდ მისცემდენ 43 ერთ-ერთ მამულს საერთო ქონებიდან საუფროსოდ მისცემდენ უფროს ძმას; ერთი ქალის მზითევს მისცემდენ საერთოდ ამ 44 ერთი ქალის მზითევს მისცემდენ საერთო ქონებიდან; იმ ფასის ნიშანს მისცემდენ საერთოდ ამ 45 იმ ფასის წინასაქორწინო საჩუქარს მისცემ-

დნენ საერთო ქონებიდან; საერთოდ ამ მიცემას გამყრელნი დიდს დაკლებად დაინახავდნენ 47 საერთო ქონებიდან მიცემას გამყრელნი დიდ ზარალად, დანაკლისად მიიჩნევდნენ; საერთოდ ამ არ გარდუხდიდნენ 47 საერთო ქონებიდან არ გადაუხდიდნენ; საერთოდ განვე სარგებლით მისცემდნენ 51 საერთო ქონებიდან პროცენტით მისცემდნენ.

**საზოგადო:** საერთოდ, საყოველთაოდ (დამკვიდრებული ჩვეულება).

**სათავადო:** სათავადო გლეხი 63 თავადის გლეხი.

**სათხოვარი:** სამეფოს სათხოვრისი განათავისუფლებდა 67 სამეფო გაადსახადისაგან გაათავისუფლებდა.

**სამადლო:** ერთი წილი მიერთმეოდა მეფეს სამადლო დასახარჯავთ 34 ერთი წილი მიერთმეოდა მეფეს საქველმოქმედოდ.

**სამართალი:** სამართლის წარმოება 3 მართლმსაჯულების განხორციელება.

**სამარხი:** სარჩოსაც მისცემდნენ და სამარხსაც რაოდენსამე რიცხვს დაუნიშნევდნენ 52 სარჩოსაც მისცემდნენ და დაკრძალვის ხარჯსაც განუსაზღვრავდნენ; მისცემდნენ მზითევს თვინიერ სამარხისა 53 მისცემდნენ მზითევს გარდა დაკრძალვის ხარჯისა: ზითევს გარდა სამარხიც მიეცემოდა 53 მზითევს გარდა დასაკრძალავი ხარჯიც მიეცემოდა.

**სამკუდრო:** გარდა მზითვისა სამკუდროსაც მისცემდნენ 53 მზითევს გარდა დაკრძალვის ხარჯსაც მისცემდნენ.

**სამოურავო:** გარდა სარგებლობისა და სამოურავოსა 66 გარდა სარგებლობისა და სამოურავო გამოსაღებისა.

**სამსახური:** ჩინებული სამსახური 31 კარგი სამსახური, დამსახურება.

**სარგებელი:** თამასუქში სარგებელი წერებულიყო 3, 4 თამასუქში პროცენტი წერებულიყო; მიუცემელი სარგებელი 4 გადაუხდელი პროცენტი; თავნს სარგებელი შესწორებუყო 5 ძირითად თანხას პროცენტი გათანასწორებოდა; პირველად მიცემული სარგებელი 5 წინათ გადახდილი პროცენტი; სარგებლით მიაცემინებდნენ 6 პროცენტით მიაცემინებდნენ; სარგებელს არ გაუჩენდნენ 6 პროცენტს არ დაუდგენდნენ; სარგებელს მოსცდებოდა 29 სარგებლობას მოსცდებოდა.



**სარგებლობა:** განწესებული სარგებლობა 64 დადგენილი ფა-  
სი.

**სარისტა 28** ყოველგვარი საქმიანობა, ალებ-მიცემობა, ბიზნესი.  
რომელიც შვილი მამის სიცოცხლეში სარისტაში ან  
ალებ-მიცემაში ყოფნისას აიღებდა ვალს 28 რომელი შვი-  
ლიც მამის სიცოცხლეში თავის საქმიანობასა და ალებ-  
მიცემაში.

**სასამართლო:** საჩივარი მიაღწევდა სასამართლოდ 4 საჩივარი  
შევიდოდა სასამართლოში; სასამართლოდ მიწვე-  
ნულიყო 7 სასამართლომდე მისულიყო (საქმე).

**საუკუნო:** უბოძებდნენ საუკუნოდ და საშვილიშვილოდ 66  
უბოძებდნენ სამუდამოდ და მემკვიდრეობით.

**საუფროსო:** უფროსი ძმის ზედმეტი წილი სამკვიდრო ქონებაში.  
უფროს ძმას ერთ-ერთს მამულს საუფროსოდ მის-  
ცემდნენ 43.

**საქვრივო** გადასახდელი, რომელსაც იხდიდა საქმრო ქვრივ ყმა  
ქალზე დაქორწინებისათვის ქალის ბატონის სასარგებ-  
ლოდ: საქვრივოს გამოართმევენ ღირსებისამებრ  
ქვრივისა 65 ქვრივობის გადასახდელს გამოართმევენ ქვრი-  
ვის ღირსების მიხედვით.

**საქმობა:** წერილი შეუწყნარებელი იყო და არც უსაქმია 11  
ხელწერილი მიუღებელი იყო და არც უმოქმედია.

**საქორწილო** ბატონის ქორწილის დროს გლეხთაგან აკრეფილი შე-  
საწვევარი: საქორწილო საც თეთრად გაუჩენდნენ 45  
საქორწილოს ფულად განუსაზღვრავდნენ.

**საშვილიშვილო:** უბოძებდნენ საუკუნოდ და საშვილიშვილოდ  
66 უბოძებდნენ სამუდამოდ და მემკვიდრეობით.

**საჩივარი:** საჩივარი მიაღწევდა სასამართლოდ 4 საჩივარი მივი-  
დოდა სასამართლომდე; საჩივარი შეექმნებოდათ 5  
დავა შეექმნებოდათ.

**საძიებელი:** ოდესაც საძიებელი მოხდებოდა და იჩივლებდნენ  
26 როდესაც დავა მოხდებოდა და იჩივლებდნენ.

**საჭირნახულო:** გარჯის და მოგების მიხედვით საქირნახულოს  
მისცემდნენ 46 ნაშრომისა და მონაგარის მიხედვით გასა-  
რჯელოს მისცემდნენ.

**სახასო:** სახასო გლეხი 63 სახელმწიფო გლეხი.

**სახელო:** და აქვდათ მათ სოფლებთა შინა თავიანთი სახელო  
კაცთა ზედა 66 და ჰქონდათ სოფლებში თავიანთი ხელი-

სუფლება ადამიანებზე. უბოძებდნენ სოფლებს სახელოდ, რომელნიც იმსახურებოდნენ სისხლით 66 უწყალობებდნენ სოფლებს განსაგებლად მათ, რომლებიც სისხლით (ომში) დაიმსახურებდნენ.

**სახლი:** სახლის უფროსი 67 სახლის მეთაური.

**სიგელი:** მეფეთ წყალობის სიგელი 34 მეფის მიერ ნაბოძები წყალობის წიგნი.

**სისხლი:** გაუწილევდა მეტ-ნაკლებ სისხლის მიხედვით 33 გაუყოფდა სისხლითი ნათესაობის მიხედვით; უბოძებდნენ სოფლებს სახელოდ, რომელნიც იმსახურებდნენ სისხლით 66 უბოძებდნენ სოფლებს განსაგებლად მათ, რომლებიც სისხლით (ომში) დაიმსახურებდნენ.

**სნება:** სნების მორიდებისათვის განაწესებენ გარდასახადსა 70 სნეულების ასაცდენად შემოიღებდნენ გადასახადს.

**სომხური:** სომხურის მესამე წიგნი 10, 14, 15, 73 სომხური სამართლის წიგნი, რომელიც შეტანილია ვახტანგის კანონთა კრებულში მესამე წიგნად.

**სჯული:** ჩვეულებითი სჯული 1 ადათობრივი სამართალი.

**სჯულიერი:** სჯულიერის კანონით მოყვრობა მოხდებოდა 34 საეკლესიო კანონით მოხდებოდა დამოყვრება.

## უ

**უარშიობა:** ურჩობა, ჯიუტობა, უწესობა, ურიგობა. თუ რომელიმე მასესხებელი უარშიობით თვისდა შეხვედრილს რიცხვს არ მიიღებდა 21 თუ გამსესხებელი ურჩობით, ჯიუტობით თავის კუთვნილ ოდენობას არ მიიღებდა.

**უგირავნო:** უგირავნო მასესხებელსავით მიაცემინებდნენ კმაყოფას 9 გირაოს არმქონე გამსესხებელსავით დააკმაყოფილებდნენ.

**უთანახმოდ:** ქონების გასყიდვა მასესხებელთ უთანახმოდ არ შეეძლო 20 ქონების გაყიდვა გამსესხებელთა თანხმობის კარეშე არ შეეძლო.

**უმორჩილო:** მამის უმორჩილო შვილი 2 მამის ურჩი, კადნიერი შვილი.

**უსარგებლოდ:** იმ თეთრს უსარგებლოდ საერთოდამ მისცემდნენ 51 იმ თანხას უპროცენტოდ საერთო ქონებიდან მისცემდნენ.

**უცვალელებელი:** თანამდებ იყო უცვალელების მიცემისა 25 მოვალე იყო უცილობლად გადაეხადა.

**უჭათი:** დავა, ცილება. ოდესაც უჭათი მოხდებოდა და იჩივლებდნენ 26 ოდესაც ცილება მოხდებოდა და იჩივლებდნენ; უძრავი ქონება დარჩებოდა უუჭათოდ პირველს მებატონესა მისსა 72 უძრავი ქონება დარჩებოდა უცილობლად პირველ მებატონეს.

### ფ

**ფეშკაში.** ძღვენი, საჩუქარი, მისართმეველი: ფეშკაშათ მოსული თეთრი აღმოჩნდებოდა დახარჯულად 51 ძღვენად მიღებული ფული აღმოჩნდებოდა დახარჯული.

### ქ

